

სოხიალური დაკეხი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2022, №2

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2022, №2

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2022, №2

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2022, №2

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები	
პირადი პატაკის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	4
რეორგანიზაციის საფუძველთ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	17; 33
უშუალო ხელმძღვანელი პირის დავალების შეუსრულებლობისა და ეთიკის ნორმების დარღვევის გამო სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება	47
მოხელის სამუშაოზე განმეორებითი აღდგენის ფაქტობრივი და კანონიერი საფუძველების დადგენა	68
2. სახელმწიფო კომპენსაცია	
სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის კანონიერება	86
მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება	104
დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა	116
მიღებულ პენსიასა და მისაღებ კომპენსაციას შორის სხვაობის ანაზღაურება	128
3. დევნილების საკითხთან დაკავშირებული დავები	138
დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმი	148
მოსარჩელეს დევნილი ოჯახისთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერება	160
4. სხვა დავები	
პასუხისმგებლობა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო	176

1. შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დაპატიმრება

პირადი პატაკის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-935(კ-19)

13 მაისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმე-
დების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. გ. ფ-მა 2018 წლის 24 იანვარს სარჩელით მიმართა თბილისის
საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას,
მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო
საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო
პოლიციის მიმართ და მოითხოვა ამავე ადმინისტრაციული ორგა-
ნოს 2017 წლის 5 ივლისის №1600339 და 6 ნოემბრის №2670917
ბრძანებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა, მოსარჩელის სამსახურ-
ში აღდგენის შესახებ მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, მო-
პასუხისთვის გ. ფ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასისა და
2017-2018 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების
ანაზღაურების დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებით გ. ფ-ის
სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

**3. პირველი ინსტანციის სასამართლო საქმეზე დადგენი-
ლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

3.1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო
საქვეყნებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლი-

ციის 2014 წლის 14 ივნისის №1126113 ბრძანებით გ. ფ-ი დაინიშნა ამავე დაწესებულების სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) ...ის მთავარ სპეციალისტად (...ი), უფროსი სპეციალური ნოდების – „საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკის“ მინიჭებით (შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი);

3.2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2015 წლის 31 ივლისის №1673857 ბრძანებიდან ამონაწერით დგინდება, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – გ. ფ-ი გათავისუფლდა სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) ...ის განყოფილების მთავარი სპეციალისტის (...ი) თანამდებობიდან და დაინიშნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) №... სასაზღვრო სექტორის (...ის) უფროსად;

3.3. გ. ფ-მა პატაკით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) უფროსს – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მაიორს და ითხოვა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება და კადრების განკარგულებაში აყვანა 2017 წლის 1 ივლისიდან;

3.4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 5 ივლისის №1600339 ბრძანებიდან ამონაწერით დგინდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე), საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 21 ივნისის №786 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დებულების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) №... სასაზღვრო სექტორის (...ი) უფროსი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – გ. ფ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კადრების განკარგულებაში;

3.5. 2017 წლის 11 ოქტომბერს გ. ფ-მა საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში წარადგინა პატაკი და მის მიერ დაკავებულ ბოლო თანამდებობაზე აღდგენა ითხოვა იმ საფუძვლით, რომ სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოში რეორგანიზაცია არ მომხდარა და გაურკვევლობის გამო აღმოჩნდა სამსახურის გარეშე;

3.6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 6 ნოემბრის №2670917 ბრძანებიდან ამონაწერით დგინდება, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის კადრების განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) №... სასაზღვრო სექტორის (...ი) ყოფილი უფროსი, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი – გ. ფ-ი დათხოვნილ იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან;

3.7. 2017 წლის 14 დეკემბერს გ. ფ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და მოითხოვა 2017 წლის 6 ნოემბრის №2670917 ბრძანების გაუქმება და სამსახურში აღდგენა, ვინაიდან სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოში რეორგანიზაცია არ მომხდარა და გაურკვევლობისა და უსამართლობის გამო აღმოჩნდა სამსახურის გარეშე;

3.8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2017 წლის 26 დეკემბრის №MIA01703113612 წერილით გ. ფ-ს, განცხადების პასუხად, ეცნობა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 6 ნოემბრის №2670917 ბრძანება გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი გაუქმების წინაპირობა. ამავდროულად განმცხადებელს განემარტა, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიცია მოკლებული იყო იმ ეტაპზე მისი დასაქმების შესაძლებლობას, თუმცა პერიოდულად განხილულ იქნებოდა მისი დასაქმების საკითხი;

3.9. ა. მ-ის 2018 წლის 9 იანვრის განცხადებით დგინდება, რომ 2017 წლის 5 ივლისამდე მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) №... სასაზღვრო სექტორის (...ა) უფროსის თანამდებობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 29 ივნისს №... სამმართველოს ახლად დანიშნულმა უფროსმა – თ. გ-მა ჩაატარა პირველი სამსახურებრივი თათბირი სექტორის უფროსებთან და მათ მოადგილეებთან და განუმარტა, რომ ტარდებოდა რეორგანიზაცია და უნდა დაენერათ პატაკები შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით, თუმ-

ცა ყოველივე უბრალო ფორმალობა იყო და თითოეული მათგანი გააგრძელებდა მუშაობას. პატაკის შინაარსი სამმართველოს უფროსმა შეადგინა და თარიღად 2017 წლის 1 ივლისი მიუთითა. განცხადების თანახმად, 2017 წლის 5 ივლისს ა. მ-ი აიყვანეს კადრების განკარგულებაში. აღნიშნულის შემდგომ თანამშრომლების ნაწილი დატოვეს სამსახურში, ხოლო ნაწილი – არა;

3.10. გ. გ-ის 2018 წლის 13 იანვრის განცხადებით დგინდება, რომ იგი 2017 წლის 5 ივლისამდე მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ის) №... სასაზღვრო სექტორის (...ი) უფროსის თანამდებობაზე. განცხადებაში მითითებულია, რომ 2017 წლის 29 ივნისს №... სამმართველოს ახლად დანიშნულმა უფროსმა – თ. გ-მა ჩაატარა პირველი სამსახურებრივი თათბირი სექტორის უფროსებთან და მათ მოადგილეებთან; მანვე განმარტა, რომ ტარდებოდა რეორგანიზაცია, რის გამოც მოითხოვა სექტორის უფროსებს, მოადგილეებსა და სამმართველოს ოფიცრებს დაენერათ პატაკები კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით; ასევე, მოითხოვა, რომ ჩაებარებინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადობის დამადასტურებელი მონმობები; უფროსის განმარტებით, ყოველივე იყო უბრალოდ ფორმალობა და თითოეული მათგანი გააგრძელებდა სამსახურს. პატაკის შინაარსი შეადგინა სამმართველოს უფროსმა და თარიღად მიუთითა 2017 წლის 1 ივლისი. 2017 წლის 5 ივლისს, აღნიშნული პატაკის საფუძველზე, გ. გ-ი აიყვანეს კადრების განკარგულებაში, ხოლო 2017 წლის 6 ნოემბერს – დაითხოვეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან;

3.11. ლ. გ-ის 2017 წლის 16 იანვრის განცხადებით დგინდება, რომ 2017 წლის 5 ივლისამდე მუშაობდა სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოში (...ი), საზღვრის დაცვის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. განცხადებაში მითითებულია, რომ 2017 წლის 29 ივნისს №... სამმართველოს (...ი) ახლად დანიშნულმა უფროსმა – თ. გ-მა ჩაატარა პირველი სამსახურებრივი თათბირი სექტორის უფროსებთან, მათ მოადგილეებთან და სამმართველოს ხელმძღვანელობასთან და რეორგანიზაციის ჩატარებაზე მითითებით, მოითხოვა, რომ სამმართველოს ოფიცრებს, სექტორის უფროსებსა და მათ მოადგილეებს დაენერათ პატაკები სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით; ასევე, მოითხოვა, რომ ჩაებარებინათ შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადობის დამადასტურებელი მონმობები; ამასთან, აღნიშნა, რომ ყოველივე იყო უბრალო ფორმალობა და თითოეული მათგანი გააგრძელებდა სამსახურს. პატაკების თარიღად მითითებულ იქნა 2017 წლის 1 ივლისი. 2017 წლის 5 ივლისს, აღნიშნული პატაკების საფუძველზე, ლ. გ-ი, ასევე, სექტორის უფროსებისა და მოადგილეების ნაწილი აიყ-

ვანეს კადრების განკარგულებაში, ხოლო დანარჩენებმა გააგრძელეს მუშაობა. განცხადებაში მითითებულია, რომ პატაკების დანერა არ მომხდარა ლ. გ-ისა და სხვა ოფიცრების ნება-სურვილით.

4. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს, რომელიც პირადი პატაკის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შესახებ განცხადების (პატაკის) დანერის იძულება, უფრო მეტიც, მან ადმინისტრაციული ორგანოსგან მიმდინარე რეორგანიზაციის შესახებ ბრძანებაც არ გამოითხოვა, არ მიმართა გენერალურ ინსპექციას და არ აცნობა, რომ იძულებით დააწერინეს პატაკი. შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელე სამსახურიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გათავისუფლდა, რაც მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის წინაპირობას ქმნიდა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება გ. ფ-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინებით გ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება.

7. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე სრულად და სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სამართლებრივად მართებულად შეაფასა.

8. სააპელაციო პალატამ მიუთითა აპელანტის განმარტებაზე, რომ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე პატაკი არ შეესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას და მოტყუების საფუძველზე დანერა. სასამართლომ აღნიშნა, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანის ფაქტი გ. ფ-ს კადრების განკარგულებაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში სადავოდ არ გაუხდია, ასევე, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც სამსახურში დარჩენასთან დაკავშირებით აპელანტის ნების გამოვლენას დაადასტურებდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ფ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის, მისი საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან დათხოვნის შესახებ ბრძანებები არ ეწინააღმდეგებო-

და სადავო ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებს, რის გამოც არ არსებობდა მათი ბათილად ცნობის საფუძველი. შედეგად, პალატა დაეთანხმა საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელის არც სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველები არსებობდა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა გ. ფ-მა, რომელმაც ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

10. კასატორი აღნიშნავს, რომ მის მიზანს სამსახურის დატოვება არ წარმოადგენდა, არამედ პატაკი უფროსის მითითებით დაწერა და იმავე ან ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის კანონიერი მოლოდინი ჰქონდა, კერძოდ, 2017 წლის 29 ივნისს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს ახლად დანიშნულმა უფროსმა – თ. გ-მა სექტორების უფროსებთან ჩაატარა პირველი თათბირი და რეორგანიზაციის ჩატარებაზე მითითებით, სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანის მოთხოვნით პატაკების დაწერა დაავალა. ამასთან, სამმართველოს უფროსმა განმარტა, რომ ეს უბრალო ფორმალთა იყო, მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდებოდა და რეორგანიზაციის შემდეგ ყველა იმავე თანამდებობაზე დაინიშნებოდა. საკასაციო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ პატაკების მოტყუებით დაწერა დადასტურებულია ლ. გ-ის, გ. გ-ისა და ა. მ-ის განმარტებებითაც. ასევე, საკასაციო საჩივრის ავტორი მიუთითებს მის ფინანსურ ვალდებულებებსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომლებიც, კასატორის მოსაზრებით, ადასტურებს სამსახურიდან გათავისუფლების სურვილის არსებობის შეუძლებლობას. გარდა ამისა, კასატორმა 2017 წლის 11 ოქტომბერს პატაკით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვრის დაცვის პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს და მოითხოვა თანამდებობაზე დაბრუნება, თუმცა ეს განცხადება რეაგირების გარეშე დარჩა.

11. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ პირადი პატაკის საფუძველზე ისე გაათავისუფლა სამსახურიდან, რომ მისი ნამდვილი ნება არ გამოიკვლია, სათანადოდ არ ჩაატარა ადმინისტრაციული წარმოება და უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოსცა.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინებით გ. ფ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მხარეებს განემარტათ, რომ საჩივარი არსებითად მათი დასწრების გარეშე განიხილებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

13. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ გ. ფ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდება, კერძოდ, გ. ფ-ის ნაწილში ბათილად უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2017 წლის 5 ივლისის №1600339 და 6 ნოემბრის №2670917 ბრძანებები, მოპასუხეს უნდა დაევალოს მოსარჩელის სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურისა და 2017 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის ანაზღაურება; ხოლო 2018 წლის გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს პირადი პატივის საფუძველზე გ. ფ-ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება, მოსარჩელის ნების ნამდვილობის საკითხის შეფასების თვალსაზრისით.

15. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეებზე.

16. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, პოლიციის სამსახურები სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებენ სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახით. პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელიც მსახურობს სამინისტროში, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური წოდებები და დადებული აქვთ პოლიციელის ფიცი. ამავე

კანონით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის დამტკიცება. შედეგად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის №1014 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესი“, რომელიც არეგულირებს სამსახურიდან დათხოვნის/თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხებსაც.

17. დასახელებული „წესის“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიციელი და საჯარო მოხელე უფლებამოსილი პირის ბრძანებით, შეიძლება გათავისუფლდეს თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე, ხოლო 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურე შეიძლება დათხოვნილ/თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნეს: პირადი განცხადების (პატაკი) საფუძველზე; კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო. ამრიგად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დასაქმებულის უფლებას განეკუთვნება დაკავებული თანამდებობის დატოვების შესაძლებლობა, თუმცა გამოსატყულები ნების შედეგის (სამსახურიდან გათავისუფლების) გათვალისწინებით, აუცილებელია, დამსაქმებელმა წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე სათანადოდ შეაფასოს გამოვლენილი ნების ნამდვილობა. ამასთან, ნების გამოვლენის განმარტებისას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ნების გამოხატვის ნამდვილობის დადგენა კი „ემსახურება ნების გამოხატვის თავისუფლების პრინციპის რეალიზაციას, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული ქმედება, არჩევანი, გადაწყვეტილება უნდა წარმოადგენდეს პირის ნამდვილ ნებას, იგი არ უნდა იყოს პროვოცირებული ძალადობის, იძულების, მუქარის, შანტაჟის, დაპირების და სხვა პირის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ან განპირობებული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-663-659(კ-17)). ამრიგად, მხოლოდ ნამდვილი ნების გამოხატვამ უნდა გამოიწვიოს პირის სამსახურიდან დათხოვნა.

18. განსახილველ შემთხვევაში დადგინდის, რომ გ. ფ-ი დასაქმებული იყო საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში და გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან პირადი პატაკის საფუძველ-

ზე, კადრების განკარგულებაში ყოფნის ოთხთვიანი ვადის ამონაურვის შემდეგ კი – დათხოვნილ იქნა სასაზღვრო პოლიციიდან. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ პატაკი დაწერა უშუალო ხელმძღვანელის მითითებით, რომელმაც განუმარტა, რომ პატაკების დაწერა მხოლოდ ფორმალურად იყო და კვლავ დაინიშნებოდა დაკავებულ თანამდებობაზე.

19. საკასაციო სასამართლო, მოსარჩელის პოზიციის საფუძვლიანობისა და გამოვლენილი ნების ნამდვილობის შემოწმებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს პატაკის შინაარსსა და მოწმეთა ჩვენებებზე, კერძოდ, წარდგენილი პატაკით გ. ფ-ი ითხოვდა არა სამსახურიდან დათხოვნას, არამედ – მხოლოდ დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებასა და კადრების განკარგულებაში აყვანას. ამასთან, პატაკი არ შეიცავს რაიმე მითითებას/განმარტებას თანამდებობიდან გათავისუფლების მოტივებზე. საგულისხმოა, რომ კადრების განკარგულებაში აყვანის შემდეგ, 2017 წლის 11 ოქტომბერს გ. ფ-მა სასაზღვრო პოლიციაში ახალი პატაკი წარადგინა და მის მიერ დაკავებულ ბოლო თანამდებობაზე აღდგენა ითხოვა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოში რეორგანიზაცია არ მომხდარა და მოსარჩელე „გაურკვევლობის გამო აღმოჩნდა სამსახურის გარეშე“. აღნიშნულ განცხადებას დამსაქმებლის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, ხოლო 2017 წლის 6 ნოემბერს მოსარჩელე პოლიციიდან იქნა დათხოვნილი. ამრიგად, დამსაქმებელმა არ შეაფასა გ. ფ-ის რეალური ნება არც თანამდებობიდან გათავისუფლებისას და არც შემდგომში – სამსახურიდან დათხოვნისას.

20. რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, გ. ფ-თან ერთად სასაზღვრო პოლიციაში დასაქმებული – ა. მ-ის, გ. გ-ისა და ლ. გ-ის ჩვენებებით დასტურდება, რომ 2017 წლის 29 ივნისს მათ თათბირი ჩატარა ახალმა უფროსმა, რომელმაც განუმარტა, რომ სამსახურში მიმდინარე რეორგანიზაციიდან გამომდინარე, უნდა დაეწერათ პატაკები სამინისტროს კადრების განკარგულებაში აყვანასთან დაკავშირებით, ამასთან, უფროსმა აღნიშნა, რომ ყოველივე იქნებოდა უბრალო ფორმალურად და თითოეული მათგანი კვლავ გააგრძელებდა მუშაობას. მოწმეთა ჩვენებებით დასტურდება, რომ მათ იდენტური, სამმართველოს უფროსის მიერ შედგენილი პატაკები წარადგინეს პოლიციაში, რის შედეგადაც თანამშრომლების ნაწილი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო ნაწილი – სამსახურში დატოვეს. შესაბამისად, მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს მოსარჩელისთვის თანამდებობებზე კვლავ დანიშვნის დაპირებასა და პატაკების დაწერის ფორმალურ პროცედურად წარმოჩენას.

21. საკასაციო პალატა, დასახელებული გარემოებების ერთობ-

ლივი ანალიზისა და შეფასების შედეგად, მიიჩნევა, რომ კადრების განკარგულებაში გადაყვანის თაობაზე მოსარჩელის პატაკი არ ასახავდა სადავო სამართალურთიერთობის ქეშმარიტ არსს და არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილი ნების გამოვლენად, ვინაიდან დასაქმებული მოქმედებდა დამსაქმებლის მითითების შესაბამისად, სამსახურის დატოვების განზრახვის გარეშე და მოლოდინით, რომ პატაკის დაწერის მიუხედავად, ფორმალური პროცედურების გავლის შემდგომ, კვლავ გააგრძელებდა მუშაობას. ამასთან, გამოხატული ნების ნამდვილობის საკითხის გამოკვლევა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, რომლის სათანადოდ შესრულების შემთხვევაშიც მოპასუხე აუცილებლად დაადგენდა მოსარჩელის ნამდვილ ნებას. სწორედ ამიტომ, არ არსებობდა პირად პატაკზე მითითებით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების წინაპირობა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური საფუძველით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან დასაქმებულთა გათავისუფლება ასევე იქნა უკანონოდ მიჩნეული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 მარტის განჩინებით (საქმე №ბს-747(კ-20)), სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამინისტროში დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, რაზედაც მიუთითებენ მონმეები და რაც სამართალწარმოების არცერთ ეტაპზე არ უარყო კასატორმა, კადრების განკარგულებაში აყვანის გზით ხორციელდებოდა თანამშრომელთა ერთი თანამდებობიდან მეორეზე გადაყვანა... პირადი პატაკით მიმართვისას, მოსარჩელებს გააჩნდათ, კადრების განკარგულებაში გადაყვანის შემდგომ, თანამდებობებზე კვლავ დაბრუნების მოლოდინი და არა სამინისტროსთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სურვილი“.

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დასტურდება მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების უკანონობა, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე, ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

23. რაც შეეხება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის სამართლებრივ შედეგებს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ 65-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის მოსამსახურეები სამსახურიდან უკანონო დათხოვნის/გათავისუფლების, დაქვეითების ან წოდების

უკანონო ჩამორთმევის შემთხვევაში ექვემდებარებიან აღდგენას თანამდებობაზე, ასევე უბრუნდებათ ჩამორთმეული წოდება. საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. ამდენად, მოსარჩელე უნდა აღდგეს გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, ან თუ თანამდებობა ვაკანტური არ არის – ტოლფას თანამდებობაზე.

24. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. „იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, შესაბამისად, განაცდური ხელფასის ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე იღებდა მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-139(4კ-19)). შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს იძულებითი განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება გათავისუფლებიდან მის აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

25. 2017-2018 წლების გამოუყენებელი ანაზღაურებადი შვებულების თანხის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით კი, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლით გათვალისწინებული პოლიციელის ყოველწლიური შვებულებით სარგებლობის უფლება და ხანგრძლივობა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბერის №1014 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, მოსამსახურეს კუთვნილი შვე-

ბულების დროს ეძლევა შესაბამისი ხელფასი (ფულადი სარგო), ნელ-თა ნამსახურობის და სხვა სპეციალური დანამატები და კომპენსაციები. ამრიგად, დასაქმებულს გააჩნია ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების უფლება და „დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს არ შეიძლება წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-809-805(3კ-17)). შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელემ, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო, 2017 წელს ვერ ისარგებლა კუთვნილი შვებულებით, მისი უფლების აღდგენა უნდა მოხდეს 2017 წლის გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო თანხის ანაზღაურებით. რაც შეეხება 2018 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურებას, ვინაიდან შვებულების მოთხოვნის უფლება პირდაპირ და უშუალოდ უკავშირდება სამსახურში პირის დასაქმებას, ხოლო კასატორი სამსახურიდან 2017 წლიდან იყო გათავისუფლებული, უსაფუძვლოა მოთხოვნა 2018 წლის შვებულების ანაზღაურების შესახებ, რადგან მას დასახელებული პერიოდის შვებულებით სარგებლობის უფლება არ წარმოშობია.

26. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებას 1000 ლარის ოდენობით. საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ სარ-

ჩელი ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული, გარდა ამისა, საქმეში, მართალია, წარმოდგენილია საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება, თუმცა წარმოდგენილი არ არის ადვოკატისთვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ადვოკატის მომსახურებისთვის განუთხარი ხარჯის ანაზღაურება გონივრული ოდენობით – 700 ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან კი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე, მხარეები გათავისუფლებულნი არიან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. გ. ფ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 31 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ფ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სადმინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის უფროსის 2017 წლის 5 ივლისის №1600339 ბრძანების მე-6 პუნქტი და 2017 წლის 6 ნოემბრის №2670917 ბრძანების მე-2 პუნქტი;
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოს გ. ფ-ის ამავე ადმინისტრაციული ორგანოს სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №... სამმართველოს (...ი) №... სასაზღვრო სექტორის (...ი) უფროსის თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში – ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;
6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოს გ. ფ-ის სასარგებლოდ განაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება სამსახურიდან გათავისუფლების დღი-

დან სამსახურში აღდგენამდე პერიოდისთვის;

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოს გ. ფ-ის სასარგებლოდ 2017 წლის გამოუყენებელი კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების ანაზღაურება, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ოდენობით;

8. გ. ფ-ის სასარჩელო მოთხოვნა 2018 წლის გამოუყენებელი შვებულების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალოს გ. ფ-ის სასარგებლოდ ადვოკატის მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის – 700 (შვიდასი) ლარის ანაზღაურება;

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

რეორგანიზაციის საფუძვლით მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-200(კ-20)

7 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. კ-ემ 2018 წლის 2 ივლისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიმართ, „ს. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებ-

რივი აქტის ბათილად ცნობის, მოპასუხისთვის მოსარჩელის სამსახურში აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებისა და იძულებითი განაცდურის დაკისრების მოთხოვნით.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 24 ივლისის განჩინებით სარჩელი, განსჯადობის წესით, განსახილველად გადაეგზავნა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 იანვრის სხდომაზე დაზუსტდა, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო შეუერთდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფუნქციონირებს ამავე სამინისტროს სახელმწიფო საექვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნები და მოითხოვა მოპასუხისთვის ს. კ-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების დაკისრება 2018 წლის 15 მარტიდან მის აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მარტის გადანყვეტილებით ს. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა მოსარჩელის იმავე სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ; ასევე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაევალა ს. კ-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2018 წლის 15 მარტიდან მის აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

6. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. ს. კ-ე 2015 წლის 29 იანვრიდან მუშაობდა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, ...თან ...ის ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე;

6.2. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9

იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სტრუქტურითა და საშტატო განრიგით“ განისაზღვრაის სამსახური და მისი უფროსის 1 საშტატო ერთეული, წოდებით – სამოქალაქო უსაფრთხოების;

6.3. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 11 იანვრის ბრძანებით ს. კ-ე დაინიშნა ამავე სააგენტოს ადმინისტრაციის ...ი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე და მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხების ორგანიზება და უზრუნველყოფა;

6.4. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 15 იანვრის ბრძანებით 2018 წლის 15 იანვრიდან განხორციელდა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რეორგანიზაცია, რასთან დაკავშირებითაც ს. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში;

6.5. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 25 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი“, რომლითაც განისაზღვრა ...-... ..ო და მისი უფროსის 1 საშტატო ერთეული. ამასთან, აღნიშნული სამმართველოს კომპეტენციად განისაზღვრა სამსახურის სისტემის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა და სხვა;

6.6. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2018 წლის 16 მაისის წერილობითი მიმართვით ს. კ-ეს ეცნობა, რომ 2018 წლის 15 მაისს ამოიწურა მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა;

6.7. ს. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოცემულა;

6.8. ს. კ-ეს სამსახურიდან გათავისუფლების დროს ჰყავდა 3 წლამდე შვილი;

6.9. კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ს. კ-ეს აუნაზღაურდა 2 თვის თანამდებობრივი სარგო – 2018 წლის 15 მარტის ჩათვლით;

6.10. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით დამტკიცდა „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხა“, რომლითაც განისაზღვრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო და მისი უფროსის 1 საშტატო ერთეული, წოდებით –

7. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა „სამოქალაქო უსაფრთხოების შე-

სახებ“ საქართველოს კანონზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამუშაოდ მიღებისა და სამსახურის გავლის წესზე“ და აღნიშნა, რომ დაწესებულების რეორგანიზაციის შედეგად პირის თანამდებობიდან გათავისუფლება მხოლოდ შესაბამისი სამტატო ერთეულის შემცირების შემთხვევაშია შესაძლებელი, ხოლო სამტატო ერთეულის შემცირება გულისხმობს კონკრეტული ფუნქციური დატვირთვით აღჭურვილი სამტატო ერთეულის გაუქმებას ისე, რომ აღნიშნული ფუნქციები თუნდაც სხვა დასახელებისა და სხვა უწყებისადმი დაქვემდებარების მქონე სამტატო ერთეულის ფუნქციებში არ ტრანსფორმირდება. ამასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად, მოსამსახურე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამატებით მიუთითა 2018 წლის 27 ივნისის „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ჩათვალა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 აგვისტოს ბრძანებით კი დამტკიცდა „საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამტატო წესა“, რომლითაც განისაზღვრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო და მისი უფროსის 1 სამტატო ერთეული, წოდებით –

9. შედეგად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დაასკვნა, რომ ს. კ-ე სამსახურიდან გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძვლით იმ პირობებში, როდესაც სამტატო ერთეული, რომელსაც იგი იკავებდა, არ გაუქმებულა და იმავე ფუნქციით განაგრძო არსებობა, სხვა სტრუქტურული ერთეულის (საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველო; საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო) შემადგენლობაში, სხვა დასახელებით. გარდა ამისა, სამსახურიდან გათავისუფლების დროს მას ჰყავდა 3 წლამდე შვილი. შესა-

ბამისად, მართალია, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოუცია, თუმცა ვინაიდან მასთან ფაქტობრივად შეწყვიტა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა და უარი უთხრა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, მოპასუხის ქმედება კანონშეუსაბამოდ იქნა მიჩნეული და დაევალა მოსარჩელის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა განაცდური ხელფასის (მიღებული ორი თვის ხელფასის გამოკლებით) ანაზღაურების თაობაზე.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება.

12. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე სრულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და ისინი სამართლებრივად მართებულად შეაფასა. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 9 იანვრის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სტრუქტურის და საშტატო განრიგის“ მიხედვით, განსაზღვრული იყოის სამსახური და მისი უფროსის 1 საშტატო ერთეული, ნოდებით – სამოქალაქო უსაფრთხოების, ხოლო მოსარჩელე ს. კ-ის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში აყვანის შემდგომ, სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 25 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს სტრუქტურა და საშტატო განრიგი“, რომლითაც განისაზღვრა ...-... ..ო და მისი უფროსის 1 საშტატო ერთეული. ამასთან, აღნიშნული სამმართველოს კომპეტენციად განისაზღვრა სამსახურის სისტემის საინფორმაციო – ანალიტიკური უზრუნველყოფა და სხვა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით,ის სამსახური

და ...-... წარმოადგენდა არსებითად ერთი და იმავე ფუნქციის მატარებელ სამმართველოებს, შესაძლებელია, გარკვეული სახის, მცირედი და არა არსებითი განსხვავებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული სამმართველოების უფროსების თანამდებობები სააპელაციო პალატამ ერთმანეთის ტოლფას თანამდებობებად განიხილა.

13. რაც შეეხება 2018 წლის 1 აგვისტოდან შექმნილ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს, სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ, მართალია, ხსენებული სამმართველოს უფროსის შტატი 2018 წლის 1 აგვისტომდე სამსახურში არ არსებობდა, თუმცა აღნიშნული გარემოება გათავისუფლების უკანონოდ ცნობისა და სამსახურში აღდგენის ნაწილში არ ქმნიდა სამართლებრივ პრობლემას/აღდგენის შეუძლებლობას, ვინაიდან ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს უკვე არსებობდა დასახელებული შტატი. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დააკვნა, რომ ს. კ-ე სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძვლით, რადგან საშტატო ერთეული, რომელსაც იგი იკავებდა, არ გაუქმებულა და იმავე ფუნქციით განაგრძო არსებობა, სხვა სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში, სხვა დასახელებით და დღესაც არსებობს. სააპელაციო პალატამ დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ ს. კ-ეს სამსახურიდან გათავისუფლების დროს ჰყავდა 3 წლამდე შვილი და მისი გათავისუფლება დაუშვებელი იყო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 41-ე მუხლის მე-5 პუნქტიდან გამომდინარე. შედეგად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ს. კ-ე მართებულად იქნა აღდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე.

14. აპელანტის მითითებასთან დაკავშირებით, რომ ...თან ...ის ...ის ...ის საშტატო ერთეული განსაზღვრულია წოდებით –, რის გამოც პირი აღნიშნულ პოზიციაზე სპეციალური კონკურსით უნდა დაინიშნოს, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის 46-ე მუხლზე, 70-ე მუხლის პირველ პუნქტსა და 73-ე მუხლზე და აღნიშნა, მართალია, 2019 წლიდან ამოქმედებული კანონმდებლობით სამსახურში მიღებისას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ იმ თანამდებობაზე, რომელიც სახელმწიფო სპეციალური წოდების მინიჭებას იწვევს, პირი ინიშნება სპეციალური კონკურსის გავლის შედეგად, თუმცა ვინაიდან პირის სამსახურიდან გათავისუფლება მიჩნეულია უკა-

ნონოდ, მასზე არ უნდა გავრცელდეს სადავო შემთხვევის შემდგომ განხორციელებული, მხარისათვის საუარესო ცვლილება (სპეციალური კონკურსის გავლის გზით პირის დანიშვნის შესახებ).

15. რაც შეეხება აპელანტის განმარტებას, რომ ზემოაღნიშნულ საშტატო ერთეულზე უკვე დანიშნული იყო სხვა პირი – მ. ფ-ი, სააპელაციო პალატამ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ თუ ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი პატივსაღები – უკანონოდ გათავისუფლებული და აღდგენილი პირის ინტერესი, დაიკავოს უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა და მის ადგილას დანიშნული პირის ინტერესი, შეინარჩუნოს ის ადგილი, რომელზეც იგი კანონიერი გზით დაინიშნა, ინტერესთა ამგვარი კონფლიქტი უნდა გადაწყდეს იმ მოხელის სასარგებლოდ, ვინც პირველად დაინიშნა ამ საშტატო ერთეულზე, ვინც უკანონოდ იქნა გათავისუფლებული და შემდგომში კანონიერად აღდგენილი.

16. სააპელაციო სასამართლო, ასევე, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ მოსარჩელის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება, სამსახურში აღდგენასთან ერთად, ქმნიდა მისთვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველს. ამასთან, ვინაიდან კადრების განკარგულებაში ყოფნის პერიოდში ს. კ-ეს აუნაზღაურდა 2 თვის თანამდებობრივი სარგო (2018 წლის 15 მარტის ჩათვლით), მოპასუხეს დაევალა ს. კ-ის სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება მიღებული ორი თვის ხელფასის გამოკლებით.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

18. კასატორი აღნიშნავს, რომ ...-... ..-ის უფროსის თანამდებობა არ წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და-ის სამსახურის უფროსების იდენტურ თანამდებობას, რადგან მათი უფლებამოსილებები ერთმანეთისგან განსხვავდება. ამასთან, საკასაციო საჩივრის მიხედვით, 2018 წლის 15 იანვრიდან 2018 წლის აგვისტომდე სამსახურში არ არსებობდა საშტატო ერთეული, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობის საქმიანობას განახორციელებდა. შესაბამისად, კასატორის მოსაზრებით, ს. კ-ე მართებულად გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რეორგანიზაციის გამო, ხოლო სამსახურს შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა არ ევალებოდა.

19. კასატორი დამატებით მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობით, სადავო საშტატო ერთეულსა და მის ტოლფას თანამდებობებზე დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური კონკურსის გავლის შემდეგ, ვინაიდან აღნიშნული თანამდებობები ითვალისწინებს სპეციალური ნოდების მინიჭებას. გარდა ამისა, ...თან ...ის ...ის თანამდებობა უკვე დაკავებულია კონკურსის წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო საჩივრის ავტორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოსარჩელის სამსახურში და კონკრეტულ თანამდებობაზე აღდგენას.

20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მხარეებს განემარტათ, რომ საჩივარი განიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

21. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს – უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება ს. კ-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაევალება ს. კ-ის ამავე სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

22. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს, რეორგანიზაციის საფუძვლით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება.

23. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე (2019 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი რედაქცია), რომლის თანახმად, თუ სპეციალური კანონმდებლობით ან მის საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტე-

მის მოსამსახურეებზე. საკასაციო პალატა, ასევე, მიუთითებს 2018 წლის 1 აგვისტომდე მოქმედი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავდა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების უფლებებსა და მოვალეობებს. დასახელებული კანონის 52² მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურეები ფუნქციების შესაბამისად იყოფიან მეხანძრე-მაშველთა/მაშველთა პირად შემადგენლობად და სამოქალაქო შემადგენლობად, ხოლო მე-3 პუნქტის მიხედვით, სამსახურის სამოქალაქო შემადგენლობაში შედიან მოსამსახურეები, რომლებიც ასრულებენ სამსახურის საქმიანობის მმართველობით, საფინანსო, ლოჯისტიკურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ან/და სხვა მხარდამჭერ ფუნქციებს, რომლებიც არ ითვალისწინებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების უშუალო შესრულებას. სამსახურის სამოქალაქო შემადგენლობაში შემავალ მოსამსახურეს სახელმწიფო სპეციალური ნოდება არ ენიჭება. იმავე კანონის 52³ მუხლის მე-6 პუნქტიდან გამომდინარე კი, სამსახურის სამოქალაქო შემადგენლობაში შემავალი მოსამსახურის სამსახურში მიღების და მის მიერ სამსახურის გავლის წესს განსაზღვრავს სამსახურის უფროსი.

24. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ძირითადი პრინციპების შესაბამისად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, როგორც სამოქალაქო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალური დანიშნულების დაწესებულების, საქმიანობისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული თავისებურებების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებაში – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში სამუშაოდ მიღებისა და სამსახურის გავლის წესი“ (ძალადაკარგულია 2018 წლის 1 აგვისტოდან). მითითებული „წესის“ 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამსახურე (გარდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა) შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში სამსახურის უფროსის ბრძანებით არაუმეტეს 4 თვის ვადით შტატე-

ბის შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რასაც თან სდევს შტატების შემცირება.

25. იმავე „წესის“ 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო პირის და სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლება და სამსახურიდან დათხოვნა ნიშნავს მოსამსახურესთან სამსახურებრივი ურთიერთობის შეწყვეტას. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო პირი შეიძლება თანამდებობიდან გათავისუფლდეს შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურე არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. საგულისხმოა, რომ მსგავს დათქმას შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 116-ე მუხლიც, რომლის მიხედვით, მოხელე ქალი არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის ან მოხელის შეფასების შედეგების გამო.

26. ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლებულიყო რეორგანიზაციის შედეგად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნებოდა შტატების შემცირებას. ამასთან, შტატების შემცირების მოტივით დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისას, „ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა გათავისუფლების თუ სამსახურში დატოვებასთან დაკავშირებით (რაც არაერთგზის განუმარტავს საკასაციო სასამართლოს), ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული საშტატო ერთეული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-166-165(კ-16)). „საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როდესაც ფუნქციური დატვირთვით ამგვარი შტატი აღარ არსებობს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-664-664(კ-18)). ამასთანა-

ნავე, შტატების შემცირება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მოსამსახურის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი არ უნდა გამხდარიყო მოსამსახურის მიერ ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში.

27. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 11 იანვრის ბრძანებით ს. კ-ე დაინიშნა ამავე სააგენტოს ადმინისტრაციის ...ი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე. ამასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 15 იანვრის №74 ბრძანებით 2018 წლის 15 იანვრიდან განხორციელდა სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს რეორგანიზაცია, რასთან დაკავშირებითაც ს. კ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში. ბრძანების მიხედვით, რეორგანიზაციას თან ახლდა სტრუქტურული/ორგანიზაციული ცვლილებები, შტატების გადაადგილება და ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში შტატების შემცირება. სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს 2018 წლის 16 მაისის წერილობითი მიმართვით კი ს. კ-ეს ეცნობა, რომ 2018 წლის 15 მაისს ამოიწურა მისი კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადა. ს. კ-ის სამსახურიდან დათხოვნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოცემულა, თუმცა მასთან ფაქტობრივად შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

28. საქმეზე, ასევე, დადგენილია, რომ ს. კ-ეს სამსახურიდან გათავისუფლების დროს ჰყავდა 3 წლამდე შვილი (ს. კ-ის შვილი დაიბადა 2017 წლის 9 იანვარს). ამრიგად, მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლდა რეორგანიზაციის საფუძვლით, შტატების გადაადგილებასა და შემცირებაზე მითითებით, იმ პირობებში, როდესაც არსებული ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით (3 წლამდე შვილის ყოლა), შტატების შემცირებას მის სამართლებრივ მდგომარეობაზე არ უნდა ემოქმედა – სამსახურიდან დათხოვნა არ უნდა გამოენჯია. შესაბამისად, დარღვეულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 116-ე მუხლისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის იმპერატიული დანაწესი. ამრიგად, საკასაციო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ მოსარჩელე სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლდა.

29. რაც შეეხება სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის სამართლებრივ შედეგებს, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნებო და-
წესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სის-
ტემაში სამსახურის გავლის წესის“ 55-ე მუხლზე, რომლის პირვე-
ლი და მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, მოსამსახურე თანამდე-
ბობიდან უკანონო გათავისუფლების ან/და სამსახურიდან უკანო-
ნო დათხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება თანამდებობაზე აღ-
დგენას; მოსამსახურის სამსახურში აღდგენა ხორციელდება ადრე
დაკავებულ თანამდებობაზე, ხოლო ასეთის არარსებობის შემ-
თხვევაში – მის ტოლფას თანამდებობაზე. იმავე „წესის“ მე-13 მუხ-
ლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კი, უკანონოდ გათავისუფლებუ-
ლი მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემ-
ცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკავებულია (დაკომპლექ-
ტებულია) უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებო-
ბა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების
გათვალისწინებით, ინიშნება ტოლფას თანამდებობაზე ან მისი
თანხმობით სხვა თანამდებობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი
უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე.

30. მოსარჩელის სამსახურში აღდგენასთან დაკავშირებით, სა-
კასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საჯარო სამსახუ-
რის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტზე,
რომლის თანახმად, ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მო-
ხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადამწყვეტილების
გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მო-
ხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასე-
თი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმა-
ვე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღსანიშნავია, რომ „ამჟა-
მად მოქმედმა კანონმა, განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონის-
გან, გამორიცხა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენი-
სას სადავო თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესით დანიშნუ-
ლი პირის გათავისუფლება. „საჯარო სამსახურის შესახებ“
31.10.1997წ. კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუ-
თითებდა არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურ-
ში აღდგენისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძ-
ლებლობაზე. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ამგვარი სა-
ფუძველი გათვალისწინებული არ არის ამჟამად მოქმედი კანონით.
„საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლი
ადგენს და განსაზღვრავს უკანონოდ გათავისუფლებული პირის თა-
ნამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამარ-
თლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტუ-
რობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების
ფაქტი გამორიცხავს სასამართლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პი-

რის აღდგენას. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოი-
აზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობი-
დან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა
მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობა-
ზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსა-
ხურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღ-
დგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში,
ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემ-
თხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მი-
მართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკან-
ტური თანამდებობის მოძიების თხოვნით“ (საქართველოს უზენაე-
სი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8
ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-139(კ-19)).

31. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ
ს. კ-ეს ეკავა სისპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს
ადმინისტრაციის ...ის ...ის ...ის ...ის თანამდებობა და მის ძირითად
ფუნქციას წარმოადგენდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სა-
კითხების ორგანიზება და უზრუნველყოფა. „სამოქალაქო უსაფ-
რთხოების შესახებ“ საქართველოს მოქმედი, 2018 წლის 27 ივნის-
ის კანონის 70-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახ-
მად, 2018 წლის 1 აგვისტოს ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს
პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპე-
ციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების - საგანგე-
ბო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში
მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი -- საგანგებო სი-
ტუაციების მართვის სააგენტო და, ამის გათვალისწინებით, რეორ-
განიზებულ იქნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. სა-
განგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფე-
როში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- საგანგე-
ბო სიტუაციების მართვის სააგენტოს უფლებამონაცვლედ კი, გარ-
და ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა,
ჩაითვალა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. საგანგე-
ბო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 აგ-
ვისტოს ბრძანებით კი დამტკიცდა „საგანგებო სიტუაციების მარ-
თვის სამსახურის სამტაგო ნუსხა“, რომლითაც განისაზღვრა სა-
ზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო და მისი უფროსის
1 სამტაგო ერთეული, ნოდებით – რაც შეეხება დღეის მდგო-
მარეობით არსებულ ვითარებას, საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრის 2019 წლის 29 მარტის №24 ბრძანებით დამტკიცებული
„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის
სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დებულების“ მე-6 პუნქტითაც, სამსახურის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო, რომლის კომპეტენციას, „დებულების“ მე-17 მუხლიდან გამომდინარე, განეკუთვნება: ა) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სტრატეგიული კომუნიკაციის პოლიტიკის, საკომუნიკაციო კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა და მონიტორინგი; ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; გ) კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობის დამყარება; დ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების შესახებ, აგრეთვე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, სპეციალური საკომუნიკაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში; ე) საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლებთან თემატური შეხვედრების, პრესკონფერენციებისა და ბრიფინგების მოწყობა კომპეტენციის ფარგლებში; ვ) საზოგადოებრივ მაუწყებელთან ან/და კერძო სამაუწყებლო კომპანიებთან ერთად ერთობლივი სატელევიზიო პროექტების შემუშავება კომპეტენციის ფარგლებში; ზ) სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ინფორმაციის გავრცელება საინფორმაციო არხების მეშვეობით; თ) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების მართვა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფოტო და ვიდეოარქივის შექმნა და განახლება; ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მიუხედავად ადმინისტრაციულ ორგანოში არაერთგზის განხორციელებული ცვლილებებისა, არსებობს იმავე ფუნქციების განმხორციელებელი შტატი (...თან ...ის ...ის ...), რომელიც სამსახურიდან გათავისუფლებისას მოსარჩელეს ეკავა, თუმცა როგორც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა დაადგინეს და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობა ვაკანტური არ არის და მას სხვა პირი იკავებს. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს არა პირდაპირ იმავე თანამდებობაზე, არამედ უნდა დაინიშნოს ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ხოლო თუ მისი სამსახურში აღდგენა შეუძლებელი იქნება იმავე საჯარო დაწესებულების

სისტემაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის პროცედურა. შესაბამისად, კონკრეტულ თანამდებობაზე პირდაპირ აღდგენის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს უნდა დაევალოს ს. კ-ის ამავე სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

33. რაც შეეხება იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 17 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სისტემაში სამსახურის გავლის წესი“ 55-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამსახურეს, თანამდებობიდან უკანონო გათავისუფლების ან/და სამსახურიდან უკანონო დათხოვნის შემთხვევაში, ეძლევა იძულებითი განაცდური. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე, ადგენს, რომ მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. „იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებაამდე, შესაბამისად, განაცდური ხელფასის ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ანაზღაურება, რომელსაც მოსარჩელე იღებდა მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-139(4კ-19)). ვინაიდან ს. კ-ის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ იქნა მიჩნეული და მოპასუხეს მისი სამსახურში აღდგენა დაევალა, სასამართლომ მართებულად დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება 2018 წლის 15 მარტიდან მის აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით, უკვე მიღებული ორი თვის ანაზღაურების გამოკლებით.

34. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა ს. კ-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამ-

დებობაზე პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაევალება ს. კ-ის ამავე სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ხოლო დანარჩენ ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

ბ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება ს. კ-ის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დაევალოს ს. კ-ის ამავე სამსახურის ...თან ...ის ...ის ...ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 2 ოქტომბრის განჩინება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**რეორგანიზაციის საფუძვლით მოსარჩელის
სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-339(კ-20)

7 ივნისი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა, ქმე-
დების განხორციელების დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

1. თ. ბ-ამ 2019 წლის 28 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუ-
ხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და მოით-
ხოვა ამავე ადმინისტრაციული ორგანოს 2019 წლის 14 მაისის
№1226073 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის მოსარჩელის
სამსახურში აღდგენის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და მოსარჩელის სასარგებ-
ლოდ განაცდური გასამრჯელოს ანაზღაურების დავალეზა.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიის 2019 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ბ-
ას სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართვე-
ლოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 14 მაისის №1226073
ბრძანება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავალა
თ. ბ-ას ამავე სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის
დეპარტამენტისის ...ისის თანამდებობაზე აღდგენის შესა-
ხებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემა; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,
ასევე, დავალა თ. ბ-ას სასარგებლოდ მიუღებელი იძულებითი გა-
ნაცდური შრომითი გასამრჯელოს ანაზღაურება მისი გათავისუფ-
ლების დღიდან სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებო-
ბისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენი-

ლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. თ. ბ-ა 1998 წლიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, სხვადასხვა თანამდებობაზე, ხოლო 2015 წლის პირველ ოქტომბერს – დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებისის თანამდებობაზე;

3.2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №739 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანდართული დებულება“, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 1 ოქტომბრიდან. დებულების თანახმად, დეპარტამენტის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს ადმინისტრაცია (სამმართველო) წარმოადგენდა;

3.3. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166228 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურა“ (დანართი №1) და „საშტატო განრიგი“ (დანართი №2). დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის მიხედვით, დეპარტამენტი შეიქმნა ახლად, სადაც ადმინისტრაცია (სამმართველო) ჩამოყალიბდა 47 საშტატო ერთეულით. ადმინისტრაციაში (სამმართველოში) ერთ-ერთ განყოფილებას წარმოადგენდა ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც შემდეგ 9 საშტატო ერთეულს მოიცავდა: ...ის ...ის (პოლიციის პოლკოვნიკის) თანამდებობა – 1 საშტატო ერთეული,ის (...ისს) თანამდებობა – 2 საშტატო ერთეული,ის (პოლიციის კაპიტნის) თანამდებობა – 4 საშტატო ერთეული,ის (პოლიციის კაპიტნის) თანამდებობა – 2 საშტატო ერთეული;

3.4.ის საშტატო ერთეულზე დანიშნული თ. ბ-ას ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა წარმოადგენდა;

3.5. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 30 დეკემბრის №752 ბრძანებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №739 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც შეიცვალა დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ, ადმინისტრაციის (სამმართველოს) ნაცვლად, შეიქმნა „საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება“. განყოფილების უფლებამოსილება განისაზღვრა ადმინისტრაციის (სამმართველოს) მსგავსი უფლებამოსილებით;

3.6. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 31 დეკემბრის №3258230 ბრძანებით, რომელიც ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან, ცვლილება შევიდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის №2166228 ბრძანებით დამტკიცებულ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის საშტატო განრიგში“. შედეგად, მთლიანად გაუქმდა ადმინისტრაცია (სამმართველო) (შემცირდა ყველა თანამდებობა, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში არსებული თანამდებობები) და ახლად შეიქმნა საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება 24 საშტატო ერთეულით. ამასთან, საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილებაში ...-ის შტატი განისაზღვრა 1 ერთეულით (...ის. ...), რომლის ფუნქციებს წარმოადგენდა ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა;

3.7. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 3 იანვრის №21004 ბრძანებიდან ამონაწერის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ...-ის, ...ის. ... თ. ბ-ა გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში, 2017 წლის 1 იანვრიდან;

3.8. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040955 ბრძანებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 37-ე მუხლის საფუძველზე (დათხოვნა კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის გასვლის გამო), შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, ამავე სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ...-ის, ...ის. ... თ. ბ-ა დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან;

3.9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040955 ბრძანება და ამავე სამინისტროს დაევალა თ. ბ-ას გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ბრძანების გამოცემა,

კანონით დადგენილ ვადაში და წესით;

3.10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 22 აპრილის №MIA71901034121 წერილის თანახმად, ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით,ის პოზიციაზე შერჩეულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი ლ. თ-ა, რადგან მას გააჩნდა ადამიანური რესურსებისა დაის განყოფილებაში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის,ის,ისა და ..ის ...ის პოზიციებზე, მუშაობის გამოცდილება;

3.11. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 14 მაისის №1226073 ბრძანებით შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, ამავე სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებისი, ..ის თ. ბ-ა დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2017 წლის 2 მაისიდან.

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, მიუთითა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და კადრების განკარგულებაში გადაყვანის ერთ-ერთი საფუძველი რეორგანიზაციის შედეგად შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმებაა, ხოლო საშტატო ერთეულის გაუქმება გულისხმობს იმავე ფუნქციური დატვირთვისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მქონე საშტატო ერთეულის საშტატო ნუსხიდან ამოღებას. სასამართლომ მიუთითა, რომ რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების პროცესში თითოეული საშტატო ერთეულის შეფასება ინდივიდუალურად უნდა განხორციელდეს და საშტატო ერთეულის შემცირების საფუძველით მხოლოდ ის საჯარო მოსამსახურე უნდა გათავისუფლდეს, რომლის საშტატო ერთეულიც გაუქმდა. დაუშვებელია, თუნდაც მაღალი რანგის საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირისათვის უპირატესობის მინიჭება, თუ მისი საშტატო ერთეული გაუქმდა, იმ პირის საზიანოდ, რომლის საშტატო ერთეულიც შენარჩუნდა.

5. საქალაქო სასამართლომ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მარტის კანონიერ ძალაში შესულ გადანყვეტილებაზე მითითებით, აღნიშნა, პირველი დავის ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს უკვე განემარტა, რომ საშტატო ერთეული, რომელზეც მოსარჩელე იყო დანიშნული, არ იყო შემცირებული. შესაბამისად, ადმინისტრაცი-

ული ორგანო ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა სასამართლოს მიერ დადგენილი აღნიშნული გარემოება და ისე გამოეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მიუხედავად ამისა,ის პოზიციაზე შერჩეულ იქნა კადრების განკარგულებაში მყოფი ლ. თ-ა, რომელიც ..ის ...ის საშტატო ერთეულს იკავებდა, აღნიშნული საშტატო ერთეული კი რეორგანიზაციის შედეგად შემცირდა – აღარ არსებობს. ამრიგად,ის საშტატო ერთეული, რომელსაც მოსარჩელე თ. ბ-ა იკავებდა, რეორგანიზაციის შედეგად არ გაუქმებულა, თუმცა საშტატო ერთეულზე დაინიშნა სხვა – შემცირებულ, უფრო მაღალი რანგის საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირი, რაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებით, არ შეესაბამებოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

6. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია და ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, საქალაქო სასამართლომ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე მითითებით, ასევე, საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნები გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენისა და მიუღებელი ხელფასის ანაზღაურების შესახებ.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 2 სექტემბრის გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე სწორად და სრულად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სამართლებრივად მართებულად შეაფასა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მასზედ, რომ 2019 წლის 14 მაისის გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. პირველი დავის ფარგლებში მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კი დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ რეორგანიზაციის შემდეგ, ახლად შექმნილ საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილებაში კადრების მიმართულებით მომუშავეის შტატი (... ..) შენარჩუნდა, ხოლო ად-

მინისტრაციულ ორგანოს დაევალა დასახელებულ თანამდებობაზე მოსარჩელის კანდიდატურის შესაბამისობის საკითხის შესწავლა. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თ. ბ-ა კვლავ გათავისუფლდა სამსახურიდან იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით, რომლებიც სასამართლომ თავდაპირველი სამართალწარმოებისას შეისწავლა და არ მიიჩნია მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებისთვის კანონიერ და საკმარის წინაპირობად.

10. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ რეორგანიზაციის დროს შტატების შემცირების პროცესში თითოეული საშტატო ერთეულის შეფასება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს და საშტატო ერთეულის შემცირების საფუძვლით მხოლოდ იმ საჯარო მოსამსახურის გათავისუფლება უნდა განხორციელდეს, რომლის საშტატო ერთეულიც გაუქმდა. ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებითის პოზიციაზე შერჩეულ იქნა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი ლ. თ-ა, რომელიც იქამდე ...ის ...ის საშტატო ერთეულს იკავებდა, ხოლო დასახელებული ერთეული რეორგანიზაციის შედეგად შემცირდა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ სარჩელი მართებულად გადაწყვიტა.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველსაყოფად, გამოიკვლია სადავო თანამდებობაზე თ. ბ-ას კანდიდატურის შესაბამისობის საკითხი, თუმცაის თანამდებობაზე შეირჩა ლ. თ-ა, რომელსაც გააჩნდა ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, ...ის ...ის პოზიციაზე, რა დროსაც იგი ასრულებდა და კონტროლს უწევდა ყველა ფუნქციის შესრულებას. აღნიშნული ფაქტის, ლ. თ-ას პიროვნული უნარებისა და თ. ბ-ას კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სამინისტრომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია მოსარჩელისის შტატზე დანიშვნა და აღნიშნულ შტატზე შეირჩა ლ. თ-ა.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ

საქმეთა პალატის 2020 წლის 27 ნოემბრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად; მხარეებს განემარტათ, რომ საჩივარი არსებითად განიხილებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს – უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინება თ. ბ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის თანამდებობაზე პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალება თ. ბ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის ტოლფას თანამდებობაზე დანიშნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

15. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რეორგანიზაციის საფუძვლით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება.

16. საკასაციო პალატა, საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის საფუძველზე, მიუთითებს, რომ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების სავალდებულოება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რამეთუ „სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებდაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწვეტილება).

ყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნ. ყ-ე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). სასამართლოს გადანყვეტილების ჯეროვნად აღსრულება კი გულისხმობს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სრულად შესრულებას, სასამართლოს მიერ დაფიქსირებული მითითებებისა და დავალებების დაცვით.

17. საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მასზე, რომ სადავო შემთხვევაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 14 მაისის №1226073 გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია სწორედ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების აღსასრულებლად. კერძოდ, დადგენილია, რომ 2015 წლის პირველ ოქტომბერს თ. ბ-ა დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებისის თანამდებობაზე. 2017 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის გამო კი, ხსენებული განყოფილების გაუქმების შედეგად, თ. ბ-ა ჯერ კადრების განკარგულებაში იქნა აყვანილი, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 2 მაისის №1040955 ბრძანებით – დათხოვნილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. აღნიშნული ბრძანება სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატამ 2018 წლის 28 მარტის გადანყვეტილებით. ამავე გადანყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მაშასადამე, გასაჩივრებული აქტის კანონიერების გადამოწმებისას არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პირველი სამართალწარმოების ფარგლებში სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს, გაკეთებულ განმარტებებსა და ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიცემულ მითითებებს.

18. საგულისხმოა, რომ პირველი სამართალწარმოებისას სასამართლომ დაადგინა რეორგანიზაციის შედეგადის 1 შტატის შენარჩუნება. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, სამინისტროს არ დაუსაბუთებია მოსარჩელის მიერ დაკავებული სამტატო ერთეულის არა მხოლოდ ფორმალური, არამედ რეალური გაუქმება, მის მიერ დაკავებული შტატის შემცირება, ახალ სამტატო ნუსხაში ტოლფასი თანამდებობის არარსებობა. სასამართლომ აღნიშნა, „ის, რომ სრულად გაუქმდა კონკრეტული განყოფილება არ ასაბუთებს მოსარჩელის სამტატო ერთეულის გაუქმებას, რადგან რეორგანიზაციის შედეგად შეიქმნა მსგავსი ფუნქციური დატვირთვის მქო-

ნე შტატი. საშტატო ერთეული გაუქმებულად ითვლება, როდესაც შტატი იმავე ფუნქციური დატვირთვით აღარ არსებობს, ახალი საშტატო ერთეულისათვის განისაზღვრა სხვა უფლება-მოვალეობები, არსებითად შეიცვალა საშტატო ერთეულის დასაკავებლად არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სხვა, განსახილველ შემთხვევაში ორგანოს სარწმუნოდ არ დაუსაბუთებია მსგავსი გარემოებების არსებობა“. სასამართლომ მიუთითა, რომ დასაბუთებას საჭიროებდა კონკრეტული მოხელისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც „უნდა განხორციელდეს თ. ბ-სა და ახალ საშტატო ერთეულზე დანიშნული მოხელის პროფესიული უნარ-ჩვევების, გამოცდილების, კომპეტენციის, პიროვნული მახასიათებლებისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი სხვა გარემოებების ურთიერთშედარების საფუძველზე“.

19. ვინაიდან მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი რეორგანიზაცია გახდა და ახალი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს ზემოთ მითითებული განმარტებები უნდა გაეთვალისწინებინა, გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების საკითხის შესაფასებლად, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, დამატებით განმარტოს რეორგანიზაციისას დასაქმებულის გათავისუფლების აუცილებელი წინაპირობები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პოლიციელი საამისოდ უფლებამოსილი პირის ბრძანებით შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან და აყვანილ იქნეს კადრების განკარგულებაში არაუმეტეს 4 თვის ვადით შტატების შემცირებისას ან რეორგანიზაციის დროს, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება. ამდენად, პირის გათავისუფლებას ინვეს არა ნებისმიერი სახის რეორგანიზაცია, არამედ მხოლოდ შტატების შემცირების შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ როგორც მოქმედი კანონის 102-ე, 110-ე მუხლები, ისე 2017 წლის პირველ ივლისამდე მოქმედი კანონის 96-ე მუხლიც, პირის სამსახურიდან გათავისუფლებას, ასევე, უკავშირებდა რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირებას. ამასთან, შტატების შემცირების მოტივით დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლებისას, „ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, შემთხვევა, როდესაც დაწესებულებაში განხორციელებულ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო უკეთესის/საუკეთესოს, უპირატესის ამორჩევის პრინციპზე დაყრდნობით უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას ცალკეულ მოხელეთა განთავისუფლების თუ სამსა-

ხურში დატოვებასთან დაკავშირებით (რაც არაერთგზის განუმარტავს საკასაციო სასამართლოს), ხოლო, მეორე მხრივ, შემთხვევა, როდესაც რეორგანიზაციის დროს უქმდება კონკრეტული სამტატო ერთეული“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-166-165(კ-16)). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, განსახილველ შემთხვევაში პირველი სამართალწარმოებისას დადასტურდა, რომ სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაცია არ ქმნიდა თ. ბ-ას სამსახურიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს, ვინაიდან რეალურად (ფუნქციური დატვირთვიდან გამომდინარე) არ მომხდარა სამტატო ერთეულების სრული გაუქმება, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროში რეორგანიზაციამდე არსებული – ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებისისა და რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი –ისის პოზიციები არსებითად იდენტურ ფუნქციებს აერთიანებდა და ძირითად მოვალეობას ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად, ახალი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა შეეფასებინა რეორგანიზაციის შედეგად შექმნილ საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილებაშიის სამტატო ერთეულთან მოსარჩელის შესაბამისობის საკითხი და თ. ბ-ას ამავე შტატზე დანიშვნაზე უარის თქმის შემთხვევაში – უნდა დაესაბუთებინა, რატომ მიანიჭა უპირატესობა სხვა მოხელეს.

20. განსახილველ შემთხვევაში დადგინდია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული 2019 წლის 14 მაისის №1226073 სადავო ბრძანებით თ. ბ-ა კვლავ იქნა დათხოვნილი შინაგან საქმეთა სამინისტროდან 2017 წლის 2 მაისიდან, ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის 2019 წლის 22 აპრილის №MIA71901034121 წერილის თანახმად, ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით,ის პოზიციაზე შერჩეულ იქნა ლ. თ-ა, რადგან მას გააჩნდა ადამიანური რესურსებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის,ის,ისა და ..ის ...ის პოზიციებზე, მუშაობის გამოცდილება. ნიშანდობლივია, რომ რეორგანიზაციამდე ლ. თ-ა იკავებდა სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველოს) ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის უფროსის თანამდებობას, რომელიც 2017 წლის რეორგანიზაციის შემდეგ აღარ არსებობს. ამრი-

გად,ის საშტატო ერთეულზე დაინიშნა სხვა – შემცირებულ, უფრო მაღალი რანგის საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირი, მიუხედავად იმისა, რომ „იმ შემთხვევაში, როდესაც შტატები სრულად არ უქმდება, უფლებამოსილი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ერთსა და იმავე პოზიციაზე დანიშნული რომელი მოხელე გაათავისუფლოს და რომელი დატოვოს თანამდებობაზე“, ამასთან, „მოხელის თანამდებობიდან განთავისუფლება(ც, მით უფრო შტატების შემცირების საფუძველით, რა დროსაც კონკრეტულ პირთა თანამდებობაზე შენარჩუნება საუკეთესოს შერჩევის პრინციპით უნდა წარიმართოს, ობიექტურ, ცხად და გამჭვირვალე პროცესსა და კრიტერიუმებს უნდა ეფუძნებოდეს, რაც შედეგობრივად განთავისუფლებულ პირს უნდა აძლევდეს შესაძლებლობას, სრულად აღიქვას და გაიაზროს მისი განთავისუფლების, ასევე, მასთან შედარებით სხვა კონკრეტულ პირთათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველები“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №664-664(კ-18)).

21. საკასაციო პალატა აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ სადავო შემთხვევაში უპირატესობის მინიჭება/კონკურენციის წარმოქმნა ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებულ პირებს შორის არ მომხდარა და ახალ თანამდებობაზე დაინიშნა ის პირი, რომლის მიერ დაკავებული თანამდებობაც რეალურად გაუქმდა, საყურადღებოა მისი დანიშვნის ძირითადი მოტივებიც – კასატორის განმარტებით, ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის ..ის ...ი ასრულებდა და კონტროლს უწევდა ყველა ფუნქციის შესრულებას. საკასაციო პალატა, დასახელებული არგუმენტის შეფასებისას, განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მასზედ, რომ ..ის ...ის არყოფნისას სწორედ მთავარ სპეციალისტს – თ. ბ-ას ეკისრებოდა უფროსის ფუნქციების შესრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული კრიტერიუმი სათანადოდ და ამომწურავად არ ასაბუთებს და ადასტურებს კონკრეტული მოხელისთვის უპირატესობის ობიექტურად მინიჭების ფაქტს.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოთა დასკვნას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ არის დასაბუთებული და არ შეესაბამება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რაც ადასტურებს თ. ბ-ას სამსახურიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით გათავისუფლებას. ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 14 მაისის №1226073 ბრძანება მარ-

თებულად იქნა ბათილად ცნობილი და აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა სწორად არის გადაწყვეტილი.

23. რაც შეეხება პირის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების სამართლებრივ შედეგებს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №995 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამინისტროს მოსამსახურეები სამსახურიდან უკანონო დათხოვნის/ გათავისუფლების, დაქვეითების ან წოდების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევაში ექვემდებარებიან აღდგენას თანამდებობაზე, ასევე უბრუნდებათ ჩამორთმეული წოდება. იმავე „წესის“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად კი, უკანონოდ გათავისუფლებული მოსამსახურის თანამდებობაზე აღდგენისას, თუ შტატის შემცირების გამო აღარ არსებობს ან უკვე დაკომპლექტებულია უკანონოდ გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობა, პირი, მისი კვალიფიკაციის და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, ინიშნება შესაბამის (ტოლფას) ან მისი თანხმობით – სხვა თანამდებობაზე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირი უარს იტყვის შეთავაზებულ თანამდებობაზე, გათავისუფლება დაკავებული/აღდგენილი თანამდებობიდან. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტითაც, ასევე, დადგენილია, რომ ზემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. აღსანიშნავია, რომ „ამჟამად მოქმედი კანონმა, განსხვავებით მანამდე მოქმედი კანონისგან, გამორიცხა უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის აღდგენისას სადავო თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესით დანიშნული პირის გათავისუფლება. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 31.10.1997წ. კანონის 97-ე მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ მიუთითებდა არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენისას მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობაზე. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ამგვარი საფუძველი გათვალისწინებული არ არის ამჟამად მოქმედი კანონით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 27.10.2015წ. კანონის 118-ე მუხლი ადგენს და განსაზღვრავს უკანონოდ გათავისუფლებული პირის თანამდებობაზე აღდგენის პროცედურას და განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს სადავო თანამდებობის ვაკანტურობის ფაქტს. სადავო თანამდებობის სხვა პირის მიერ დაკავების ფაქტი გამორიცხავს სასამარ-

თლოს მიერ იმავე თანამდებობაზე პირის აღდგენას. მოხელის სამუშაოზე აღდგენაში არ შეიძლება მოიაზრებოდეს სადავო პოზიციაზე დანიშნული პირის თანამდებობიდან გათავისუფლების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა მოხდეს სამსახურში აღდგენილი მოხელის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნა იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში. თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელია იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის არარსებობის გამო, ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბიუროს საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობის მოძიების თხოვნით“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-139(4კ-19)).

24. ამრიგად, მოსარჩელე ექვემდებარება სამსახურში აღდგენას, თუმცა მნიშვნელოვანია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტი, რომის თანამდებობა ვაკანტური არ არის და მას სხვა პირი იკავებს. სწორედ ამიტომ, მოსარჩელე, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უნდა აღდგეს არა პირდაპირ იმავე თანამდებობაზე, არამედ – იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში ტოლფას თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს. ამასთან, თუ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა შეუძლებელი გახდება იმავე საჯარო დაწესებულების სისტემაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად უნდა განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის პროცედურა. შესაბამისად, კონკრეტულ თანამდებობაზე პირდაპირ აღდგენის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა დაევალოს თ. ბ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

25. მოსარჩელე, ასევე, ითხოვს იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში, სამსახურში აღდგენილ მოხელეს ეძლევა განაცდური შრომითი გასამრჯელო. „იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მიმართულია იმ უფლებებში აღდგენისკენ, რომელშიც პირი იმყოფებოდა სამსახურიდან გათავისუფლებამდე, შესაბამისად, განაცდური ხელფასის ანაზღაურების ოდენობის გაანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ანაზღაურება, რომელსაც მო-

სარჩელე იღებდა მისი განთავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემამდე“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-139(4კ-19)). ვინაიდან თ. ბ-ას სამსახურიდან გათავისუფლება უკანონოდ იქნა მიჩნეული და მოპასუხეს მისი სამსახურში აღდგენა დაევალა, სასამართლომ მართებულად დაავალა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ განაცდური მიუღებელი ხელფასის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან მის სამსახურში აღდგენამდე, შესაბამისი თანამდებობისათვის დადგენილი ხელფასის ყოველთვიური ოდენობით.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის თანამდებობაზე თ. ბ-ას პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებელი განჩინების გაუქმებისა და აღნიშნულ ნაწილში საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები, რომლითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალება თ. ბ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა; ხოლო დანარჩენ ნაწილში (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-9 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

ბ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის თანამდებობაზე თ. ბ-ას პირდაპირ (უშუალოდ) აღდგენის ნაწილში და აღნიშნულ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს თ. ბ-ას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისის ...ისის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 დეკემბრის განჩინება;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უშუალო ხელმოწვევად აღადგინების
პროცესის დასრულებისა და აქტის ნორმატიული დარღვევის
გამო სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-773(კ-20)

1 ივლისი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ა. წულაძე

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თანამდებობაზე აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 18 ოქტომბერს ს. ო-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ.

მოსარჩელემ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანების ბათილად ცნობა და თანამდებობაზე აღდგენა მოითხოვა.

სარჩელის თანახმად, ს. ო-ი 2015 წლის 5 იანვრიდან მუშაობდა ახალქალაქის რაიონის სოფელ ...ის მთავარ სპეციალისტად. მას არანაირი დისციპლინარული გადაცდომა ჩადენილი არ ჰქონია. მუშაობის პერიოდში სოფელში მოქალაქეებთან ცდილობდა ყოფილიყო კორექტული. ყოველთვის ცდილობდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მოეგვარებინა სოფლის მაცხოვრებლებს შორის წამოჭრილი საკითხები. 2018 წლის მაისის თვეში, როგორც მისთვის გახდა ცნობილი, სოფელ ...ის მაცხოვრებლებმა განცხადებით მიმართეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს მისი სპეციალისტად მუშაობის პერიოდში დაშვებული დარღვევების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ს. ო-ს ...ის ყოფილი კოლმეურნეობის კუთვნილი სამი მისაბმელი, ლაფეტი, ათტონიანი სასწორი და მანქანების სალონის მოწყობილობა გადატანილი ჰქონდა მის ტერიტორიაზე. ასევე მეორე განცხადებით მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ სოფლისთვის განკუთვნილი ფული არ იყო დახარჯული მიზნობრივად. უნდა განახლებულიყო წყლის არხები, მაგრამ სამუშაოები არ ჩატარებულა. ასევე სოფელში გაითხარა ორი აუზი, რომლებშიც უნდა შეგროვებულიყო წყალი ძროხების დასარწლუნებლად, მაგრამ აღნიშნული სამუშაოებიც არ ჩატარებულა. აღნიშნული განცხადებების საპასუხოდ მოსარჩელის მიერ 2018 წლის 17 სექტემბერს დაინერა განმარტებითი ბარათი, რომელიც გადაეგზავნა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს.

2018 წლის 21 სექტემბრის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნისა და 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმის საფუძველზე, 2018 წლის 24 სექტემბრის №2103/13 ბრძანებით ს. ო-ი გათავისუფლებული იქნა დაკავებული მერიის არაგვის ადმინისტრაციული ერთეულის მე-... რანგის მე-... ..ისის თანამდებობიდან.

სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების აქტი ეწინააღმდეგება კანონს, დისციპლინური წარმოება არასრულად იქნა ჩატარებული. წარმოებისას არ იქნენ მიწვეულნი ის პირები, ვისი განცხადების საფუძველზეც წარმოება იქნა დაწყებული. განთავისუფლების საფუძველი იყო შიდა აუდიტის დასკვნა და ეთიკის ნორმების დარღვევა. აუდიტის დასკვნა არასრულია, დისციპლინური წარმოებისას სრულყოფილად არ იქნა გამოკვლეული საჩივრებში მითითებული გარემოებები. ს. ო-ი 10 წელი მუშაობდა კეთილსინდისიერად და მაღლობებიც კი ჰქონდა გამოცხადებული.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით ს. ო-ის სარჩელი, მოპასუხე ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანების ბათილად ცნობისა და თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ს. ო-ი 2015 წლის 5 იანვრიდან ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 30 დეკემბრის №4 სხდომის ოქმის შედეგების გათვალისწინებით, ვაკანტურ თანამდებობაზე სამტატო განრიგით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთით დაინიშნა მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე სოფელ ...აში.

2018 წლის მაისის თვეში, სოფელ ...ის მაცხოვრებლებმა განცხადებით მიმართეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს ს. ო-ის სპეციალისტად მუშაობის პერიოდში დაშვებული დარღვევების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ს. ო-ს ...ის ყოფილი კოლმეურნეობის კუთვნილი სამი მისაბმელი, ლაფეტი, ატონიანი სასწორი და მანქანების სალონის მონყობილობა გადატანილი ჰქონდა მის ტერიტორიაზე. ასევე მეორე განცხადებით მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ სოფლისთვის განკუთვნილი ფული არ იყო დახარჯული მიზნობრივად. უნდა განახლებულიყო წყლის არხები, მაგრამ სამუშაოები არ ჩატარებულა. ასევე სოფელში გაითხარა ორი აუზი, რომლებშიც უნდა შეგროვებულიყო წყალი ძროხების დასარწლულებლად, მაგრამ აღნიშნული სამუშაოებიც არ ჩატარებულა.

მოქალაქეთა განცხადებების საპასუხოდ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის – ი. უ-ის სახელზე, მოსარჩელის მიერ, 2018 წლის 17 სექტემბერს შედგენილი იქნა განმარტებითი ბარათი.

სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხულმა ლ. უ-მა აჩვენა, რომ იგი არის მერიის წარმომადგენელი ...ს ერთეულში. ...ს ერთეულში შედის ხუთი სოფელი, მათ შორის ...ა. 2018 წლის 28 აგვისტოს და 5 სექტემბერს მან მიიღო სოფელ ...ას მაცხოვრებლებისგან ორი განცხადება. იგი უშუალოდ, თავად გაესაუბრა განცხადების ავტორებს. თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზეც იყო შვიდი კაცის მიერ შედგენილი განცხადება, მაგრამ აღნიშნული ვერ დადასტურდა, თუმცა გარდა ამისა, სხვა დარღვევებზეც იყო მითითებული. კერძოდ, ს. ო-ი არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის წვევამდებებისათვის უწყებების ჩაბარებაში დახმარებას არ უწევდა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს, მინის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებშიც არ ღებულობდა მონაწილეობას და მისი მოთხოვნის მიუხედავად არ აბარებ-

და მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საბუთებს, თანამდებობიდან გათავისუფლების მიუხედავად, დღემდე წარმომადგენლისათვის მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები არ ჩაუბარებია. ლ. უ-მა დაადასტურა მის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის შინაარსი. მისი ჩვენებით 2018 წლის თებერვლის თვეში ს. ო-ს საყვედური ჰქონდა გამოცხადებული სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ა-მა აჩვენა, რომ იგი არის მერიის შიდა აუდიტის უფროსი. იგი ადასტურებს მის მიერ შედგენილ დასკვნას და განმარტავს, რომ მოსახლეობის განცხადების შესწავლის შედეგად დაინყეს მოკვლევა, მიიწვიეს ს. ე-ი. და ლ. უ-ი. თათბირი ჩაატარეს და განიხილეს განცხადებები, დაინყეს საქმის წარმოება. შესწავლის შედეგად დადასტურდა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. კერძოდ, დადგინდა, რომ ს. ო-ი მოსახლეობას ლანძღავდა, კონფლიქტში შედიოდა მათთან, ამდენად, სახეზე იყო ეთიკის წესების დარღვევა. მითვისებასა და გაფლანგვასთან დაკავშირებით განცხადება პროკურატურას გადასცეს. მათ მიერ განცხადების ავტორები უშუალოდ არ ყოფილან გამოკითხულები. სხდომას ესწრებოდა მოსარჩელე ს. ო-ი.

სასამართლო სხდომაზე დისტანციური წესით მოწმის სახით დაკითხულმა რ. ვ-მა აჩვენა, რომ იგი არის განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერი. ხელი მართლაც მოაწერა, მაგრამ არ წაუკითხავს თურას აწერდა ხელს. ხელი ცარიელ ფურცელს მოაწერა, რომელიც ა. გ-მა მიუტანა. ფურცელზე კიდევ ვისი ხელმომწერები იყო მას არ ახსოვს.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა შ. ხ-მა აჩვენა, რომ იგი არის მოსარჩელე ს. ო-ის ნათესავი (მძახალი). განცხადება ლ. უ-ის სახელზე მან დაწერა, ხოლო შვიდმა კაცმა მოაწერა ხელი, სხვებიც მოაწერდნენ, მაგრამ ს. ო-ის ეშინიათ. 10 წელი მუშაობდა და არანაირი სიკეთე არ გაუკეთებია. შ.ხ-ის ჩვენებით ს.ო-ი მის ცოლს ლანძღავდა, მეძავს და ქურდს ეძახდა. განცხადება როდის დაიწერა კონკრეტულად არ ახსოვს.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ო-მა აჩვენა, რომ იგი არის სოფელ ...ას მცხოვრები. განცხადება ლ. უ-ის სახელზე მისი შედგენილია. ს. ო-ი მოქალაქეებს უხეშად ექცეოდა, ემუქრებოდა, პირადად მას სულ უკან დასდევდა და ცდილობდა ზიანი მიეყენებინა, ყველაფერში ხელს უშლიდა, ფურნის ყიდვაშიც მან შეუშალა ხელი.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ლ. პ-მა აჩვენა, რომ იგი არის სოფელ ...ას მცხოვრები და განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერი. 4-5 წლის წინ ს. ო-მა მას ვაუჩყრი არ მისცა. ს.

ო-ი მოქალაქეებს უხეშად ექცეოდა, მოსახლეობას ემუქრებოდა გადაგასახლებთო. მთელი სოფელი მის წინააღმდეგ არის და არ სურთ რომ ს.ო-მა მათ სოფელში იმუშაოს. კონკრეტულად მას მიწის აზომვაში შეუშალა ხელი.

სასამართლომ დადგინდა სადავო ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა, რომ 2018 წლის 21 სექტემბრის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნისა და 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმის საფუძველზე, 2018 წლის 24 სექტემბრის №2103/13 ბრძანებით ს. ო-ი გათავისუფლებული იქნა დაკავებული მერიის არაგვის ადმინისტრაციული ერთეულის მე-... რანგის მე-... ..ისის თანამდებობიდან.

სასამართლოს მითითებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დაღუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან ამჟამად აღემატება მის შესაძლებლობებს. ამავე კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს საჯარო დაწესებულების სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლის თანახმად, 1. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ბ) საყვედური; დ) სამსახურიდან გათავისუფლება. ამავე კანონის 98-ე მუხლის საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 106-ე მუხლის საფუძველზე მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის მიერ. მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებით დად-

გენილ მოთხოვნებს.

სასამართლოს მითითებით, 2017 წლის 20 აპრილის საქართველოს მთავრობის №200 დადგენილება საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის შესახებ ადგენს საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგად წესებს. აღნიშნული დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე მოქმედებს მისი უფლებამოსილების ფარგლებში; თანამდებობრივ მდგომარეობასა და უფლებამოსილებას იყენებს კანონის საფუძველზე საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით. საჯარო მოსამსახურე ახორციელებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ისე, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელის მიერ მისი საქმიანობის შემოწმება. საჯარო მოსამსახურე საჯარო ინტერესს აყენებს პირად ინტერესზე მაღლა და თავიდან ირიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი ან/და აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი. საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და კეთილსინდისიერად იყენებს სამსახურებრივ მოწმობას, საშვს ან/და უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაცემულ სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს. საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივ მოწმობას, საშვს ან/და სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს არ იყენებს რაიმე სახის უპირატესობის ან სარგებლის მიღების, ასევე სამართალდარღვევის ან/და სხვა სახის გადაცდომებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით. საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, იყენებს მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის მინდობილ ქონებას. საჯარო მოსამსახურე მინდობილი ქონების დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების, ასევე მინდობილი ქონების იმავე საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურისათვის გადაცემის, ან საჯარო დაწესებულების შენობიდან გატანის შესახებ ატყობინებს საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს. საჯარო მოსამსახურე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს უბრუნებს სამსახურებრივ მოწმობას, საშვს ან სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, ასევე მისთვის მინდობილ ქონებას (ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით), რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საჯარო დაწესებულებაში უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში. კერძო სექტორიდან საჯარო სამსახურში გადმოსული საჯარო მოსამსახურე: ა) არ აყენებს ბიზნესის ან/და მისი ყოფილი პარტნიორების კერძო ინტერესებს საჯარო ინტერესებზე მაღლა პოლიტიკისა თუ

სხვა სახის რეგულაციების შემუშავებისას, ხელშეკრულებების გაფორმებისას თუ სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებისას; ბ) თავიდან ირიდებს ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს ბიზნესის ან მისი პარტნიორების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებად. კეთილსინდისიერების პრინციპს იცავს ასევე ყოფილი საჯარო მოსამსახურე, რომელიც საჯარო სამსახურიდან გადასულია კერძო სექტორში. ამავე დადგენილების მე-14 მუხლის საფუძველზე საჯარო მოსამსახურე პატივს სცემს ყველა ადამიანის ღირსებასა და საჯარო სამსახურში არსებულ მრავალფეროვან გარემოს. საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას ვინმესთვის დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭების ან ვინმეს არაუპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვის გზით.

განსახილველ საქმესთან მიმართებაში, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო სამართლებრივი აქტი (ბრძანება) გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და არ არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებული მისი ბათილად ცნობის საფუძველი. სადავო აქტი არ ეწინააღმდეგება კანონს და არ დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, მოწმეთა ჩვენებებითა და სოფელ ...ის მაცხოვრებელთა განცხადებებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე ს. ო-ი მათთან ურთიერთობისას გამოორჩეოდა აგრესიით, ხშირად ემოქრებოდა და შეურაცხყოფას აყენებდა მათ, დახმარების ნაცვლად ხელს უშლიდა მოქალაქეებს თავიანთი პრობლემების მოგვარებაში. ამასთან, მერიის წარმომადგენელმა ...ს ერთეულში ლ. უ-მა აჩვენა, რომ ს. ო-ი არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, ჯარის წევრადმდებლებს უწყებებს არ აზარებდა, მინის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებშიც არ ღებულობდა მონაწილეობას, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მას დოკუმენტები არ ჩაუბარებია, ხოლო 2018 წლის თებერვლის თვეში ს. ო-ს საყვედური ჰქონდა გამოცხადებული სამსახურში გამოუცხადებლობის გამო. ამდენად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია და სადავო არ იყო, რომ მოსარჩელის მიერ დარღვეულ იქნა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილების მოთხოვნები, რაც საფუძველი გახდა მისი გათავისუფლებისა. დისციპლინური წარმოება დაიწყო კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 89-ე მუხლის

პირველი პუნქტის თანახმად. ინსპექტირების სამსახური უფლებამოსილი იყო დაეწყო დისციპლინური წარმოება, ჩატარდა სხდომა, რომელსაც თავად ს. ო-იც ესწრებოდა. შესაბამისად, საქმის სრულყოფილი და სათანადო შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად, 2018 წლის 21 სექტემბრის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის დასკვნისა და 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმის საფუძველზე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103/13 ბრძანებით ს. ო-ი გათავისუფლებული იქნა დაკავებული მერიის არაგვის ადმინისტრაციული ერთეულის მე-... რანგის მე-...ისის თანამდებობიდან.

სასამართლოს მითითებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზით ირკვევა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომლის ბათილად ცნობასაც ითხოვს ს. ო-ი, არანაირ პირდაპირ და უშუალო ზიანს არ აყენებს მის კანონიერ ინტერესებს, რამდენადაც იგი გამოცემულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის, ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. გადანყვეტილება ეფუძნება მოქმედ სამართლებრივ ნორმებს, კერძოდ, არ დარღვეულა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-54-ე, 60¹ მუხლის მოთხოვნები, შესაბამისად, ს. ო-ის სარჩელი უსაფუძვლო იყო და არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილება სააპელაციო ნესით გაასაჩივრა ს. ო-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის გადანყვეტილებით ს. ო-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სარჩელი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადანყვეტილება, რომლითაც ს. ო-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანება და ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, მოცემულ საქმეზე კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ახალი აქტის გამოცემა დაევალა; უცვლელად დარჩა ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 15 თებერვლის გადანყვეტილება იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მოსარჩელეს

უარი ეთქვა თანამდებობაზე აღდგენაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს საჯარო დაწესებულების სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. იმავე კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ბ) საყვედური; დ) სამსახურიდან გათავისუფლება. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 98-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. იმავე კანონის 106-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება შესაბამისი საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის მიერ. ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და იგი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე და 53-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ს. ო-ის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ 2018 წლის 24 სექტემბრის ბრძანების შინაარსზე, სადაც მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ა.დ. ქვეპუნქტი და იმავე კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ასევე მერის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნა და მერის დისციპლინარული წარმოების 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმი.

სააპელაციო პალატამ ასევე ყურადღება გაამახვილა მოცემულ საქმეში წარმოდგენილ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნაზე, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ...ის მე-... რანგის მე-... ..ისის – ს. ო-ის მიერ ჩადენილია კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ: ს. ო-ის მიერ არ იყო შესრულებული უშუალო ხელმძღვანელი პირის დავალება, სისტემატიურად დარღვეული იყო ეთიკის ნორმები. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 5 თებერვლის №395-13 ბრძანებით ს. ო-ის მიმართ მიღებული იქნა დის-

ციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – საყვედური. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დასკვნაში მითითებულია, რომ ს. ო-ის მიმართ უნდა შეიფარდოს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომა – სამსახურიდან გათავისუფლება.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 20 სექტემბრის დისციპლინური წარმოების №1 ოქმზე, სადაც ს. ო-ი განმარტავს, რომ 10 წელია რაც ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (მერიაში) მუშაობს, მიღებული აქვს ნახალისებები და არასდროს ჰქონია ცუდი ურთიერთობა მოსახლეობასთან. მას მხოლოდ ა. ო-თან აქვს დაძაბული ურთიერთობა, ვინაიდან მას სურს სახელმწიფო ქონების მითვისება, ხოლო თავად მას სურს დაიცვას სახელმწიფო საკუთრება. მან იმავე სხდომაზე განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე მიმართა შსს-ს ახალქალაქის სამმართველოს და ამიტომ აქვს დაძაბული ურთიერთობა ა. ო-თან, ხოლო მოსახლეობასთან კი კარგი ურთიერთობა აქვს.

სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ყოველმხრივ და ერთობლიობაში შემონიშნა-შეფასების შედეგად ჩათვალა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანება არ არის გამოცემული კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-103-ე მუხლების საწინააღმდეგოდ მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარმოუდგენია სათანადო და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულ იქნა საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის შედეგად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირის თანამდებობიდან განთავისუფლება წარმოადგენს დისციპლინური პასუხისმგებლობის უკიდურეს ღონისძიებას და იგი არ უნდა ეფუძნებოდეს ისეთი ზოგადი შინაარსის დასკვნას, როგორცაა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნა. აღნიშნულ დასკვნაში არ არის კონკრეტულად მითითებული მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელი პირის რომელი დავალება არ იყო შესრულებული, ასეთი შეუსრულებელი დავალებების რაოდენობა, რაში გამოიხატა ს. ო-ის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევა და რა რაოდენობით იქნა იგი დარღვეული. ამიტომ სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექ-

სის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ბათილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103-13 ბრძანება.

სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმა მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 18 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი.

კასატორი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს მითითებაზე აღნიშნავს, რომ საქმისწარმოების მასალებიდან ჩანს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცულია კანონის მოთხოვნა, საქმეში ჩართულია ყველა დაინტერესებული პირი და გამოკვლეულია ყველა გარემოება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით გაკეთებულ მითითებაზე კი აღნიშნავს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებაში მითითებულია ბრძანების საფუძვლები, მითითებულია როგორც მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დასკვნა, ასევე №1 სხდომის ოქმი, სადაც დეტალურად არის მითითებული გამოკვლეული გარემოებები და დადასტურებული ფაქტები.

კასატორის განმარტებით, ს. ო-ის მიერ სისტემატიურად არ

სრულდებოდა უშუალო ხელმძღვანელის მითითებები, კერძოდ, სოფელ ...ში ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის – ღ. უ-ის მიერ იყო მითითება, რათა ს. ო-ი დაეხმარებინა სამხედრო სავალდებულო სამსახურის წვევამდებლებისათვის უწყებების ჩაბარებაში, რაზეც მან უარი თქვა, რის გამოც პრობლემები შეიქმნა. ასევე დადასტურდა და თავად ს. ო-მაც აღიარა, რომ მინის ნაკვეთების რეგისტრაციის ფარგლებში ღ. უ-ის მიერ გადაცემულ იქნა სოფელ ...ის საქმეები ადგილზე დათვალიერებისათვის დაინტერესებული პირების ინფორმირებისა და ადგილზე დათვალიერების ორგანიზებისათვის, რაც არ იქნა შესრულებული. ასევე დადასტურდა ის ფაქტი, რომ ს. ო-ის მიერ არაერთხელ დაირღვა ეთიკის ნორმები, მას ხშირად ჰქონდა კონფლიქტი სოფლის მოსახლეობასთან. აღნიშნული სრულად იქნა შესწავლილი, როგორც ადმინისტრაციული საქმისწარმოების ფარგლებში, ასევე პირველი ინსტანციის სასამართლო განხილვის დროს. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად არის შეფასებული აღნიშნული გარემოებები, რის გამოც მიღებულია უსაფუძვლო გადაწყვეტილება. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიამ ს. ო-ის მიერ ჩადენილი ქმედებები შეაფასა როგორც უხეში დარღვევა და მიიღო გადაწყვეტილება სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 იანვრის განჩინებით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ო-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ს. ო-ი 2015 წლის 5 იანვრიდან, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 30 დეკემბრის №4 სხდომის ოქმის შედეგების გათვალისწინებით, ვაკანტურ თანამდებობაზე საშტატო განრიგით გათვალისწინებული სახელფასო განაკვეთით დაინიშნა მთავარი სპეციალისტის თანამდებობა-

ზე სოფელ ...აში.

2018 წლის მაისის თვეში სოფელ ...ის მაცხოვრებლებმა განცხადებით მიმართეს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს ს. ო-ის სპეციალისტად მუშაობის პერიოდში დაშვებული დარღვევების თაობაზე. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ს. ო-ს ...ის ყოფილი კოლმეურნეობის კუთვნილი სამი მისაბმელი, ლაფეტი, ათტონიანი სასნორი და მანქანების სალონის მოწყობილობა გადატანილი ჰქონდა მის ტერიტორიაზე. ასევე მეორე განცხადებით მას ბრალს სდებდნენ იმაში, რომ სოფლისთვის განკუთვნილი ფული არ იყო დახარჯული მიზნობრივად. უნდა განახლებულიყო წყლის არხები, მაგრამ სამუშაოები არ ჩატარებულა. ასევე სოფელში გაითხარა ორი აუზი, რომლებშიც უნდა შეგროვებულიყო წყალი ძროხების დასარწლულებლად, მაგრამ აღნიშნული სამუშაოებიც არ ჩატარებულა.

მოქალაქეთა განცხადებების საპასუხოდ, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის – ი. უ-ის სახელზე, მოსარჩელის მიერ, 2018 წლის 17 სექტემბერს შედგენილი იქნა განმარტებითი ბარათი.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ლ. უ-მა აჩვენა, რომ იგი არის მერიის წარმომადგენელი ...ს ერთეულში. ...ს ერთეულში შედის ხუთი სოფელი, მათ შორის ...ა. 2018 წლის 28 აგვისტოს და 5 სექტემბერს მან მიიღო სოფელ ...ას მაცხოვრებლებისგან ორი განცხადება. იგი უშუალოდ, თავად გაესაუბრა განცხადების ავტორებს. თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზეც იყო შვიდი კაცის მიერ შედგენილი განცხადება, მაგრამ აღნიშნული ვერ დადასტურდა, თუმცა გარდა ამისა, სხვა დარღვევებზეც იყო მითითებული. კერძოდ, ს. ო-ი არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის წვევამდელებისათვის უწყებების ჩაბარებაში დახმარებას არ უწევდა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებს, მინის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებშიც არ ღებულობდა მონაწილეობას და მისი მოთხოვნის მიუხედავად, არ აბარებდა მინის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საბუთებს, თანამდებობიდან გათავისუფლების მიუხედავად, დღემდე წარმომადგენლისათვის მინის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დოკუმენტები არ ჩაუბარებია. ლ. უ-მა დაადასტურა მის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათის შინაარსი. მისი ჩვენებით 2018 წლის თებერვლის თვეში ს. ო-ს საყვედური ჰქონდა გამოცხადებული სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ა-მა აჩვენა, რომ იგი არის მერიის შიდა აუდიტის უფროსი. იგი ადასტურებს მის მიერ შედგენილ დასკვნას და განმარტავს, რომ მოსახლეობის განცხადების შესწავლის შედეგად დაინყეს მოკვლევა, მიიწვიეს ს. ე-ი და ლ. უ-ი. თათბირი ჩაატარეს და განიხილეს განცხა-

დებები, დაინყეს საქმის წარმოება. შესწავლის შედეგად დადასტურდა განცხადებაში მოყვანილი ფაქტები. კერძოდ, დადგინდა, რომ ს. ო-ი მოსახლეობას ლანძღავდა, კონფლიქტში შედიოდა მათთან, ამდენად, სახეზე იყო ეთიკის წესების დარღვევა. მითვისებასა და გაფლანგვასთან დაკავშირებით განცხადება პროკურატურას გადასცეს. მათ მიერ განცხადების ავტორები უშუალოდ არ ყოფილან გამოკითხულები. სხდომას ესწრებოდა მოსარჩელე ს. ო-ი.

სასამართლო სხდომაზე დისტანციური წესით მოწმის სახით დაკითხულმა რ. ვ-მა აჩვენა, რომ იგი არის განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერი. ხელი მართლაც მოაწერა, მაგრამ არ წაუკითხავს თურას აწერდა ხელს. ხელი ცარიელ ფურცელს მოაწერა, რომელიც ა. გ-მა მიუტანა. ფურცელზე კიდევ ვისი ხელმომწერები იყო მას არ ახსოვს.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა შ. ხ-მა აჩვენა, რომ იგი არის მოსარჩელე ს. ო-ის ნათესავი (მძახალი). განცხადება ლ. უ-ის სახელზე მან დაწერა, ხოლო შვიდმა კაცმა მოაწერა ხელი, სხვებიც მოაწერდნენ მაგრამ ს. ო-ის ემინიათ. 10 წელი მუშაობდა და არანაირი სიკეთე არ გაუკეთებია. შ. ხ-ის ჩვენებით ს. ო-ი მის ცოლს ლანძღავდა, მეძავს და ქურდს ეძახდა. განცხადება როდის დაიწერა კონკრეტულად არ ახსოვს.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ო-მა აჩვენა, რომ იგი არის სოფელ ...ას მცხოვრები. განცხადება ლ. უ-ის სახელზე მისი შედგენილია. ს. ო-ი მოქალაქეებს უხეშად ექცეოდა, ემუქრებოდა, პირადად მას სულ უკან დასდევდა და ცდილობდა ზიანი მიეყენებინა, ყველაფერში ხელს უშლიდა, ფურნის ყიდვაშიც მან შეუშალა ხელი.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ლ. პ-მა აჩვენა, რომ იგი არის სოფელ ...ას მცხოვრები და განცხადებაზე ერთ-ერთი ხელმომწერი. 4-5 წლის წინ ს. ო-მა მას ვაუჩერი არ მისცა. ს. ო-ი მოქალაქეებს უხეშად ექცეოდა, მოსახლეობას ემუქრებოდა გადაგასახლებთო. მთელი სოფელი მის წინააღმდეგ არის და არ სურთ რომ ს. ო-მა მათ სოფელში იმუშაოს. კონკრეტულად მას მინის აზომვაში შეუშალა ხელი.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 24 სექტემბრის №2103/13 ბრძანებით ს. ო-ი გათავისუფლებულ იქნა დაკავებული მერიის არაგვის ადმინისტრაციული ერთეულის მე-... რანგის მე-... ..ისის თანამდებობიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის და 96-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნისა და მერიის დისციპლინური წარ-

მოების 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმის თანახმად.

საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო მოსამსახურის მიერ ..არაჯეროვანმა შესრულებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც არის საჯარო მოსამსახურისათვის პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლენილი დარღვევებისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელის დისციპლინური გადაცდომებია: ა) სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა; ბ) საჯარო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების განზრახ ან გაუფრთხილებლობით შექმნა; გ) ეთიკის ნორმების, ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა ან დარღვევა, რომელიც მიმართულია მოხელისა და საჯარო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ, მიუხედავად იმისა, სამსახურშია იგი ჩადენილი თუ სამსახურის გარეთ. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, დისციპლინური გადაცდომა შესაძლებელია იყოს მძიმე ან მსუბუქი. დისციპლინური გადაცდომა ითვლება მძიმედ, თუ: ა) დისციპლინურმა გადაცდომამ გამოიწვია დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირის რეპუტაციის შელახვა, რაც გამორიცხავს ამ პირის მიერ მომავალში სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებას; ბ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულების რეპუტაციას; გ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებას; დ) დისციპლინური გადაცდომის შედეგად ზიანი მიადგა საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურეს, მესამე პირს ან საჯარო ინტერესს; ე) მოხელემ უარი თქვა ამ კანონით გათვალისწინებულ შეფასებაზე; ვ) დისციპლინური პასუხისმგებლობის მქონე პირმა ჩაიდინა ახალი დისციპლინური გადაცდომა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს საჯარო დაწესებულების სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული. ამავე კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებია: ა) გაფრთხილება, ბ) საყვედური, გ) თანამდებობრივი სარგოს 10 პროცენტით და 50 პროცენტამდე დაკავება 1-დან 6 თვემდე ვადით, დ) სამსახურიდან გათავისუფლება. ამავე კანონის 98-ე მუხლის თანახმად, სამსახურიდან გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მძიმე დისციპ-

ლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 106-ე მუხლის მიხედვით, მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მოხელე სამსახურიდან თავისუფლდება შესაბამისი საჯარო დანესებულების ხელმძღვანელის ან საამისოდ უფლებამოსილი სხვა პირის მიერ.

ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელე ვალდებულია შეასრულოს უშუალო ხელმძღვანელის განკარგულება, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, იმ შემთხვევაშიც, თუ ასეთი განკარგულების შესრულება არ განეკუთვნება მის ფუნქციებს და მისი შესრულება, საჯარო დანესებულების ფუნქციონირების ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია სტიქიური უბედურებისა და უბედური შემთხვევის თავიდან დროულად ასაცილებლად, ქონების დალუპვისა და გაფუჭებისაგან დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი განკარგულების შესრულება საზიანოა მოხელის ჯანმრთელობისათვის ან აშკარად აღემატება მის შესაძლებლობებს. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, რა დროსაც მოხელეს უფლება აქვს, უარი განაცხადოს განკარგულების შესრულებაზე.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №200 დადგენილებით განსაზღვრული „საჯარო დანესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ მე-8 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე მოქმედებს მისი უფლებამოსილების ფარგლებში; თანამდებობრივ მდგომარეობასა და უფლებამოსილებას იყენებს კანონის საფუძველზე საჯარო ინტერესის დაცვის მიზნით. საჯარო მოსამსახურე ახორციელებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას ისე, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყოს ხელმძღვანელის მიერ მისი საქმიანობის შემოწმება. საჯარო მოსამსახურე საჯარო ინტერესს აყენებს პირად ინტერესზე მაღლა და თავიდან ირიდებს ისეთ გარემოებებს, რომლებმაც შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი ან/და აღქმულ იქნეს, როგორც ინტერესთა კონფლიქტი. საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და კეთილსინდისიერად იყენებს სამსახურებრივ მონაწილას, საშვს ან/და უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაცემულ სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს. საჯარო მოსამსახურე სამსახურებრივ მონაწილას, საშვს ან/და სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს არ იყენებს რაიმე სახის უპირატესობის ან სარგებლის მიღების, ასევე სამართალდარღვევის ან/და სხვა სახის გადაცდომებისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით. საჯარო მოსამსახურე უფრთხილდება და

კეთილსინდისიერად, მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის, იყენებს მისთვის სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისათვის მინდობილ ქონებას. საჯარო მოსამსახურე მინდობილი ქონების დაზიანების, დაკარგვის ან/და განადგურების, ასევე მინდობილი ქონების იმავე საჯარო დაწესებულებაში მომუშავე სხვა საჯარო მოსამსახურისათვის გადაცემის, ან საჯარო დაწესებულების შენობიდან გატანის შესახებ ატყობინებს საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს. საჯარო მოსამსახურე სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში საჯარო დაწესებულების შესაბამის უფლებამოსილ პირს უზრუნველს სამსახურებრივ მონაწილას, საშვს ან სხვა ოფიციალურ საიდენტიფიკაციო დოკუმენტს, ასევე მისთვის მინდობილ ქონებას (ბუნებრივი ცვითის გათვალისწინებით), რომელიც მას გადაცემული ჰქონდა საჯარო დაწესებულებაში უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში. კერძო სექტორიდან საჯარო სამსახურში გადმოსული საჯარო მოსამსახურე: ა) არ აყენებს ბიზნესის ან/და მისი ყოფილი პარტნიორების კერძო ინტერესებს საჯარო ინტერესებზე მაღლა პოლიტიკისა თუ სხვა სახის რეგულაციების შემუშავებისას, ხელშეკრულების გამოცემისას თუ სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე სხვა სახის გადაწყვეტილებების მიღებისას; ბ) თავიდან ირიდებს ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელიც შესაძლოა აღქმულ იქნეს ბიზნესის ან მისი პარტნიორების უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებად. კეთილსინდისიერების პრინციპს იცავს ასევე ყოფილი საჯარო მოსამსახურე, რომელიც საჯარო სამსახურიდან გადასულია კერძო სექტორში. ამავე „წესების“ მე-14 მუხლის თანახმად, საჯარო მოსამსახურე პატივს სცემს ყველა ადამიანის ღირსებასა და საჯარო სამსახურში არსებულ მრავალფეროვან გარემოს. საჯარო მოსამსახურე უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას ვინმესთვის დაუმსახურებელი უპირატესობის მინიჭების ან ვინმეს არაუპირატეს მდგომარეობაში ჩაყენების აკრძალვის გზით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო მოსამსახურე უმნიშვნელოვანესი პერსონაა, რამდენადაც მათი კეთილსინდისიერება, პროფესიონალიზმი, გულისხმიერება განსაზღვრავს ერის მსახურების კულტურის დამკვიდრებას, რაც განაპირობებს ეროვნული საჯარო მმართველობის მოდელის ჩამოყალიბებას. საჯარო მოსამსახურეები საქმიანობას ახორციელებენ როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ თვითმმართველ ინსტიტუტებში. შესაბამისად, პერსონალის როლი ქვეყნის მართვასა და პოლიტიკაში საკმაოდ მაღალია. საკასაციო სასამართლო აქვე განმარტავს, რომ საჯარო მოსამსახურე არა მხოლოდ კონკრეტული სფეროს კვალი-

ფიციური სპეციალისტი, დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, არამედ, ამავედროულად, მაღალი პიროვნული და მორალური პრინციპების, ღირებულებების მატარებელი პირია, რადგან სწორედ ამ თვისებათა ერთობლიობის მქონე ადამიანებს ძალუძთ მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა და დაძლევა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004წ. №515-III დადგენილებით) პრეამბულის შესაბამისად: ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს; მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის; სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა; ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, მონმეთა ჩვენებებისა და სოფელ ...ის მაცხოვრებელთა განცხადებების მიხედვით, მოსარჩელე ს. ო-ი მათთან ურთიერთობისას გამოირჩეოდა აგრესიით, შეურაცხყოფას აყენებდა მათ და ემუქრებოდა, ასევე, დახმარების ნაცვლად ხელს უშლიდა მოქალაქეებს თავიანთი პრობლემების მოგვარებაში, არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. ამასთან, მერიის წარმომადგენელმა ...ს ერთეულში ღ. უ-მა აჩვენა, რომ ს. ო-ი არ ასრულებდა თავის მოვალეობებს, ჯარის წევრადმდებებს უწყებებს არ აბარებდა, მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებშიც არ ღებულობდა მონაწილეობას, თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ მას დოკუმენტები არ ჩაუბარებია. ამდენად, საქმის მასალების მიხედვით, პრეტენზიებია გამოთქმული როგორც ს. ო-ის საქმიანობასთან დაკავშირებით, ასევე იგი დახასიათებულია კონფლიქტურ პიროვნებად, რომელსაც დაძაბული ურთიერთობა აქვს სოფლის მოსახლეობასთან და სოფელი მისი საქმიანობით უკმაყოფილოა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2018 წლის თებერვლის თვეში ს. ო-ს საყვედური ჰქონდა გამოცხადებული სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

მოცემულ შემთხვევაში, ინსპექტირების სამსახურმა დისციპლი-

ნური წარმოება დაიწყო კანონის მოთხოვნათა დაცვით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად. ჩატარდა სხდომა, რომელსაც თავად ს. ო-იც ესწრებოდა. ს. ო-ის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებას საფუძვლად დაედო ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმი და შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნა, სადაც ს. ო-ის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომად მითითებულია მის მიერ უშუალო ხელმძღვანელი პირის ვალდებების შეუსრულებლობა და ეთიკის ნორმების დარღვევა.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მიზანია საჯარო მოსამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა და საქმიანობის პროცესის გაუმჯობესება, რაც სამომავლოდ სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევის შემთხვევების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს. დისციპლინური ზომის გამოყენება, როგორც ადმინისტრაციის ცალმხრივი ნების გამოვლენა, მართლზომიერად უნდა განხორციელდეს. დისციპლინური ზომის გამოყენება მიზნად უნდა ისახავდეს დარღვევის პრევენციას. ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერ დარღვევაზე რეაგირება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის მოთხოვნის დაცვით, საჯარო მოსამსახურისათვის დაკისრებული დისციპლინური სახდელი შესაბამისობაში უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის სიმძიმესთან და ითვალისწინებდეს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისას არსებულ გარემოებებს. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება ხდება დამდგარი შედეგის სიმძიმის, ვალდებულების დარღვევის მიზეზის, დამდგარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ამდენად, სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა იყოს დარღვევის სიმძიმის პროპორციული.

აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სახდელის შეფარდების პროცესში ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, თუმცა მასვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება იმდენად, რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოერიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. მოტივირებული, დასაბუთებული გადაწყვე-

ტილება კანონიერი გადაწყვეტილების წინაპირობას წარმოადგენს. დასაბუთებაში კი არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლის შესაბამისადაც მიღებულ იქნა ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში ს. ო-ის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდებისას, აუცილებელია ყურადღება მიექცეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპს.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, ს. ო-ის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომად მითითებულია მის მიერ უშუალო ხელმძღვანელი პირის დავალებების შეუსრულებლობა და ეთიკის ნორმების დარღვევა. მოსარჩელეს არ აქვს კარგი დამოკიდებულება მის უშუალო ხელმძღვანელთან, ასევე სოფლის მოსახლეობასთან, უფრო მეტიც, იმყოფება კონფლიქტურ ურთიერთობაში, რაც მხოლოდ უარყოფითად იმოქმედებდა და ზიანის მიაყენებდა საჯარო ინტერესს და ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენდა მისი უფლებამოსილების განხორციელებაზე, რაც საბოლოო ჯამში, დააზიანებდა მუნიციპალიტეტის ეფექტურ საქმიანობას. სწორედ აღნიშნულ გარემოებებზე მიუთითებს სადავო ბრძანების გამოცემის საფუძველად დასახელებული ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დისციპლინური წარმოების 2018 წლის 20 სექტემბრის №1 ოქმი და შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 21 სექტემბრის დასკვნა, ასევე საქმეში წარმოდგენილი სოფლის მოსახლეობის განცხადებები და მონმედ დაკითხული პირები. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას სადავო ბრძანების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით.

ამდენად, ჩადენილი გადაცდომების შინაარსისა და სიმძიმის გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ 2018 წლის თებერვლის თვეში ს. ო-ს საყვედური ჰქონდა გამოცხადებული, საკასაციო სასამართლო მართებულად მიიჩნევს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ დისციპლინურ სახდელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა-

ტის 2019 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ს. ო-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის თანახმად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან, საქმეზე განუქმდებელი ხარჯის გაიღებს სახელმწიფო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ს. ო-ს (პ/ნ ...) უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელზე 17.10.2018წ. საგადახდო დავალებით გადახდილი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300603150 და სააპელაციო საჩივარზე 12.04.2019წ. საგადასახადო დავალებით გადახდილი – 150 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300773150.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ო-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ს. ო-ს (პ/ნ ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით სარჩელზე 17.10.2018წ. საგადახდო დავალებით გადახდილი – 100 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300603150 და სააპელაციო საჩივარზე 12.04.2019წ. საგადასახადო დავალებით გადახდილი – 150 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი №300773150;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოხელის სამუშაოზე განმეორებითი აღდგენის
ფაქტობრივი და კანონიერი საფუძვლების დადგენა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-483(კ-21)

29 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ფ. ტ-ემ 2019 წლის 29 მარტს სარჩელით, ხოლო იმავე წლის 24 ივნისს დაზუსტებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ და „სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668, „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებების ბათილად ცნობა, ასევე, „მოსარჩელის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“ მოპასუხის – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება და სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან მის აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

სარჩელის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2016 წლის 18 იანვრის №16 00000094 ბრძანება და მოპასუხეს დაევალა საქმის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში. აღნიშნული საკითხი განიხილა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა და 2018 წლის 2 ოქტომბრის №18 00001668 ბრძანებით, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მოსარჩელე გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელემ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 127-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების, განკარგულების ან გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის შემთხვევაში, მოხელე ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღდგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი უარს ამბობს აღდგენაზე. მოსარჩელის აღნიშვნით, გასაჩივრებული ბრძანება უკანონო და დაუსაბუთებელია, ვინაიდან ადმინისტრაციულმა ორგანომ მისი გამოცემისას არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითება – საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ გასაჩივრებული აქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „ფ. ტ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ“ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668, „ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებები; სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს დაევალა „მოსარჩელის სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ“ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და სამსახურიდან დათხოვნის დღიდან – 2016 წლის 18 იანვრიდან მის აღდგენამდე შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. ფ. ტ-ე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2014 წლის 19 მაისის №07-16/458 ბრძანებით, 2014 წლის 19 მაისიდან დაინიშნა ამავე დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის ...ის ...ის ...ის (II კატეგორია) თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად; 2014 წლის 19 აგვისტოდან დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მთავარი ინსპექტორის (II კატეგორია) თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად; 2014 წლის 11 სექტემბრიდან ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2014 წლის 11 სექტემბრის №07-16/719 ბრძანებით, ფ. ტ-ე დაინიშნა საქართველოს იმავე დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის ...ის ...ის ...ის (II კატეგორია) თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე. აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შედეგად, ფ. ტ-ე იმავე თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით დაინიშნა 2014 წლის 11 სექტემბრიდან 2015 წლის 11 მარტამდე.

3. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 11 მარტის №DES 1 15 00000294 ბრძანებით ფ. ტ-ე დაინიშნა ამავე დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამსახურის ...ის ...ის ...ის (II კატეგორია) თანამდებობაზე 2015 წლის 11 მარტიდან; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 2 ივლისის №DES 1 15 00001103 ბრძანებით ფ. ტ-ე გადაყვანილ იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს ...ის ...ის ...ის (II კატეგორია) თანამდებობაზე. ფ. ტ-ემ 2015 წლის 15 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ამავე დეპარტამენტის უფროსს და მოითხოვა მიმდინარე წლის 16 ოქტომბრიდან გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე დროებით მოვალეობის შემსრულებლად გა-

დაყვანა. 2015 წლის 15 ოქტომბრის №DES 0 15 00001896 ბრძანებით განცხადება დაკმაყოფილდა და ფ. ტ-ე გადაყვანილ იქნა მოთხოვნილ თანამდებობაზე.

4. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 20 ნოემბრის №DES 15 00002255 ბრძანების თანახმად, ფ. ტ-ე დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით 2015 წლის 20 ნოემბრიდან 2016 წლის 20 იანვრამდე.

5. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 18 იანვრის №DES 0 16 00000094 ბრძანებით, ამავე დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ი – ფ. ტ-ე განთავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. გათავისუფლებას საფუძვლად დაედო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის №DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღინიშნა, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდში ფ. ტ-ე ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რაც არაერთხელ იქნა გამოხატული სიტყვიერი შენიშვნის სახით მოხსენებითი ბარათის ავტორის მიერ. მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული განყოფილების მიერ ვერ ხდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა. იგი რაციონალურად ვერ აწარმოებდა მითითებულ დავალებებს თანამშრომლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ნ-მა მიიჩნია, რომ ფ. ტ-ემ გამოსაცდელი ვადა პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით გაიარა არადაამაკმაყოფილებლად.

6. ფ. ტ-ემ 2016 წლის 15 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა ამავე დეპარტამენტის 2016 წლის 18 იანვრის №DES 016 00000094 ბრძანების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალება და განაცდურის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა

ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი და მოპასუხეს დაევალა მოსარჩელის საქმესთან დაკავშირებული გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანებით სახელმწიფო საქვეუნყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ი ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა ასევე მოსარჩელის თანადებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანებაზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი. აღნიშნული აქტები სასარჩელო წესით კვლავ გაასაჩივრა ფ. ტ-ემ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას მიუთითა საქართველოს კონსტიტუციაზე, სხვა საერთაშორისო აქტებსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმის მიხედვით, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადაამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში კი მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ამ კანონით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში კი დადგენილა, რომ სადავო ბრძანება გამოიცა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, თუმცა აღნიშნული აქტის შინაარსით დგინდება, რომ რეალურად არ შესრულებულა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი აუცილებელი პირობები – სადავო აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას მოპასუხის მიერ არ ყოფილა გამოკვლენილი სხვა დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა. ადმინისტრაციულმა ორგანომ კვლავ ცალმხრივად გაითვალისწინა მხოლოდ მოსარჩელის უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი და მხედვე-

ლობაში არ მიიღო კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების მითითება მასზედ, რომ ის ფაქტები, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ არადაამაკმაყოფილებელ მუშაობად მიიჩნია, არ ქმნიდა მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლების უპირობო საფუძველს. მოპასუხე მხარეს არ დაუდგენია, არსებობდა თუ არა ისეთი გარემოებები, რაც შესაძლოა გამხდარიყო სადავო საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ ეფუძნება ახალ ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ საფუძველს. სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, მოპასუხე შემოიფარგლა იმავე სახის მტკიცებულებებით და მოსარჩელესთან ზოგადი ხასიათის შეკითხვებით. შესაბამისად, იმავე ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო სადავო გადაწყვეტილება.

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა შეფასების შედეგად, საქალაქო სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხეს – სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, განმეორებითი ადმინისტრაციული წარმოების დროს არ გამოუვლენია და არ დაუდგენია რაიმე ახალი გარემოება, რომელიც მოსარჩელე ფ. ტ-ის მიერ გამოსაცდელის ვადის არადაამაკმაყოფილებლად გავლას დაადასტურებდა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გარანტირებული შრომის უფლების, აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას, გასაჩივრებულ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგება არ შეესაბამებოდა მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში მოდიოდა მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რის გამოც ბათილად ცნო „ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუნებო დანესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 ბრძანება და „ფ. ტ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ასევე იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთის არარსებობისას ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლზე და გან-

მარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილშიც დასაბუთებული იყო და სადავო აქტების ბათილად ცნობის პირობებში მოპასუხეს დაავალა მოსარჩელე ფ. ტ-ის სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მისი გათავისუფლების დღიდან 2016 წლის 18 იანვრიდან მის აღდგენამდე, შესაბამის თანამდებობისათვის დადგენილი ყოველთვიური ოდენობით.

მოსარჩელის წარმომადგენელმა 2019 წლის 3 დეკემბერს შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა მხოლოდ „ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 და „ფ. ტ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებების ბათილად ცნობის, ასევე მოსარჩელის – ფ. ტ-ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში; დანარჩენ ნაწილში შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

და მათი სამართლებრივი შეფასება. ამასთან, დამატებით მიუთითა, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღსრულების მიზნით, ფ. ტ-ე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის №DES 3 19 00002614 ბრძანებით აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების I განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 13 იანვრის №DES 2 20 00000064 ბრძანებით ფ. ტ-ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხადდებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის №134 დასკვნის საფუძველზე, დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 5 თებერვლის №DES 0 20 00000260 ბრძანების შესაბამისად, ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. აპელანტების მტკიცებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ქმნის იმის მტკიცების საფუძველს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულია, თუმცა აღნიშნული პოზიცია სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიუთითა საქმის მასალებში წარმოდგენილი მოსარჩელის არაერთ განცხადებაზე, რომლითაც იგი უარს აცხადებს კახეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების I განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებაზე. ამასთან, პალატამ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ აპელანტისათვის ტერიტორიულობის პრინციპიდან გამომდინარე, მიუღებელი იყო აღნიშნული თანამდებობის დაკავება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, სადავო აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით. შესაბამისად, ისინი აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

51-ე, 52-ე, 53-ე მუხლებით, ასევე, სადავო პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 93-ე მუხლისა და 98-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, რომელთა თანახმად, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის სამმართველოში ჩატარებული თათბირების – 2015 წლის 28 ნოემბრის №5 და 29 დეკემბრის №6 სხდომის ოქმების შესაბამისად, მოსარჩელის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული განყოფილების მიმართ არაერთგზის გამოთქმულია შენიშვნები და საყვედურები დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო და განყოფილების მუშაობაც შეფასებულია სუსტად.

კასატორი არ ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოთა იმ მოსაზრებას, რომ დეპარტამენტის მიერ არ იქნა გაზიარებული ფ. ტ-ის პირად საქმეში არსებული გამოცდილება, პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, ვინაიდან საქმის მასალებში არსებული მადლობის სიგელი შეეხება მოსარჩელის სხვა საჯარო დაწესებულებაში მუშაობის პერიოდს და არავითარ კავშირში არ არის გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან. შესაბამისად, სხვა დაწესებულებაში მუშაობისთვის განკუთვნილი სიგელი დეპარტამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ვერ იქნებოდა გაზიარებული.

კასატორი აგრეთვე აღნიშნავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოხელე დაუყოვნებლივ აღადგინოს იმავე თანამდებობაზე, ხოლო ასეთი არარსებობისას – ტოლფას თანამდებობაზე. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის პირობებში, 2019 წლის 28 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე პერიოდში ტოლფასი ვაკანტური თანამდებობა არსებობდა მხოლოდ კახეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების I განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, რომელზეც აღლდგენილ იქნა ფ. ტ-ე, შემდეგ კი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ 2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანება გასაჩივრდა ფ. ტ-ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც, თავის მხრივ, შეწყვიტა საქმის წარმოება, რადგან მოსარ-

ჩელის მიერ არ იყო გამოყენებული ადმინისტრაციული საჩივრის ერჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინება ფ. ტ-ეს ჩაბარდა 2020 წლის 26 თებერვალს, თუმცა საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ იქნა იმავე წლის 6 აპრილს. შესაბამისად, საჩივარი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, დარჩა განუხილველად, გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო. ამრიგად, კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განმარტება, რომ დეპარტამენტის მიერ არ აღსრულებულა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის ფარგლებში.

კასატორი, ზემოაღნიშნულ გარემოებებზე მითითებით, ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც ფ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 17 დეკემბრის განჩინებით სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად განხილული იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძვლით, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის ცნებას, სახეებს, სამსახურში მიღების, დანიშნულების, წახალისების, დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებს და მათი დაკისრების, სამსახურიდან გათავისუფლების კრიტერიუმებს, სტანდარტებს, პროცედურასა და წესებს, შესაბამისად, ამავე კანონითვე არის დადგენილი საჯარო მოსამ-

სახურეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები. მოსარჩელე კი წარმოადგენს სამინისტროს მოსამსახურეს, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც განსაზღვრავს დასახელებული კანონი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი ითვალისწინებს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნას გამოსაცდელი ვადით, რომლის განმავლობაში მონმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ამ კანონით დადგენილი წესით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 98-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგები, დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. „ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის №DES 0 18 00001668 სადავო ბრძანება არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად კი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გამოსაცდელი ვადის შედეგების შეფასება შეადგენს ადმინისტრაციის დისკრეციის სფეროს. ამასთანავე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

ზემოაღნიშნულ ნორმათა საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახურიდან მოსამსახურე შეიძლება გათავისუფლდეს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, თანამდებობასთან შეუსაბამობის საფუძველით. ამასთან, აღნიშნული მოტივით დასაქმებუ-

ლის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი – არადაამკმაყოფილებელი შედეგი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული და გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2015 წლის 20 ნოემბრის № DES 15 00002255 ბრძანებით, ფ. ტ-ე დაინიშნა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით 2015 წლის 20 ნოემბრიდან 2016 წლის 20 იანვრამდე. ამავე დეპარტამენტის 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 00000094 ბრძანებით, ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. გათავისუფლების ბრძანებას საფუძველად დაედო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს უფროსის 2016 წლის 15 იანვრის № DES 4 16 00002834 მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღინიშნა, რომ ფ. ტ-ე გამოსაცდელი ვადის პერიოდში ვერ ასრულებდა მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რაც არაერთხელ იქნა გამოსატული სიტყვიერი შენიშვნის სახით მოხსენებითი ბარათის ავტორის მიერ. მის ხელმძღვანელობას დაქვემდებარებული განყოფილების მიერ ვერ ხდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა. იგი რაციონალურად ვერ ანაწილებდა მითითება/დავალებებს თანამშრომლებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ნ-მა მიიჩნია, რომ ფ. ტ-ემ გამოსაცდელი ვადა პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით გაიარა არადაამკმაყოფილებლად. გათავისუფლების შესახებ ბრძანება ფ. ტ-ემ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში და სადავო აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის გამოცემით სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 ოქტომბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვი-

თი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 18 იანვრის № DES 0 16 0000094 ბრძანება ფ. ტ-ის განთავისუფლების შესახებ და მოპასუხეს დაევალა საქმის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კანონით დადგენილ ვადაში და წესით.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს გარემოსდაცვითი ...ის ...ის ...ი – ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან 2016 წლის 18 იანვრიდან. ამასთანავე, არ დაკმაყოფილდა მასზე წარდგენილი ადმინისტრაციული საჩივარიც. აღნიშნული აქტები ფ. ტ-ემ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სასარჩელო წესით გაასაჩივრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით ფ. ტ-ის სარჩელი – სადავო აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, დაკმაყოფილდა. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 9 დეკემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება „ფ. ტ-ის გათავისუფლების შესახებ“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2018 წლის 2 ოქტომბრის № DES 0 18 00001668 და „ფ. ტ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 28 იანვრის №2-87 ბრძანებების ბათილად ცნობის, ასევე, მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში. აღნიშნული განჩინების აღსრულების მიზნით, ფ. ტ-ე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანების საფუძველზე აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების | განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფ-

როსის 2020 წლის 13 იანვრის ბრძანებით ფ. ტ-ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხადდებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შიდა სამსახურებრივი კონტროლის სამსახურის №134 დასკვნის საფუძველზე, დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 5 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, ფ. ტ-ე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტა საჭიროებს არსებითი გარემოებების დადგენას. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედი ინკვიზიციური პრინციპის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის განმხილველი სასამართლო არ არის შეზღუდული მხარის მიერ მითითებული ფაქტებით და მტკიცებულებებით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, დავის სწორად გადაწყვეტისთვის სასამართლოს ეკისრება საკუთარი ინიციატივით საქმის სრულყოფილად გამოკვლევისათვის საჭირო რელევანტური ფაქტების და მტკიცებულებების მოძიების და შეფასების ვალდებულება. მოცემულ საქმეზე ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამსახურში აღდგენისა და სამსახურში აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე იმგვარად, რომ არ გაითვალისწინა ფ. ტ-ის გამოსაცდელი ვადის პერიოდში მისი შემოწმების არადამაკმაყოფილებელი შედეგები. როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება პირის კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებული თანამდებობის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებთან. გამოსაცდელი ვადის დამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში გამოიცემა სამართლებრივი აქტი პირის თანამდებობაზე მიღების შესახებ, ხოლო გამოსაცდელი ვადის არადამაკმაყოფილებელი შედეგების ან გამოსაცდელი ვადის გასვლის შემთხვევაში პირი შესაბამისი სამართლებრივი აქტით თავისუფლდება სამსახურიდან.

ამრიგად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი გამოსაცდელ ვადაში მოხელის შემოწმების არადამაკმაყოფილებელი შედეგების პირობებში, ადმინისტრაციას ანიჭებს დისკრეტციას, მოახდინოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის, საქმიანი უნარ-ჩვევების, შესაძლებლობების და პირადი თვისებების და ა.შ. ობიექტური შეფასება და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება. აღნიშნული უზრუნველყოფს როგორც კონკრეტული მოხელის, ასევე, საჯარო ინტერესის დაცვას. საგულისხმოა, რომ ფ. ტ-ის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სადავო ბრძა-

ნება წარმოადგენს სწორედ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, დისკრეციული უფლებამოსილება არის უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. მე-6 მუხლით დადგენილია, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. მე-7 მუხლი ადგენს ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას, რომლის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამგვარად, გამოსაცდელ ვადაში მოხელის შემომწმებისას, არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს, რათა დაინტერესებული პირისთვის ცნობილი გახდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში თუ რა გარემოებებზე დაყრდნობით მიიღო ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება, ასეთ დროს ის ვალდებულია გადაწყვეტილებაში მიუთითოს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შესაბამისი აქტის გამოცემისას.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, კანონით გათვალისწინებული ვალდებულების ფარ-

გლებში, სადავო აქტის გამოცემა, ისე რომ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გათვალისწინებით მოსარჩელის გათავისუფლების შესახებ ბრძანების გამოცემისას გამოკვლევული არ იქნა ფაქტობრივი გარემოებები მოხელის კვალიფიკაციის, პროფესიული უნარჩვევებისა და შრომის დისციპლინისადმი დამოკიდებულების შესახებ, რადგან საქმეს მტკიცებულების სახით თან ერთვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საკითხის გამოკვლევასა და გამოსაცდელი ვადის პერიოდში პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შემონახვისას მოხელის მიერ არადამაკმაყოფილებლად გავლას. სააპელაციო სასამართლომ ერთობლიობაში უნდა შეაფასოს მოხელის ხელმეორედ გათავისუფლების შესახებ ჩატარებული სხდომის ოქმი და გამოიკვლიოს თუ რა ფაქტობრივი გარემოებები დაედო საფუძვლად გათავისუფლებას, გარდა მოხსენებითი ბარათისა, ასევე, სამცხე-ჯავახეთის სამმართველოში ჩატარებული 2015 წლის 28 ნოემბრის №5 და 29 დეკემბრის №6 თათბირების სხდომის ოქმები, რომლებითაც, კასატორის მითითებით, მოსარჩელის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი განყოფილების მიმართ არაერთგზის განოთქმულია შენიშვნები და საყვედურები დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების გამო და განყოფილების საქმიანობა, როგორც წლის, ასევე თვის განმავლობაში შეფასებულია სუსტად. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საკითხის ხელახლა განხილვისას აღნიშნულ გარემოებებს დეტალური შეფასება უნდა მიეცეს.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს საქმეზე უდავოდ დადასტურებულ გარემოებებს, რომ ფ. ტ-ე კანონიერ ძალაში შესული განჩინების დაუყოვნებლივ აღსრულების ფარგლებში 2019 წლის 12 დეკემბრის ბრძანებით აღდგენილ იქნა ტოლფას თანამდებობაზე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კახეთის რეგიონული სამმართველოს გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების I განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. 2020 წლის 13 იანვრის ბრძანებით ფ. ტ-ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად შეეფარდა საყვედური იმ მიზეზით, რომ იგი არ ცხადდებოდა სამსახურში. ამავე მიზეზით, 2020 წლის 5 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. დანიშნის შესახებ ბრძანება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, თუმცა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობის გამოუყენებლობის გამო, სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, ფ. ტ-ის

ტოლფას თანამდებობაზე აღდგენისა და თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ აქტები კანონიერ ძალაშია შესული.

საკასაციო სასამართლო საქმეზე ამ უდავოდ დადასტურებულ გარემოებებზე მითითებით, აღნიშნავს, რომ საქმის სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში განხილვისას, მოსარჩელე აღდგენილი იყო ტოლფას თანამდებობაზე და დისციპლინური გადაცდომის საფუძველზე გათავისუფლდა კიდევ დაკავებული თანამდებობიდან. ამასთან, აღნიშნული აქტები ძალაშია და მათი უკანონობა საქმის მასალებით არ დასტურდება. მიუხედავად ამისა, დასახელებული გარემოებები სააპელაციო სასამართლომ შეფასების მიღმა დატოვა. ამასთან, მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 118-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურში აღდგენის პროცედურაზე, თუმცა საქმის რეალური, იმჟამად არსებული გარემოებების გამოკვლევისა და გათვალისწინების გარეშე, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს განმეორებით დაავალა ფ. ტ-ის სამუშაოზე აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს, ფ. ტ-ის ტოლფას თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალაში ყოფნის პირობებში, მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის რეალურ შესაძლებლობასა და განაცდურის სრული ანაზღაურების კანონიერებაზე, იმ პირობებში, როცა ტოლფას თანამდებობაზე ერთხელ უკვე აღდგენილი მოხელე გათავისუფლებულია თანამდებობიდან და გათავისუფლების შესახებ ბრძანების უკანონობა არ დადასტურებულა. ამ შემთხვევაში დასადგენია, არსებობს თუ არა მოხელის სამუშაოზე განმეორებითი აღდგენის ფაქტობრივი და კანონიერი საფუძველები.

ამრიგად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მიერ ზემოაღნიშნული საკითხი სრულყოფილად არ არის შესწავლილი, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, იმავე კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქარ-

თველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დანესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 24 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სახელმწიფო კომპენსაცია

სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1128(კ-19)

13 სექტემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ქ. ცინცაძე

დავის საგანი: შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენა, მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჭ-ამ 05.12.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის მიმართ და მოითხოვა: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 05.09.2018წ. №04-00-გ/35802 გადაწყვეტილების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის თ. ჭ-ასთვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის თ. ჭ-ასთვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების დავალება 2018 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი არის აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე, თადარიგის მაიორი, მეორე ჯგუფის ინვალიდი/შშმპ და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. თ. ჭ-ა 1996 წლიდან დასაქმებული იყო საქართველოს პარლამენტში. 2004 წლიდან, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომელი იყო. მოსარჩელეს 2013წ. შე-

უნყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, თუმცა სათანადო პროცედურების გავლისა და კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციის შედეგად, მას აღუდგა კომპენსაციის გაცემა. 2018 წლის 01 სექტემბრიდან თ. ქ-ას ხელმეორედ შეუნყდა სახელმწიფო კომპენსაციის ჩარიცხვა საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო. მოსარჩელემ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც სახელმწიფო სამსახურს განმარტავს, როგორც საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში არჩევით ან დანიშვნით თანამდებობებზე საქმიანობას, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე, სახელმწიფო თავდაცვას. იმავე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით საჯარო სამსახური განმარტებულია, როგორც სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა. ამ კანონის მე-4 მუხლის პირველ პუნქტში კი, სხვა პირებთან ერთად, დასახელებულნი არიან საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო ფრაქციის, დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატების თანამშრომლები. ის გარემოება, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი საჯარო საქმიანობის განმარტებისას აღნიშნულ გამონაკლისს არ იმეორებს, გამონაკლისით გათვალისწინებულ პირებს ვერ აქცევს საჯარო მოსამსახურეებად, მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას კი – საჯარო საქმიანობად. გარდა ამისა, მოსარჩელე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ პარლამენტის დროებითი კომისიის სპეციალისტი არ ახორციელებს საქმიანობას არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე, არამედ ის დასაქმებულია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 277-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტის კომიტეტის აპარატის უფროსსა და სპეციალისტებს ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტის აპარატის უფროსი, ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად, დროებითი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით, პარლამენტის აპარატის უფროსი მონვეულ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან აფორმებს ვადიან შრომით ხელშეკრულებებს. ამდენად, პარლამენტის აპარატის სხვა სპეციალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც თანამდებობაზე ინიშნებიან პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ, დროებითი კომისიის ექსპერტებსა და სპეციალისტებთან იდება ვადიანი შრომითი ხელშეკრულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მო-

საზრებით, პარლამენტის დროებით კომისიაში საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო საქმიანობად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2019წ. გადაწყვეტილებით თ. ჭ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე თ. ჭ-ა 2004 წლიდან, შრომითი ხელშეკრულებისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე, დასაქმებული იყო საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატში. მოსარჩელეს სახელმწიფო კომპენსაციის მიღება შეუწყდა 2018 წლის 01 სექტემბრიდან საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძველით. თ. ჭ-ამ განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრს შეწყვეტილი სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის მოთხოვნით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 05.09.2018წ. №04-00-გ/35802 გადაწყვეტილებით მოსარჩელე თ. ჭ-ას განცხადება არ დაკმაყოფილდა საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილებით თ. ჭ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო საქმიანობად მიიჩნევა სახელმწიფო სამსახურში ნებისმიერი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, ამ საქმიანობის განხორციელების ფორმის მიუხედავად. სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი, დაფინანსების წყაროდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო დაწესებულებას, ხოლო მასში შრომითი საქმიანობა – სახელმწიფო სამსახურში შრომით საქმიანობას. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა თ. ჭ-ას მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინებით თ. ჭ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.02.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გა-

რემოცები და მათი სამართლებრივი შეფასებები. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს პარლამენტში საქმიანობა ითვლება საჯარო საქმიანობად, რადგან საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში საქმიანობა. ამასთან, სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მითითებული ნორმის საგამონაკისო ჩამონათვალში, რომლითაც განსაზღვრულია, თუ რა საქმიანობა არ მიიჩნევა საჯარო საქმიანობად, საქართველოს პარლამენტი არ არის დასახელებული, ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე სადავო პერიოდში ახორციელებდა საჯარო საქმიანობას. სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის 36-ე მუხლის ნაცვლად 48-ე მუხლის გამოყენება არის ტექნიკური შეცდომა, რომელიც არ ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა თ. ჭ-ას მიერ. კასატორის მოსაზრებით, საფუძველსაა მოკლებული ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა თ. ჭ-ას საქმიანობის საჯარო საქმიანობად მიჩნევასთან დაკავშირებით. კასატორი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს როგორც საჯაროსამართლებრივ, ისე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში და მისი, როგორც ამ ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებული პირის ანაზღაურების გადახდის წყარო არის ყოველთვის ბიუჯეტი, მათ შორის, შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც ასევე განეკუთვნება როგორც საჯარო, ისე კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს და მონესრიგებულია შინაარსობრივად განსხვავებული სამართლებრივი აქტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 11.04.2014წ. №1/2/569 გადაწყვეტილებაზე მითითებით კასატორი აღნიშნავს, რომ საჯარო საქმიანობის ლოგიკური, სიტყვასიტყვითი და სისტემური მეთოდებით შეფასებისას მხოლოდ ფორმალური მახასიათებლებით (სამუშაოს შესრულების ადგილი, ანაზღაურების წყარო) შემოფარგვლა ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის, საჯარო საქმიანობის უზოგადოეს, არსებით დებულებებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თანამშრომლის საქმიანობა არ განეკუთვნება კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო საქმიანობას, რომელიმე კანონი არ განსაზღვრავს მის სამართლებრივ სტატუსს და უფლებამოსილებებს. თ.

ჭ-ას სტატუსი განსაზღვრულია პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანებით, ხოლო უფლებამოსილებები – პერიოდულად განახლებადაი ხელშეკრულებით. დროებითი კომისიის თანამშრომლის სამუშაო პოზიცია არ არის თანამდებობა, რადგან სადავო აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი პარლამენტის რეგლამენტის 79.1 მუხლი დროებითი კომისიის თანამდებობის პირებად განიხილავს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს, ხოლო დღეს მოქმედი იმავე ნორმატიული აქტის 63.1 და 72.3 მუხლები – კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს. კასატორი მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადებაზე, რომლის თანახმად, საჯარო საქმიანობას მიკუთვნებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას კომპეტენტურ ორგანოს, შეთანხმებული ფორმატით, აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეების მხრიდან არ წარდგენილა მტკიცებულება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს მიერ რაიმე ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტთან თ. ჭ-ას, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თანამშრომლის, შრომითი ურთიერთობა კერძოსამართლებრივი ხასიათისაა და განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე, ვადიანი, პერიოდულად განახლებადაი შრომითი ხელშეკრულებით. აღნიშნული გარემოება დასტურდება სამუშაოზე დანიშვნის ბრძანებებითა და თავად შრომითი ხელშეკრულებით, რომლის 1.2 მუხლის თანახმად, ეს ხელშეკრულება არის დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი დოკუმენტი, ხოლო 2.1.3 მუხლის თანახმად, დასაქმებული ვალდებულია დაიცვას საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს პარლამენტის აპარატის შინაგანანესი, დამსაქმებლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების, აგრეთვე, ამ ხელშეკრულების მოთხოვნები. კასატორის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ ხელშეკრულების პირველი და მე-2 მუხლებით, ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსთან სრულ შესაბამისობაში. კასატორის მოსაზრებით, მის მიმართ, კანონის განმარტებისა და აღსრულების თვალსაზრისით, დარღვეულია ნორმატიული აქტისათვის უკუძალის მინიჭებისა და სამართლებრივი სიკეთეების ურთიერთბალანსირების პრინციპები, რაც განსაკუთრებით მგრძობიარეა პირის, მოცემულ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის, სოციალური სიკეთეების სარგებლობისას. „ნორმა-

ტიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლის თანახმად, ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით. ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს. კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის არსებობის მიუხედავად, სხვადასხვა პირის მიმართ მიიღო სრულიად განსხვავებული გადაწყვეტილებები (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.06.2019წ. №3ბ/598-19 გადაწყვეტილება).

კასატორი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევებით, კერძოდ: არასწორად განმარტა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის პირველი, მე-3-მე-6 და 31-ე მუხლები, არ გამოიყენა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, აგრეთვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-4 მუხლის მე-2 და მე-4 ქვეპუნქტები და 124-ე მუხლი, არ გამოიყენა აგრეთვე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესახებ“ კანონის 71-ე, 73-ე, 79-ე, 277-ე მუხლები, „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მე-17 და 24-ე მუხლები, საქართველოს შრომის კოდექსის 1-ლი-მე-4 და მე-6 მუხლები, აგრეთვე, სზაკ-ის 207-ე და 208-ე მუხლები.

სასკ-ის 16¹ მუხლის საფუძველზე კასატორმა წარმოადგინა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის, როგორც სასამართლოს მეგობრის, წერილობითი მოსაზრება თ. ჭ-ას საკასაციო საჩივართან დაკავშირებით. წერილის ავტორმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში მითითებულია საჯარო საქმიანობის განხორციელების გამომრიცხავი გარემოებები, ხოლო სახელმწიფო სამსახურისა და საჯარო სამსახურის განმარტებები მოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული კანონების ერთმანეთისგან გამიჯნულად და განცალკევებით გამოყენება დაუშვებელია. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ადგენს, თუ რომელი საქმიანობა ან რომელ საჯარო დაწესებულებაში საქმიანობა ჩაითვლება სახელმწიფო ან/და საჯარო სამსახურად (მე-3 მუხლის „ა“-„ზ“ და „კ“ პუნქტები). ამავდროულად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი განსაზღვრავს იმ საქმიანობებსაც, რომლებზეც არ ვრცელდება კანონი და შესაბამისად არ ჩაითვლება საჯარო სამსახურად (4.1 მუხლის „ბ“ ქვ.პ.; 4.4 მუხ.). „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი საჯარო სამსახურად მიიჩნევს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის საქმიანობას, თუ მისი ფუნქციები

საჯარო სამართლის განხორციელების ნაწილია, ხოლო საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომლების საქმიანობათა თავისებურება და ფუნქციური დატვირთვა უშუალოდ დროებითი კომისიის შექმნისა და საქმიანობის თავისებურებით იქნა განპირობებული. აღნიშნულმა გამოიწვია საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის გასვლა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის რეგულირების არეალიდან. წერილის ავტორი აღნიშნავს აგრეთვე, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის საფუძველზე პირი დაცულია კანონის რეტროაქტიული მოქმედებისგან. ახალი სამართლებრივი რეგულაციების წარსულ ურთიერთობებზე უარყოფითად გავრცელების შედეგები განსაკუთრებული ყურადღების საგანია დემოკრატიულ სახელმწიფოში, პირს, რომელიც საქართველოს პარლამენტში საქმიანობისას, კერძოდ, დროებითი კომისიის აპარატში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობისას იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას, ახალ სამართლებრივ გარემოში შეუწყდა გაცემა, ადგილი აქვს პირის მდგომარეობის გაუარესებას. განმარტება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ არ დაზიანდეს სამართლებრივი სიკეთეების ურთიერთბალანსირების არსი, რაც უფრო ინვაზიურია კანონმდებლობა, რომელიც ხელყოფს ერთ სიკეთეს, მით უფრო წონადი და მნიშვნელოვანი უნდა იყოს ხელყოფის შედეგად მიღებული მეორე სიკეთე, საჯარო-სამართლებრივი მიზნები უნდა დაბალანსდეს პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივ მიზნებთან. რთულია ობიექტურად და რაციონალურად გამართლდეს ის სიკეთე, რომლის მისაღწევად საჭირო გახდა მოსარჩელისათვის კომპენსაციის გაცემის შეწყვეტა. პირს უნდა ჰქონდეს სამართლიანობის და კანონიერი ნდობის გაცემა. კასატორი არ უნდა იმყოფებოდეს მუდმივად სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის, შეწყვეტის, ისევ გაცემისა და კვლავ შეწყვეტის მდგომარეობაში, რაც ხელყოფს მოქალაქის ნდობას კანონისადმი. მოცემულ შემთხვევაში, თ. ჭ-ა საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატში მუშაობის პარალელურად, წლების განმავლობაში, იღებდა სახელმწიფო კომპენსაციას „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე (1997წ.). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში 27.10.2015წ. განხორციელებული ცვლილების შედეგად, თ. ჭ-ას მდგომარეობა გაუარესდა – მას შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა. რეფორმისა და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგებმა დაამძიმა კასატორის მდგომარეობა. კანონის გამოყენება წარმართა ისეთი პრაქტიკით, რომ მან მიიღო რეტროაქტიული ბუნება პირის

მდგომარეობის გაუარესების შედეგებით. აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, კანონპროექტების დასაბუთება არ შეხებია ამ ასპექტზე მსჯელობას. გონივრულად საეჭვოა, რომ კანონმდებლის მიზანი იყო უკუძალა მიენიჭებინა კანონისათვის და გაეუარესებინა, დაემძიმებინა იმ პირთა ვითარება, რომლებიც საქართველოს პარლამენტში მუშაობის პარალელურად იღებდნენ სახელმწიფო კომპენსაციას. საფიქრებელია, რომ კანონის განმარტების და გამოყენების შედეგების ხარვეზული ბუნება მეტწილად გამოწვეულია ვინაირ ინტერპრეტაციის იურიდიული ტექნიკით, წარსული გამოცდილებისა და პრაქტიკის უნებლიე უგულვებლყოფით, ტერმინების ახალი შინაარსის არსებულ ურთიერთობებზე ზემოქმედების შესაძლო შედეგების გაუთვალისწინებლობით. წერილის ავტორის მოსაზრებით, გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ მოსარჩელეს პირველად 2013წ. შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, თუმცა სათანადო პროცედურების გავლისა და კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან კომუნიკაციის შედეგად, კომპენსაციის მიღება აღუდგა. ამდენად, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომელი არ/ვერ ახორციელებს სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურს, იგი საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად, ჩვეულებრივ შრომით საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტში. წერილის ავტორი თვლის, რომ დავის გადანყვეტა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ კასატორის, არამედ ყველა იმ პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, რომლებსაც ჰქონდათ ლეგიტიმური მოლოდინი და კანონიერი ნდობა ახალი საკანონმდებლო ცვლილებებისა და სამოხელეო სამართლის ფარგლებში მდგომარეობის არგაუარესებისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.10.2019წ. განჩინებით თ. ჭ-ას საკასაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის განკუთვნილი ვადის გაშვების გამო.

თ. ჭ-ამ 28.10.2019წ. განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.10.2019წ. განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.11.2019წ. განჩინებით თ. ჭ-ას განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.10.2019წ. განჩინება და თ. ჭ-ას საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება.

კასატორის თ. ჭ-ას გარდაცვალების (19.07.2020წ.) გამო, საქარ-

თველოს უზენაესი სასამართლოს 02.10.2020წ. განჩინებით №ბს-1128(კ-19) ადმინისტრაციულ საქმეზე თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის დადგენამდე შეჩერდა საქმის წარმოება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.02.2021წ. განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინების გაუქმების თაობაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება, თ. ჭ-ას უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება ლ. ი-ა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. ჭ-ას სამკვიდრო სრულად მიიღო მისმა მეუღლემ, – ლ. ი-ამ, 20.01.2021წ. გაცემული №... სამკვიდრო მონაწილეთა დადასტურდა, რომ სამკვიდროს მიღებაზე თ. ჭ-ას შვილმა ე. ჭ-ამ უარი განაცხადა დედის – ლ. ი-ას სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს 15.07.2021წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაშვებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ი-ას (თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჭ-ას სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, 6 თვეში ერთხელ განახლებადი შრომითი ხელშეკრულებისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე მოსარჩელე თ. ჭ-ა 2004 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომელი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 05.09.2018წ. №04-00-გ/35802 გადაწყვეტილებით მოსარჩელე თ. ჭ-ას ეცნობა, რომ 2018 წლის 01 სექტემბრიდან შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის ჩარიცხვა საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ გაასაჩივრა ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. თ. ჭ-ამ ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მისი საქმიანობა საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლი-

ანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატში არ მიიჩნევა საჯარო საქმიანობად, ხოლო კომპენსაციის შეწყვეტა არის დისკრიმინაციული მოპყრობა მისი, როგორც შშმ პირის მიმართ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილებით თ. ჭ-ას ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. სააგენტომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში 23.03.2017წ. განხორციელდა ცვლილება (ამოქმედდა 2017 წლის 01 ოქტომბრიდან), რის შედეგადაც საჯარო საქმიანობის განმარტებას დაემატა სიტყვები „სახელმწიფო სამსახური“. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს პარლამენტის დროებით კომისიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი არ ითვლება საჯარო მოსამსახურედ, ზემოაღნიშნული ნორმის შესაბამისად, საჯარო საქმიანობად მიჩნეულია სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, ხოლო საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატში მომუშავე პირი საქმიანობას ახორციელებს საჯარო დაწესებულებაში და მისი შრომის დაფინანსების წყარო არის სახელმწიფო ბიუჯეტი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილების საფუძვლად მითითებულია აგრეთვე „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 6.2 მუხლი და 31.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში კასატორი სადავოდ ხდის თ. ჭ-ასთვის სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის კანონიერებას, ამდენად, მოცემული დავის ფარგლებში შესაფასებელია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 05.09.2018წ. №04-00-გ/35802 გადაწყვეტილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილების მართლობიერების, ხსენებული აქტების მათი გამოცემის დროს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, საჯარო საქმიანობა არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (გარდა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციებისა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათ-

ლებლო დაწესებულებებისა, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, მუზეუმებისა, ბიბლიოთეკებისა, სკოლა-პანსიონებისა, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე და საალმზრდელი საქმიანობის განმახორციელებელი დაწესებულებებისა) განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა, საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა საუბნო საარჩევნო კომისიაში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა და საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრის მიერ განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. საჯარო საქმიანობად არ მიიჩნევა აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურში განხორციელებული საქმიანობა. ისეთი შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელიც საჯარო საქმიანობას მიეკუთვნება, კომპეტენტურ ორგანოს შეთანხმებული ფორმატით აწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ხსენებული კანონის თანახმად, კომპენსაციის დანიშვნის საფუძველია შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენა (5.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი). კომპენსაციის მიღების უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის აპარატის მოხელეებს (5.2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი). მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელე თ. ჭ-ა იყო სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების მქონე სუბიექტი – თადარიგის მაიორი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. კომპენსაციის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში (6.2 მუხ.), აღნიშნული საფუძვლის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (31.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). თ. ჭ-ას სწორედ ამ კანონის შესაბამისად, საჯარო საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაცია.

სადავო აქტებით დასტურდება, რომ სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა შეწყდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ცვლილების, მისი მოქმედების სფეროს გაფართოების გამო, რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი რეგულაციის მოქმედება საჯარო სამსახურის და სახელმწიფო სამსახურის განხორციელებაზე, შესაბამისად საჯარო მოსამსახურეზე და სახელმწიფო მოსამსახურეზე ვრცელდება. ამასთანავე, დროებითი კომისიის აპარატების თანამშრომლების საქმიანობის თავისებურება, გამონეული სამსახურის ფუნქციური დატვირთვის შინაარსის არამუდმივი ხასიათიდან, რაც აუცილებელია პროფესიული მოხელის თანამდებობისთვის, განაპირობებდა სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობის მიერ „საჯარო სამსახუ-

რის შესახებ“ კანონის მოქმედების სფეროდან საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის ამოღებას (მე-4 მუხ. 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვ.პ.). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში მოცემული დეფინიციის თანახმად, საჯარო საქმიანობა, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა წარმოადგენს კომპენსაციის მიღების უფლების შეწყვეტის საფუძველს, არის სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში, მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის ადრინდელი რედაქცია (27.10.2015წ. კანონით შეტანილ ცვლილებამდე) საჯარო საქმიანობად მიიჩნევა საჯარო სამსახურში ან საჯარო სამართლის იურიდიულ პირში განხორციელებულ შრომით ანაზღაურებად საქმიანობას). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი არ შეიცავს სახელმწიფო სამსახურისა და საჯარო სამსახურის ცნებათა განმარტებას. სახელმწიფო სამსახურის და საჯარო სამსახურის ცნებებს შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი.

საქმის მასალების მიხედვით, თ. ჭ-ასათვის სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტა განაპირობა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში 27.10.2015წ. შეტანილმა ცვლილებამ, კერძოდ, საჯარო საქმიანობის განმარტებას დაემატა შემდეგი სიტყვები – „სახელმწიფო სამსახური“. ცვლილება განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ახალი დეფინიციების შემოღებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, რაც ვლინდება კანონის მოქმედების იმ პირებზე გავრცელებაში, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ (მმართველობით) უფლებამოსილებებს, კანონმდებელმა შემოიტანა ტერმინი – სახელმწიფო სამსახური. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით სახელმწიფო სამსახური განმარტებულია როგორც საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დანესტრულურებში) არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას. არცერთ ამ ფუნქციათაგანს არ ახორციელებდა საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია. აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო მოსამსახურე არის პირი, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არჩევითი ან და-

ნიშნითი თანამდებობა უკავია და რომლის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ან/და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე; ამ პირის მოადგილე. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით, რომელსაც აქვს კანონის ძალა. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ (ძალადაკარგულად გამოცხადდა 06.12.2018წ. მიღებული „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ ამოქმედებისთანავე) 79-ე მუხლის შესაბამისად, დროებითი კომისიის თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ მხოლოდ დროებითი კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და დროებითი კომისიის მდივანი. 277.4 მუხლის მიხედვით, დროებითი კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით პარლამენტის აპარატის უფროსი აფორმებდა ვადიან შრომით ურთიერთობებს მონვეულ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან (06.12.2018წ. ახლადმიღებული „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“ აღარ ითვალისწინებს დროებითი კომისიის სპეციალისტთან ხელშეკრულების დადებას). ამდენად, თ. ჭ-ა არ იყო თანამდებობის პირი, მისი სტატუსი და უფლებამოსილებები განისაზღვრებოდა პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანებითა და პერიოდულად განახლებადი შრომითი ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, თ. ჭ-ას საქმიანობა დროებით კომისიაში მოიცავდა შემდეგი სამუშაოების შესრულებას: ურთიერთობების წარმართვა დევნილობაში მყოფ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებთან; კომისიის სხდომების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; სხდომების ოქმების მომზადება; გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აფხაზეთის საკითხებზე მიღებული დოკუმენტების მოძიება, სისტემატიზაცია და ანალიზი; საჭიროების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ან წევრის კონკრეტული დავალების შესრულება. საქმეში დაცული საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს და თ. ჭ-ას შორის 07.03.2017წ., 15.09.2017წ., 16.03.2018წ., აგრეთვე 14.09.2018წ. დადებული შრომითი ხელშეკრულებების თანახმად, დასაქმებულს ეკისრებოდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“, შინაგანანგისის, ხელშეკრულების მოთხოვნების, საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების დაცვა. საქმეში დაცული თ. ჭ-ას საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის აპარატში დანიშვნის შესახებ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 17.03.2017წ., 15.09.2017წ., 16.03.2018წ., 14.09.2018წ. ბრძანებები გამოცემულია საქართველოს ორგანული კანონის „სა-

ქართველოს შრომის კოდექსის“, შრომითი ხელშეკრულებების და „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის“ საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელის სამსახურებრივი ფუნქციები არ განეკუთვნება საჯარო უფლებამოსილებათა რიგს. შესაბამისად, მოსარჩელის სახელმწიფო მოსამსახურედ, ხოლო მის მიერ განხორციელებული საქმიანობის სახელმწიფო სამსახურად მიჩნევა დაუსაბუთებელია.

საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის ერთ-ერთი ნაწილი, ის სხვა ნაწილებისაგან განსხვავდება იმით, რომ ახორციელებს საჯარო მმართველობას. საჯარო მოსამსახურის სტატუსის გარეთ დარჩენილი პირები მოექცნენ სახელმწიფო სამსახურის ცნების ქვეშ. საჯარო დაწესებულებაში შესაძლოა დასაქმებული იყოს არაერთი ტექნიკური მუშაკი ან სხვა პირი, რომელიც არ იღებს მონაწილეობას დაწესებულების საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელებაში. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ყველა პირის საჯარო მოხელედ მიჩნევა გამოიწვევს საჯარო ფუნქციების არმქონე პირებზე, მათ შორის ტექნიკურ მუშაკებზე, საჯარო მოხელისათვის დაწესებული შეზღუდვებისა და ვალდებულებების გავრცელებას, რაც საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული არამოხელე პირებისათვის დაუსაბუთებლად მომატებული ტვირთის დაკისრებას გამოიწვევდა. რამდენადაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება სახელმწიფო სამსახურზე და საჯარო სამსახურის განხორციელებაზე ვრცელდება, ხსენებული კანონი შეიცავს სახელმწიფო სამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, საჯარო სამსახურის და საჯარო მოსამსახურის დეფინიციებს (მე-3 მუხ. „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვ.პ.), ხოლო სადავო აქტების გამოცემის დროს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი შეიცავდა პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არ ვრცელდება საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომლებზე, არ დასტურდება მოსარჩელისათვის კომპენსაციის გაცემის შეწყვეტის საფუძველი მის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების გამო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტში 27.10.2015წ. კანონით შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში კანონპროექტის მიზნად მითითებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის პროექტთან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის შესაბამისობაში მოყვანა. ცვლილების შედეგად „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარ-

რო საქმიანობა განისაზღვრა როგორც სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურში განხორციელებული შრომითი ანაზღაურებადი საქმიანობა. ამდენად, საჯარო საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო სამსახურში და საჯარო სამსახურში საქმიანობით. საკანონმდებლო ცვლილების შედეგად საჯარო საქმიანობის დეფინიციისათვის სახელმწიფო სამსახურში განხორციელებული შრომითი ანაზღაურების დამატება არ ადასტურებს კომპენსაციის გაცემის შეწყვეტის მართებულობას. სახელმწიფო სამსახურის ცნება მოიცავს საჯარო სამსახურს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში მოცემულია სახელმწიფო სამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურის, საჯარო სამსახურის, საჯარო მოსამსახურის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის, საჯარო დაწესებულების დეფინიციები, თუმცა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი რედაქციით საგამონაკლისო წესით ადგენდა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის საქმიანობაზე (აღნიშნული ნორმის რედაქცია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში შეტანილი ცვლილების შედეგად (01.07.2020წ. კანონი) შეიცვალა. ამჟამად მოქმედი რედაქცია აღარ ადგენს საგამონაკლისო წესით დროებითი კომისიის აპარატების თანამშრომლებზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გაუვრცელებლობას).

იმის გათვალისწინებით, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს სახელმწიფო სამსახურისა და საჯარო სამსახურის განმარტებებს, ხოლო აღნიშნულს ადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი (მე-3 მუხლის „ა“-„ზ“ და „კ“ პუნქტები), მითითებული ცნებების განმარტება უნდა მოხდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმებთან ერთობლიობაში (იხ. სუს 18.03.2020წ. №ბს-118(კ-20) განჩინება). „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში საჯარო საქმიანობის განმარტებისას საგამონაკლისო ჩამონათვალში (მე-4 მუხლის „გ“ პუნქტი) პარლამენტის არდასახელება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის გამონაკლისით გათვალისწინებულ პირებს (4.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ვერ აქცევს მოსამსახურეებად, მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობას კი – საჯარო საქმიანობად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი არა მხოლოდ გამორიცხავს ამ კანონის მოქმედებას საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატების თანამშრომლებზე, არამედ, აგრეთვე, ადასტურებს, რომ ამგვარი სტატუსის მქონე პირები სახელმწიფო მოსამსახურე-

ებს არ წარმოადგენენ.

ის, რომ მოსარჩელე არ იყო სახელმწიფო მოსამსახურე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიც ადასტურებს, რომლის მიხედვით დროებითი კომისიის აპარატების თანამშრომლებზე არ ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ის ნორმებიც კი (27.2 მუხლის „ა“, „გ“, „დ“ ქვ.პ., 51-ე, 62-ე, 64-ე, 66-ე და 124-ე მუხ.), რომლებიც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედების მიღმა მყოფი პირების მიმართ მოქმედებდნენ. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსი ადასტურებს არა მხოლოდ იმას, რომ საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომელი არ იყო საჯარო მოსამსახურე და მასზე არ ვრცელდებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოქმედება, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ დროებითი კომისიის აპარატის თანამშრომელი არ წარმოადგენდა სახელმწიფო მოსამსახურესაც. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს საჯარო სამსახურის განხორციელებას, წესრიგდება შესაბამისი კანონით ან/და საქართველოს შრომის კანონმდებლობით, ამ კანონით განსაზღვრული თავისებურებების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებაში საქმიანობა არ გულისხმობს ავტომატურად საჯარო სამსახურის განხორციელებას, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოსარჩელე საქმიანობდა სახელმწიფო ორგანოში – სახელმწიფო პარლამენტში არ ქმნიდა მისი საქმიანობის სახელმწიფო სამსახურად მიჩნევის საფუძველს, მნიშვნელობა აქვს არა პირის დასაქმების ადგილს, არამედ საქმიანობის შინაარსს. თ. ჭ-ას ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა საქმიანობას, შესაბამისად საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თანამშრომლის მიმართ ვრცელდებოდა შრომითი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსაზრებას სადავო ურთიერთობის მიმართ კანონის უკუქაღის, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების რეტროაქტიულობის გამოყენების დაუშვებლობის შესახებ. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს სადავო სამართალურთიერთობის მიმართ აქვს არა პირდაპირი, ანუ ნამდვილი რეტროაქტიული ძალა (როდესაც კანონი ეხება წარსულში მომხდარ და უკვე წარსულშივე დასრულებულ ურთიერთობებს), არამედ არაპირდაპირი, არანამდვილი უკუძალა (როდესაც ნორმა ეხება ამჟამინდელ, მიმდინარე და ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამართლებრივ ურთიერთობებს). მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლის ნოვაცია, კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მიღება და „სახელ-

მნიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის ცვლილებები ზემოქმედებს კანონის მიღებამდე წარმოშობილი სამართალურთიერთობების მომავალში განვითარებაზე, კანონი ცვლის სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებამოვალეობებს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან („*ex nunc*“), რასაც არ გამორიცხავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონი, კანონის ამგვარი მოქმედება მისი საყოველთაოობის გამოვლენაა. სოციალური უზრუნველყოფა არის არა ერთგვარადი აქტი, არამედ სამისდღემშიო პროცესი, ეს დენადი ურთიერთობებია, კანონმდებლობის ცვლილებების მოქმედება არ ვრცელდება ძველ ურთიერთობებზე, კანონი აწესრიგებს მისი ძალაში შესვლიდან და არა მის ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართალურთიერთობებს. „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლი გულისხმობს ნორმის ნამდვილი რეტროაქტიული ძალის აკრძალვას. რაც შეეხება არანამდვილ (რეტროსპექტიულ) უკუძალას, – განგრძობადი, სამისდღემშიო ურთიერთობების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალში ის სავსებით დასაშვებია (იხ. მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ხონიაკინა საქართველოს წინააღმდეგ“). ამდენად, ის გარემოება, რომ თ. ჭ-ას წარსულში (2014წ.) შეუწყდა სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა, ხოლო შემდგომში კვლავ აღუდგა, აგრეთვე კასატორის მითითება „ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლზე, რომლის მიხედვით ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არ აქვს, – არ ქმნის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს.

საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ მოსარჩელე თ. ჭ-ა 19.07.2020წ. გარდაიცვალა. საქმეში დაცულია 20.01.2021წ. გაცემული №... სამკვიდრო მონაწილეობა, რომლის საფუძველზეც, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.02.2021წ. განჩინებით თ. ჭ-ას უფლებამონაცვლედ საქმეში ჩაება მისი მეუღლე – ლ. ი-ა. თ. ჭ-ას სასარჩელო მოთხოვნას, სადავო აქტების ბათილად ცნობასა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებასთან ერთად, წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის თ. ჭ-ასთვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურების დავალება 2018 წლის 1 სექტემბრიდან სასამართლოს გადწყვეტილების აღსრულებამდე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო კომპენსაციასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში დასაშვებია უფლებამონაცვლეობა, რაც დასტურდება

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 32.1 მუხლით, რომლის თანახმად, კომპენსაცია, რომელიც პირს ეკუთვნოდა და მისი გარდაცვალების დროისათვის არ იქნა მიღებული, მიეცემა მის მემკვიდრეებს, თუ მათ მიუღებელი თანხისთვის მიმართეს პირის გარდაცვალების დღიდან არაუგვიანეს ერთი წლისა. ამდენად, სახელმწიფო კომპენსაციის შეწყვეტის შესახებ სადავო აქტების უკანონოდ ცნობის პირობებში, ლ. ი-ას, როგორც გარდაცვლილი მოსარჩელის – თ. ჭ-ას უფლებამონაცვლეს, შესაბამისი უფლებით სარგებლობის ფარგლებში, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა აქვს მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე არსებული პერიოდის მხედველობაში მიღებით, იმ ოდენობით, რასაც მიიღებდა თ. ჭ-ა კომპენსაციის აღდგენიდან გარდაცვალებამდე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ თ. ჭ-ას მოთხოვნა მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის აღდგენის თაობაზე – პერსონიფიცირებული უფლებაა და მოსარჩელის გარდაცვალების პირობებში უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ლ. ი-ას (თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინების გაუქმების და სსკ-ის 411-ე მუხლის შესაბამისად, ახალი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი.

დავა ეხება სახელმწიფო სოციალურ დაცვას და მამსადაამე სასკ-ის მე-9 მუხლის თანახმად მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. სსკ-ის 55.3 მუხლის თანახმად, როდესაც ორივე მხარე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბიუჯეტი-საგან, საქმეზე განეულ ხარჯს ანაზღაურებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ლ. ი-ას (თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 08.05.2019წ. განჩინება და მიღებულ იქ-

ნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. ი-ას (თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის) სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის 05.09.2018წ. №04-00-გ/35802 გადაწყვეტილება;

5. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 08.11.2018წ. №04/60062 გადაწყვეტილება;

6. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალოს თ. ჭ-ასთვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება ლ. ი-ას (თ. ჭ-ას უფლებამონაცვლის) სასარგებლოდ თ. ჭ-ას გარდაცვალებამდე არსებული პერიოდის მხედველობაში მიღებით, იმ ოდენობით, რასაც მიიღებდა თ. ჭ-ა კომპენსაციის აღდგენიდან (01.09.2018წ.) გარდაცვალებამდე (19.07.2020წ.).

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება

ბანჩინება საქართველოს სახელით

№ბს-356(კ-20)

13 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 29 აგვისტოს ლ. ფ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუ-

მის სოციალური მომსახურების ცენტრის მიმართ (მესამე პირი (სასკ 16.2) – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუნეებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველო).

მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდგომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2017 წლის 22 მარტის №04-15-10/2495 მიმართვისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 10 აგვისტოს №04/52015 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 2015 წლის 20 ივლისიდან განვლილი პერიოდის მიუღებელი თანხის (3960 ლარის) ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ფ-მ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ფ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 02 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ლ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს ლ. ფ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 3 960 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ლ. ფ-ის ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის 20 ივლისიდან (მას შემდეგ რაც ის სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკის მიღწევის გამო გათავისუფლდა სამსახურიდან და მოითხოვა სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა), რის თაობაზეც მიმართა სამსახურს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ნამსახურობის წლების (სტაჟის) არასწორად დათვლის გამო დავა აწარმოა სასამართლოში, რაც ასევე შეატყობინა სოციალური მომსახურე-

ბის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს 2017 წლის 21 მარტის №3985 განცხადებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონზე და აღნიშნა, რომ სახელმწიფო კომპენსაციის დაწინაურება და ადმინისტრირებაზე კომპეტენტურ ორგანოს წარმომადგენელს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ვინაიდან, ლ. ფ-ის მიმართ უკანონოდ განხორციელდა მისი კომპენსაციის მიღების უფლებით გამოსატყუარი საკუთრების უფლების ხელყოფა, მას უნდა ანაზღაურებოდა მიუღებელი გასაცემელი იმ პერიოდიდან, რა დროიდანაც მიიღებდა კომპენსაციას სახელმწიფო ორგანოთა მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრმა. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

საკასაციო საჩივრის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევალა ლ. ფ-ისთვის ჩაეთვალა წელთა ნამსახურობაში 1995 წლის 03 მარტიდან – 1998 წლის 30 აპრილამდე რუსეთის ფედერაციის სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდი. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

მითითებული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ლ. ფ-ისთვის ფულადი კომპენსაციის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაცია, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს გადაეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2017 წლის 16 იანვრის №11700118404 მომართვით. ლ. ფ-ს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში შესაბამისი ორგანოს მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის მომდევნო თვიდან – 2017 წლის თებერვლიდან. ის გარემოება, რომ განმცხადებელს 2015 წლის 20 ივლისიდან სახელმწიფო კომპენსაცია არ დაენიშნა, არ იყო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბრალეულობით გამოწვეული და ამდენად, სოციალური მომსახურების სააგენტოს არ გააჩნდა

განმცხადებლისათვის 2015 წლის 20 ივლისიდან გასაცემი კომპენსაციის ანაზღაურების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 26 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2015 წლის 20 ივლისის №1581925 ბრძანების თანახმად, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის ... სამმართველოს (ბათუმი) ... ჯგუფის უმცროსი ინსპექტორი (...), საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ... ი. შ.-ს ძე ფ. გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და დათხოვნილ იქნა საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან.

დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების მომენტისათვის, ლ. ფ.-მ მიმართა სამსახურს საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა ორგანოებში წელთა ნამსახურობის გამოანგარიშების თხოვნით, რის თაობაზეც საქართველოს შინაგან საქ-

მეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის კადრების სამმართველოდან 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 ნერილით ეცნობა, რომ მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, მისი შსს ორგანოებში წელთა ნამსახურობა 2015 წლის 20 ივლისისათვის შეადგენდა 17 წელს 11 თვეს და 12 დღეს. რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებში სამხედრო სამსახური მოიცავდა – 1995-1998 წლების პერიოდს. განმცხადებელს განემარტა, რომ „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 26 ოქტომბრის №609 ბრძანებულების XIV თავის 42-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად სამხედრო სამსახურში ნამსახურობის წლები (სტაჟი) მოიცავდა სსრკ ჯარში სამსახურის პერიოდს 1991 წლის 21 დეკემბრამდე, ამიტომ რუსეთის ფედერალურ სასაზღვრო ჯარებში სამსახურის პერიოდი არ ჩაითვალა სამხედრო ნამსახურობის წლებში (სტაჟში).

ლ. ფ-მ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა საქართველოს შსს საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 ნერილის ბათილად ცნობა და მის მიერ სამხედრო სამსახურში, კონტრაქტის საფუძველზე, ნამსახურობის წლების 1995 წლიდან – 1998 წლამდე პერიოდის ნამსახურობის წლებში ჩათვლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით ლ. ფ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს სასაზღვრო პოლიციას დაევა ლ. ფ-ისთვის 1995 წლის 03 მარტიდან – 1998 წლის 30 აპრილამდე რუსეთის ფედერაციის სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

ლ. ფ-მ 2017 წლის 21 მარტს №3985 განცხადებით მიმართა ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის (საქმე №3/6669) გადაწყვეტილების საფუძველზე სადავო პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა, სახელმწიფო კომპენსაციისა და სოციალური პაკეტის დანიშვნა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას სოციალური გასაცემელი ეკუთვნოდა 2015 წლის 20 ივლისიდან და მოითხოვა ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს გაეცა მასზე ამ პერიოდიდან მიუღებელი თანხა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2017 წლის 22 მარტის №04-15-01/2495 წერილით ლ. ფ-ს 2017 წლის 21 მარტის №3985 განცხადების პასუხად ეცნობა, რომ დოკუმენტაცია მისთვის ფულადი კომპენსაციის დანიშვნის მიზნით, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს გადმოეგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2017 წლის 16 იანვრის №11700118404 მომართვით. აღნიშნული ცნობილი იყო ასევე მისთვის. საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მომართვისა და მისი განცხადების საფუძველზე, ლ. ფ-ს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან – 2017 წლის 01 თებერვლიდან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს განმცხადებლისთვის 2015 წლის 20 ივლისიდან – 2017 წლის 01 თებერვლამდე (კომპენსაციის დანიშვნამდე) პერიოდის მიუღებელი კომპენსაციის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის 2017 წლის 22 მარტის №04-15-01/2495 გადაწყვეტილება ლ. ფ-ის მიერ გასაჩივრდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 10 აგვისტოს №04/52015 გადაწყვეტილებით ლ. ფ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში, დავის საგანს და სასამართლოს მიერ შესაფასებელ გარემოებას წარმოადგენს ლ. ფ-ისათვის მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის ანაზღაურება და ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერების დადგენა.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ზიანის (მიუღებელი კომპენსაციის) ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახ-

მად, პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულა აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შესაფასებელი იყო/არის ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, ამ კანონის მიზნებისთვის კომპეტენტური ორგანო არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო.

„სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის ადმინისტრირების/კომპეტენტური ორგანოს უფლება-მოვალეობებია: კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა, მისი გაცემის ორგანიზება, შეჩერება, განახლება, შეწყვეტა და გადაანგარიშება. ამავე კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე განცხადება ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად წარედგინება კომპეტენტურ ორგანოს. ხოლო, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისათვის საჭირო დოკუმენტების ნუსხა, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოების, აგრეთვე კომპენსაციის დანიშვნის წესი და პირობები განისაზღვრება მინისტრის ნორმატიული აქტით.

სადავო პერიოდში მოქმედი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის (დანართი №2) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომპენსაციის ადმინისტრირების კომპეტენტური ორგანოა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო.

ამავე წესის მე-15 მუხლის თანახმად, კომპენსაციას შესაბამისი განცხადების საფუძველზე ნიშნავს სააგენტო. განაცხადს თან უნდა ერთოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი. კანონი-

ერი წარმომადგენლის მომართვის შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილი უნდა იყოს, კანონიერი წარმომადგენლობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირის მიერ ამ წესით განსაზღვრული კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლის წარმოშობისას განცხადებას თან უნდა ერთოდეს შემდეგი სახის დოკუმენტები: ა) სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირთათვის, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან გათავისუფლებულ პირთათვის ნამსახურობის ვადის ამოწურვის გამო კომპენსაციის დანიშვნისათვის – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი უწყების/დანესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშება, ბრძანება სამხედრო ძალების რიგებიდან დათხოვნის შესახებ, ბრძანება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, ბრძანება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ლ. ფ-ს, მისი განცხადების პასუხად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულების საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის კადრების სამმართველოდან 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 წერილით ეცნობა, რომ მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით მისი შსს ორგანოებში წელთა ნამსახურობა 2015 წლის 20 ივლისისათვის შეადგენდა 17 წელს 11 თვეს და 12 დღეს, ამდენად იგი არ იყო სახელმწიფო კომპენსაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ვინაიდან მას არ ჰქონდა 20 წლიანი წელთა ნამსახურობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ლ. ფ-ისათვის შესაბამისი პერიოდის ნამსახურობაში ჩათვლა განხორციელდა კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 თებერვლის გადაწ-

ყვეტილების საფუძველზე. ამასთან, განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და სასაზღვრო პოლიციას დაევალა ლ. ფ-ისთვის 1995 წლის 03 მარტიდან – 1998 წლის 30 აპრილამდე რუსეთის ფედერაციის სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდის წელთა ნამსახურობაში ჩათვლა. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად (ნამსახურობის პერიოდის ჩათვლის შედეგად), ლ. ფ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაცია, ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციის 2017 წლის 16 იანვრის №11700118404 მიმართვის საფუძველზე გადაეგზავნა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო უფლებამოსილი საქართველოს შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან შესაბამისი წარდგინებისა და ნამსახურობის ნუსხის/გაანგარიშების მიღების გარეშე, 2015 წლის ივლისის თვიდან ლ. ფ-ისათვის დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია, ხოლო, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს სასაზღვრო პოლიციიდან საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, ლ. ფ-ს დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 2017 წლის თებერვლიდან.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, მონინაალმდევე მხარის წარმომადგენლის – რ. ფ-ის განმარტებას იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილი იყო კომპენსაციის დანიშვნა და შესაბამისად თანხის ანაზღაურება სწორედ 2015 წლის ივლისიდან განეხორციელებინა (სასამართლო სხდომის ოქმი – 29.09.21წ.). საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს კომპენსაციის დანიშვნის უფლებამოსილება სწორედ 2017 წლის იანვრის მიმართვის საფუძველზე 2017 წლის თებერვლიდან წარმოეშვა, ხოლო კომპენსაციის წინა თარიღიდან დანიშვნის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ლ. ფ-ს სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის 2017 წლის 21 მარტამდე არ მიუმართავს. ამდენად,

ლ. ფ-ისათვის ზიანის მიყენება, რაც გამოიხატა სახელმწიფო კომპენსაციის დროულად არ დანიშვნასა და შესაბამისად, კომპენსაციის მიუღებლობაში, არ იყო გამოწვეული კასატორის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს/ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მოქმედებით, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, კომპენსაციის დანიშვნა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით 2017 წლის თებერვლიდან განხორციელდა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ზიანი, რომელიც წარმოიშვა თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი. სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი საქმიანობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტებისას. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევაში და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 16 მაისის №ბს-740-736(კ-17) განჩინება).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია ის გარემოება, რომ ლ. ფ-ისათვის სახელმწიფო კომპენსაციის 2017 წლის თებერვლიდან დანიშვნა, გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ადმინისტრაციის 2015 წლის 03 აგვისტოს №1687125 აქტით (მოცემულ საქმეზე მესამე პირი – 16.2), ლ. ფ-ეს ნაცვლად 20 წლიანი წელთა ნამსახურობისა, ნამსახურობა განესაზღვრა – 17 წლით, 11 თვითა და 12 დღით. ზემოაღნიშნული აქტი კი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი და სწორედ სასამართლოს დავალების შედეგად სასაზღვრო პოლიციის მიერ განხორციელდა ლ. ფ-ისათვის ნამსახურობის პერიოდის ჩათვლა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ საერთოდ არ არის შეფასებული მოპასუხის სათანადოობა. სააპელაციო სასამართლომ ისე დააკისრა მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომ საერთოდ არ შეუფასებია ის გარემოება, თუ რაში გამოიხატა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს/ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ მოსარჩელისათვის ზიანის მიყენება და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო მოქმედება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, უნდა შეაფასოს მოცემულ საქმეზე მოპასუხის სათანადოობის საკითხი და დაეხმაროს მოსარჩელეს სარჩელის სწორად ფორმულირებაში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მაგრამ იგი არ არის შეზღუდული სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირებით. პროცესის დაჩქარების მიზნით, მოსამართლეს შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მიხედვით, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, კანონი სასამართლოს ავალებს, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული პირის სათანადოობის გარკვევას, ანუ იმის განსაზღვრას, თუ სამართლებრივად რამდენად სწორადაა შერჩეული სარჩელზე პასუხისმგებელი პირი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტით (გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია) აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა

განსახილველად აბრუნებს ქვემდგომ სასამართლოში, რამდენადაც საქმეზე სათანადო მოპასუხის დადგენა სცილდება საკასაციო სასამართლოს კომპეტენციას. სააპელაციო სასამართლომ საპროცესო სამართლის წესების დაცვით უნდა განსაზღვროს სათანადო მოპასუხე და სარჩელის სამართლებრივი შედეგები სწორედ ამის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს, ხოლო მოსარჩელის მიერ მოპასუხის დაუზუსტებლობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ბათუმის სოციალური მომსახურების ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობის
ბანსაზღვრა**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-414(კ-20)

25 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელება

აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 27 აგვისტოს მ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 ივლისის №04/40539 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრისათვის, მ. ხ-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 25 მაისის ცნობაში მითითებული წელთა ნამსახურების მიხედვით, სახელმწიფო კომპენსაციის 30 წლის შრომის საერთო სტაჟის გათვალისწინებით აღდგენის დავალდებულება, ასევე 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 იანვრამდე და 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 აგვისტოს განჩინებით მ. ხ-ის სარჩელი, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 ივლისის №04/40539 გადაწყვეტილება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაევალა მ. ხ-ისათვის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 25 მაისის ცნობაში მითითებული წელთა ნამსახურების მიხედვით, სახელმწიფო კომპენსაციის, 30 წლის საერთო სტაჟის გათვალისწინებით აღდგენა, 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 იანვრამდე და 2019 წლის 01 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (30 წლის საერთო სტაჟის და კანონით დადგენილი ოდენობის გათვალისწინებით); სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაევალა მ. ხ-ისათვის უფლებამოსილების გადამეტებით კუთვნილი კომპენსაციიდან უსაფუძვლოდ დაკავებული 880 ლარის ანაზღაურება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა. აპელანტებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 2017 წლის 29 მაისის მიმართვით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახუ-

რების სააგენტოს ქ. ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს გაეგზავნა შეტყობინება და მ. ხ-ის საბუთები მისთვის სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის მიზნით. მიმართვას თან ახლდა წელთა ნამსახურობის ანგარიში და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 20 იანვრის №65 ბრძანების ასლი.

... პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 25 მაისის სამხედრო მოსამსახურის დათხოვის (ამორიცხვის) შესახებ მონაცემების თანახმად, მ. ხ-ი დათხოვნილი იყო ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 20 იანვრის №65 ბრძანებით. შრომის სტაჟი 2012 წლის 19 იანვრისთვის შეადგენდა – 30 კალენდარული წელი, 05 თვე, 27 დღე.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების მე-2 ქვეითი ბრიგადის უზრუნველყოფის ბატალიონის ფინანსისტის მიერ გაცემული სახელმწიფო კომპენსაციისათვის წელთა ნამსახურობის ანგარიშის თანახმად დადგენილი იყო, რომ მ. ხ-ის სახელმწიფო კომპენსაციისათვის წელთა ნამსახურობის ანგარიში შეადგენდა: სამხედრო სავალდებულო სამსახური: 20.10.1980-26.10.1982 წ. – 02 წელი, 00 თვე და 06 დღე; სამხედრო სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 16.02.1993-12.08.1993 წ. – 00 წელი, 05 თვე და 26 დღე; სამხედრო სამსახური საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 07.10.1994-12.01.2012 წ. – 17 წელი, 03 თვე და 12 დღე; სულ ნამსახურობა – 19 წელი, 09 თვე და 11 დღე. შრომის სტაჟი – 10 წელი, 08 თვე და 13 დღე. საერთო შრომის სტაჟი – 30 წელი, 05 თვე და 27 დღე.

მ. ხ-ს 2017 წლის 01 ივლისიდან დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია.

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით, მ. ხ-ს კომპენსაციიდან დაუკავდა სახელმწიფოს სასარგებლოდ დანიშნული კომპენსაცია – 304 ლარი. სულ დაკავებული თანხა – 880 ლარი; თვეში დასაკავებელი თანხა – 60.80 ლარი; ჩასარიცხი კომპენსაცია – 01.06.2018 დან თვეში – 243.20 ლარი.

მ. ხ-მა 2018 წლის 04 ივნისს მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს განცხადებით და მიუთითა, რომ არ ეთანხმებოდა სახელმწიფო კომპენსაციის დაკავებას/შემცირებას. აღნიშნულ განცხადებაზე მ. ხ-ს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 12 ივნისის №04-06/6544 წერილით ეცნობა, რომ მისი ძალოვან სტრუქტურაში ნამსახურების სტაჟი შეადგენდა 19 წელს, 4 თვესა და 14 დღეს, შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაცია მას უნდა

დანიშნონდა 20 წლის სტაჟით და არა 30 წლის სტაჟით. ამდენად შეცდომით მითითებულმა სტაჟმა გამოიწვია მხარისთვის ზედმეტად 80 ლარის გაცემა (ნაცვლად 384 ლარისა მ. ხ-ის სახელმწიფო კომპენსაცია შეადგენდა 304 ლარს). შესაბამისად მ. ხ-ის ზედმეტად მიღებული კომპენსაცია იყო 880 ლარი, რის გამოც სახელმწიფო კომპენსაციის დაკავება მოხდებოდა დანიშნული თანხის 20%-ით დავალიანების დაფარვამდე.

აღნიშნული წერილი მ. ხ-მა გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2018 წლის 13 ივლისის №04/40539 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2018 წლის 26 ივლისს მ. ხ-მა მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა, სამინისტროს დაევალებინა სააგენტოსთვის სადავო საკითხის გადასაწყვეტად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება და თავდაცვის სამინისტროსთან ერთად 1996 წლის 16 ოქტომბრის №430-1ს საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად მ. ხ-ის საერთო შრომითი სტაჟის და კომპენსაციის ოდენობის დადგენა. სამინისტრომ აღნიშნული განცხადება/საჩივარი გადააგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 აგვისტოს №04/44779 გამოცემული წერილის თანახმად, მ. ხ-ს და მის წარმომადგენელს გ. გ-ს განემარტათ, რომ 2018 წლის 26 ივლისის №7232 განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მ. ხ-ის სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის საკითხს, სააგენტოს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შესაბამისად, განცხადებაში დასმული საკითხის ხელმეორედ განხილვის სამართლებრივი საფუძვლები სააგენტოს არ გააჩნდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პერსონალის მართვის ცენტრის 2018 წლის 21 ნოემბრის №MOD 8 18 01182733 და 2019 წლის 12 იანვრის №MOD 1 19 00023921 წერილების შესაბამისად, მ. ხ-ის შრომის სტაჟის საერთო რაოდენობა იყო – 30 წელი, 05 თვე და 27 დღე, მ. ხ-ის შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურება შეადგენდა – 19 წელს, 9 თვეს და 14 დღეს. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევდა, რომ არ არსებობდა სამართლებრივი საფუძველი მათ მიერ წარდგინების და წელთა ნამ-

სახურების ნუსხის ხელახლა შედგენის თაობაზე.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, „სახელმწიფო პენსიის/საპენსიო პაკეტისა და სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის №46/ნ ბრძანების №2 დანართის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმატიული აქტების დანაწესებით ცალსახად იყო განსაზღვრული იმ შემთხვევათა ჩამონათვალი, რომელთა არსებობის შემთხვევაში გაიცემოდა სახელმწიფო კომპენსაცია, კერძოდ – „... საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი“. სასამართლოს შეფასებით, მითითებული ნორმატიული აქტებით სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნას ერთდროულად რამდენიმე პირობის არსებობას უკავშირდებოდა, კერძოდ: 1) პირი სამხედრო სამსახურში ჩარიცხული უნდა ყოფილიყო 1991-1995 წლებში; 2) დათხოვნილი უნდა ყოფილიყო ზღვრული ასაკის მიღწევის გამო; 3) უნდა ჰქონოდა შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც; 4) შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დადგენილი იყო, რომ მოსარჩელე მ. ხ-ი: 1) 1993 წელს განვეული იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და მიღებული იქნა სამხედრო სამსახურში; 2) 2012 წლამდე მუშაობდა სამხედრო ძალების შემადგენლობაში და დათხოვნილი იქნა ზღვრული ასაკის მიღწევის გამო; 3) ჰქონდა შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელზე მეტი (19 წელი, 09, თვე და 14 დღე, რაც კომპენსაციის დანიშვნის მიზნებისათვის ნამსახურობის წლებად განისაზღვრა 20 წლის ოდენობით) და 4) ჰქონდა შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი (30 წელი, 05 თვე და 27 დღე). შესაბამისად, მითითებული ნორმების თანახმად, მ. ხ-ის მონაცემები სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისათვის სრულად აკმაყოფილებდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორის პოზიციის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის პრინციპი დამყარებულია, მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებულ სამსახურზე, რაც გულისხმობს სამხედრო უწყებაში სამხედრო მოსამსახურის სტატუსით სამსახურის გავლას და არა სამოქალაქო პირის სტატუსით მუშაობას. შესაბამისად, წელთა ნამსახურობის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება პირის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში გასვლის ან სამსახურიდან გადადგომის მომენტისათვის არსებული ნამსახურები, ხოლო კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება ხდება, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღისათვის მინიჭებული წოდებისა და ამ წოდებისათვის კანონით დადგენილი კოეფიციენტის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, შეღავათიანი პირობით (10 კალენდარული წელი და 20 და 20-ზე მეტი შრომის საერთო სტაჟი) პირს ანიჭებს სახელმწიფო გასაცემლის მიღების უფლებას, ეს გარემოება არ გულისხმობს, რომ გასაცემლის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში, კომპენსაციის გაანგარიშება უნდა მოხდეს, სამხედროსთან ერთად, სამოქალაქო სტაჟის გათვალისწინებით.

თავდაცვის სამინისტროდან გადმოგზავნილ დოკუმენტში (წელთა ნამსახურობის ნუსხა) მ. ხ-ს მითითებული აქვს 30 წლიანი ნამსახურობის სტაჟი, სინამდვილეში კი მისი კალენდარული წელთა ნამსახურობა შეადგენს 19 წელს, 9 თვესა და 14 დღეს. აღნიშნულმა გამოიწვია ის, რომ მ. ხ-ს კომპენსაცია დაენიშნა 30 წლიანი და არა 20 წლიანი ნამსახურობის გათვალისწინებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბენეფიციარს ყოველთვიურად ზედმეტად ერიცხებოდა 80 ლარი. სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის განმარტებით, ზედმეტად დარიცხული თანხა აღიარებულ იქნა მ. ხ-ის მიერ, 2018 წლის 23 მაისის №9642 განცხადებით, რის საფუძველზეც ადმინისტრაცი-

ულმა ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება მისი კომპენსაციიდან თანხის დაკავების თაობაზე, არაუმეტეს დანიშნული კომპენსაციის (შემცირებული) 20%-ისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 28 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემული დავის ფარგლებში სასამართლოს შეფასების საგანს არა მ. ხ-ისათვის კომპენსაციის დანიშვნის საფუძვლიანობის შემოწმება, არამედ დანიშნული კომპენსაციის ოდენობის შეფასება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ: ა) ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის დღეს აქვთ წელთა ნამსახურობის 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც იძულებით იყვნენ დათ-

ხოვნილი 1956 წელს ქართული სამხედრო შენაერთის (დივიზიის) დაშლის დროს და აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 და 10-ზე მეტი კალენდარული წელი და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი; ბ) იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმიროების გამო განვეულ იქნენ სამხედრო სამსახურში, საპენსიო ასაკის მიღწევის დღისათვის იმყოფებიან სამხედრო სამსახურში და აქვთ საქართველოს სამხედრო ძალებში/თავდაცვის ძალებში წელთა ნამსახურობის 10 წელი; გ) ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, შინაგან საქმეთა ორგანოების, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების, სასაზღვრო ჯარების, სხვა კანონიერი სამხედრო ფორმირებების სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პენსიონერებს, რომლებიც შემდგომ ჩაირიცხნენ საქართველოს სამხედრო ძალების/თავდაცვის ძალების კადრის სამხედრო სამსახურში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, წელთა ნამსახურობის გამოანგარიშება ხდება სამხედრო მოსამსახურის სამსახურში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან იმ დღემდე, როდესაც იგი ბრძანების თანახმად თადარიგში იქნა დათხოვნილი ან გადადგა სამსახურიდან.

საკასაციო სასამართლო უდავოდ დადგენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მ. ხ-ის შრომის სტაჟი შეადგენს – 30 წელს, 05 თვეს და 27 დღეს, ხოლო მ. ხ-ის შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურება – 19 წელს, 9 თვეს და 14 დღეს. ამასთან, სადავო არ არის ის გარემოება, რომ მ. ხ-ი წარმოადგენს კომპენსაციის მიმღებ სუბიექტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია) განისაზღვრება სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან, საქართველოს სასჯელალსრულები-სა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამ-

სახურიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულებიდან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან დათხოვნილ პირთა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საჯარო თანამდებობებიდან განთავისუფლებულ პირთა კომპენსაციის გაანგარიშების საკითხი (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია). მითითებული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამხედრო მოსამსახურეებს კომპენსაცია ენიშნებათ ერთ-ერთი შემდეგი პირობით და მისი ოდენობაა: ა) 65 წლის ან 65 წელზე მეტი ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში – პენსიის ოდენობას დამატებული: ა.ა) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისათვის (გარდა ოფიცრებისა) ან უმცროსი სპეციალური ნოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 2 ლარზე ნამრავლი; ა.ბ) საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურის უმცროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან საშუალო სპეციალური ნოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 5 ლარზე ნამრავლი; ა.გ) კადრის სამხედრო სამსახურის უფროსი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უფროსი სპეციალური ნოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 10 ლარზე ნამრავლი; ა.დ) კადრის სამხედრო სამსახურის უმაღლესი ოფიცრების შემადგენლობისათვის ან უმაღლესი სპეციალური ნოდების მქონე პირებისათვის – ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის წლების 15 ლარზე ნამრავლი; ბ) 65 წლამდე დანიშვნის შემთხვევაში – ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კომპენსაციის 80%. ხოლო, ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ ზემოხსენებულ ორგანოებში ნამსახურობის 20-ზე ნაკლები კალენდარული წელი, ამ მუხლის მიზნებისათვის ზემოაღნიშნულ ორგანოებში ნამსახურობის წლებად განესაზღვროთ 20 წელი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კომპენსაციის ოდენობის

დაანგარიშება ხორციელდება შესაბამის ორგანოებში ნამსახურე-ბი წლების კონკრეტულ თანხაზე გამრავლების შედეგად. შესაბამისად, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრად გადამწყვეტია არა კომპენსაციის მიმღები სუბიექტის ზოგადი – საერთო სტაჟი, არამედ მის მიერ შესაბამის ორგანოებში ნამსახურეობს პერიოდი. აქვე საკასაციო სასამართლო კვლავ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული – შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი (სახელმწიფო კომპენსაცია ენიშნებათ საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ მოსამსახურეებს, რომლებიც შევიდნენ სამხედრო სამსახურში 1991-დან 1995 წლამდე და დათხოვნილი იქნენ ზღვრული ასაკის გამო, აქვთ შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურეობის 10 კალენდარული წელი მაინც და შრომის საერთო სტაჟი 20 და 20-ზე მეტი კალენდარული წელი), განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებ პირად ცნობის ერთერთ მოთხოვნას/აუცილებელ პირობას და აღნიშნულ ნაწილს, კავშირი არ აქვს კომპენსაციის თანხის ოდენობის გაანგარიშებასთან. კომპენსაციის ოდენობა გაიანგარიშება „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად, ის პირები, რომლებსაც აქვთ – შესაბამის ორგანოებში ნამსახურეობა 20 წელი ან ნაკლები, კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშების მიზნებისთვის, ნამსახურეობის წლებად განესაზღვრებათ 20 წელი.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მ. ხ-ის შრომის საერთო სტაჟია – 30 წელი, 05 თვე და 27 დღე, ხოლო მისი შეიარაღებულ ძალებში წელთა ნამსახურეობა შეადგენს – 19 წელს, 9 თვეს და 14 დღეს. ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის (მოსარჩელის) კომპენსაციის ოდენობის გაანგარიშება უნდა მოხდეს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე, სამხედრო სამსახურში 20 წლიანი ნამსახურეობისათვის განკუთვნილი თანხის ოდენობით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ ნაწილში სახეზეა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინების გაუქმების საფუძველები, ვინაიდან ამ ნაწილში არ არსებობს სასარჩელო მოთ-

ხოვნების – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 ივლისის №04/40539 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და მ. ხ-ის სასარგებლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2017 წლის 25 მაისის ცნობაში მითითებული წელთა ნამსახურების მიხედვით, სახელმწიფო კომპენსაციის 30 წელზე გაანგარიშებით აღდგენის დაავალდებულების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ ასევე არ არსებობს 2018 წლის 01 ივნისიდან 2019 წლის 01 იანვრამდე და 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე, სახელმწიფო კომპენსაციის შემცირების საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძვლები.

რაც შეეხება, სასარჩელო მოთხოვნას მ. ხ-ისათვის, გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციიდან დაკავების გზით დაბრუნებული, სახელმწიფო კომპენსაციის 880 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სახეზეა მ. ხ-ის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კომპენსაციიდან/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიიდან თანხის დაკავება შეიძლება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზედმეტად დარიცხული კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დაბრუნება შესაძლებელია კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით დანიშნული კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის არა უმეტეს 20%-ის დაკავების მეშვეობით იმ შემთხვევებში, როდესაც ზედმეტი თანხის დარიცხვა გამოწვეულია მიმღების მიერ არასწორი მონაცემების წარდგენით.

ამდენად, კანონმდებლობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ – ზედმეტად დანიშნული და გაცემული კომპენსაციის დაბრუნების წინაპირობად მიუთითებს თავად განმცხადებლის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია და აღნიშნულ გარემოებაზე არც კასატორი მხარე მიუთითებს. შესაბამისად, მ. ხ-ს უნდა აუნაზღაურდეს გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციიდან დაკავებული, სახელმწიფო კომპენსაცია – 880 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე. ამდენად, მხარეები განთავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. მ. ხ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

4. ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 13 ივლისის №04/40539 გადაწყვეტილება – მ. ხ-ზე ზედმეტად გაცემული სახელმწიფო კომპენსაციის – 880 ლარის დაკავების ნაწილში;

5. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს დაევალოს მ. ხ-ისათვის, გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციიდან დაკავებული, სახელმწიფო კომპენსაციის 880 ლარის ანაზღაურება;

6. დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მიღებულ პენსიასა და მისაღებ კომპენსაციას შორის
სხვაობის ანაზღაურება**

**ბანკინება
საქართველოს სახელით**

№ბს-509(კ-20)

25 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ქ. ცინცაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 26 მარტს გ. ს-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 26 ნოემბრის №04.06/12983 წერილისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 27 თებერვლის №04/101419 გადაწყვეტილების (გ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ) ბათილად ცნობა და მოპასუხეთათვის 2015 წლის იანვრიდან – 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით ყოველთვიურად 150 ლარის, 2015 წლის სექტემბრიდან – 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 160 ლარის, 2016 წლის იანვრიდან – 2016 წლის ივლისის ჩათვლით ყოველთვიურად 160 ლარის, სულ 2920 ლარის, როგორც სახელმწიფო კომპენსაციის უკანონოდ შემცირებული თანხის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა გ. ს-ის სარჩელი; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 26 ნოემბრის №04.06/12983 წერილი, მიღებული პენსიის 2015 წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით 150 ლარის, 2015 წლის სექტემბრიდან – დეკემბრის ჩათვლით 160 ლარის, 2016 წლის იანვრიდან – ივლისის ჩათვლით

160 ლარის გამოქვითვის შესახებ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2019 წლის 27 თებერვლის №04/101419 გადაწყვეტილება გ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ; მოპასუხეებს სოლიდარულად დაექისრათ 2920.00 ლარის, როგორც უკანონოდ შემცირებული თანხის, გ. ს-ის სასარგებლოდ გადახდა (2015 წლის 11 იანვრიდან – 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით ყოველთვიურად 150 ლარი, 2015 წლის სექტემბრიდან – 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით ყოველთვიურად 160 ლარი, 2016 წლის იანვრიდან – 2016 წლის ივლისის ჩათვლით ყოველთვიურად 160 ლარი).

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა. აპელანტებმა გაასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგინლად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის №3/2113-16 გადაწყვეტილებით სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა გ. ს-ისათვის 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადების ნარდგენის მომდევნო თვიდან სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2017 წლის 06 აპრილის სააპელაციო სასამართლოს და 2017 წლის 18 დეკემბრის უზენაესი სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის №3/2113-16 გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

2018 წლის 26 ნოემბრის №04-06/12983 წერილით გ. ს-ეს ეცნობა, რომ დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 2015 წლის იანვრიდან და ყოველთვიურმა ასაღებმა კომპენსაციის თანხამ დაანგარიშებით შეადგინა 24.58 ლარი. ვინაიდან, 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით გ. ს-ე იღებდა სახელმწიფო პენსიას 150 ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით 160 ლარს, აღნიშნული გაცილებით აღე-

მატებოდა ამ პერიოდში დაანგარიშებულ სახელმწიფო კომპენსაციის თანხას. 2016 წლის 01 იანვრიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის“ შესახებ შეტანილი ცვლილებით, „პროკურატურის შესახებ“ კანონში განისაზღვრა პროკურატურის მუშაკის კომპენსაცია. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობამ შეადგინა 400 ლარი და 80 თეთრი, ხოლო ამ თანხას დააკლდა მიღებული სახელმწიფო პენსიის თანხა 160 ლარი და სხვაობამ შეადგინა 240 ლარი და 80 თეთრი (6 თვე – 1444 ლარი და 80 თეთრი), ხოლო 2016 წლის ივლისში სხვაობა იყო 270 ლარი და 90 თეთრი, სულ სახელმწიფო კომპენსაციის სხვაობამ შეადგინა 1715 ლარი და 70 თეთრი;

2018 წლის 21 ნოემბრის იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილებით სულ ჩასარიცხმა თანხამ 01.01.15-დან 01.08.17-მდე შეადგინა 2168.60 ლარი.

2018 წლის 21 ნოემბრის იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილება გ. ს-ემ გაასაჩივრა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული თანხების გაცემა საქართველოს პრეზიდენტის №12611201793 ბრძანების დარღვევით მოხდა.

2018 წლის 26 დეკემბერს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიმართვის თანახმად, გ. ს-ის საჩივარი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილებოდა სოციალური მომსახურების სააგენტოში. 2019 წლის 04 იანვარს გ. ს-ემ განცხადებით მიმართა იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრს და გამოხატა სურვილი საჩივრის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2019 წლის 27 თებერვლის №04/10149 გადაწყვეტილების შესაბამისად, გ. ს-ის მოთხოვნა უკანონოდ გამოქვითული თანხების დარიცხვის თაობაზე იყო ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მისი საჩივარი.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის თ. ვ-ის 2018 წლის 04 ივლისის №04-06/7306 წერილით გ. ს-ეს ეცნობა 2018 წლის 01 ივლისიდან მის მიმართ დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის შეჩერების შესახებ.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის თ. ვ-ის 2018 წლის 04 ივლისის №04-06/7306 წერილი გ. ს-ემ გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების სააგენტოში, რომლის 2018 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტი-

ლებით, გ. ს-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების მოტივით.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ გ. ს-ის სარჩელი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა და სასამართლომ მოპასუხეებს დაავალა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გ. ს-ეზე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ამდენად, 2015 წლის პირველი იანვრიდან აპელანტს მოსარჩელისათვის უნდა დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია შესაბამისი გაანგარიშებით, თუმცა აპელანტმა მოსარჩელეზე მისი თანხმობის გარეშე კომპენსაციის ნაცვლად ასაკით პენსია გასცა.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით პირდაპირ იქნა დადგენილი მოსარჩელეზე სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის ვალდებულება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელებია, არც მოსარჩელის თანხმობა არსებობდა პენსიის გაცემის თაობაზე, შესაბამისად, პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება მოსარჩელისათვის გადახდილი საპენსიო თანხის შეცდომით გადახდილად მიჩნევისა და მისი ლეგალიზების შესახებ, რადგანაც „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მიხედვით, 2016 წლის 01 დეკემბრამდე ზედმეტად გაცემული პენსია ლეგალიზებულად ითვლებოდა და დაბრუნებას არ ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრმა. კასატორებმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის 2018 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით, გ. ს-ეს სახელმწიფო კომპენსაცია დაენიშნა 2015 წლის 01 იანვრიდან.

2015 წლის 01 იანვრიდან თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო გ. ს-ის კომპენსაციას დაიანგარიშებდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან ბოლოს მონოდებული ინფორმაციის შესაბამისად, მისი კომპენსაციის ოდენობა 2016 წლის 01 იანვრამდე მოქმედი კანონმდებ-

ლობიდან გამომდინარე, განისაზღვრებოდა 24 ლარით. გარდა ამისა, 2016 წლის 01 აგვისტომდე გ. ს-ეს დანიშნული ჰქონდა ასაკის გამო სახელმწიფო პენსია, რომლის ოდენობა 2015 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 სექტემბრამდე შეადგენდა 150 ლარს, 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2016 წლის 01 ივლისამდე – 160 ლარს, ხოლო 2016 წლის 01 ივლისიდან 2019 წლის 01 იანვრამდე – 180 ლარს. შესაბამისად, სააგენტოსათვის გაუგებარია თუ რა თანხა უნდა აენაზღაურებინა გ. ს-ისათვის 2015 წლის განმავლობაში, მითუმეტეს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში არანაირ თანხაზე საუბარი არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 20 ივლისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 10 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დასაშვებად იქნა მიჩნეული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივრი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეზე მოსარჩელე გ. ს-ის მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის პირველი იანვრიდან გ. ს-ე იღებდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პენსიას, ხოლო ქუთაისის საქალაქო

სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის №3/2113-16 გადაწყვეტილებით სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა გ. ს-ისათვის, 2014 წლის 12 დეკემბრის განცხადების წარდგენის მომდევნო თვიდან სახელმწიფო კომპენსაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, 2018 წლის 26 ნოემბრის №04-06/12983 წერილით გ. ს-ეს ეცნობა, რომ დაენიშნა სახელმწიფო კომპენსაცია 2015 წლის იანვრიდან და ყოველთვიურმა ასაღებმა კომპენსაციის თანხამ დაანგარიშებით შეადგინა 24.58 ლარი, ვინაიდან, 2015 წლის იანვრიდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით გ. ს-ე იღებდა სახელმწიფო პენსიას 150 ლარის ოდენობით, ხოლო 2015 წლის 01 სექტემბრიდან 2015 წლის დეკემბრის ჩათვლით 160 ლარს, აღნიშნული გაცილებით აღემატებოდა ამ პერიოდში დაანგარიშებულ სახელმწიფო კომპენსაციის თანხას. 2016 წლის 01 იანვრიდან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის“ შესახებ შეტანილი ცვლილებით, „პროკურატურის შესახებ“ კანონში განისაზღვრა პროკურატურის მუშაკის კომპენსაცია. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით 2016 წლის 01 იანვრიდან 2016 წლის ივნისის ჩათვლით, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობამ შეადგინა 400 ლარი და 80 თეთრი, ხოლო ამ თანხას დააკლდა მიღებული სახელმწიფო პენსიის თანხა 160 ლარი და სხვაობამ შეადგინა 240 ლარი და 80 თეთრი (6 თვე – 1444 ლარი და 80 თეთრი). ამასთან, 2016 წლის ივლისში სხვაობა იქნებოდა 270 ლარი და 90 თეთრი, სულ სახელმწიფო კომპენსაციის სხვაობამ შეადგინა 1715 ლარი და 70 თეთრი.

2018 წლის 21 ნოემბრის იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილებით სულ ჩასარიცხმა თანხამ 01.01.15-დან 01.08.17-მდე შეადგინა 2168.60 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს კანონი ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიებს სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო, განსაზღვრავს სახელმწიფო კომპენსაციის (შემდგომში – კომპენსაცია) და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის საფუძვლებს, მათი ოდენობის გაანგარიშების, გაცემის, მისი შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, ადმინისტრირების ორ-

განოს, აგრეთვე მათ მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება აქვთ პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილ მუშაკებს. მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა ამ კანონითა და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლება, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მიღების უფლება, მისივე არჩევით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველს, განსაზღვრავს პენსიის ადმინისტრირების ორგანოს, ადგენს პენსიის დანიშვნის, გაცემის, შეჩერების, განახლების, შეწყვეტის და პენსიის მიღების ზოგად პრინციპებს. ამავე კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველია საპენსიო ასაკის – 65 წლის მიღწევა. ამასთანავე, პენსიაზე უფლება ქალებს წარმოეშობათ 60 წლიდან. ამავე კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, თუ პირს ერთდროულად წარმოეშვა უფლება ამ კანონითა და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სარგებლებზე, მას აქვს მხოლოდ ერთი კანონით მინიჭებული სარგებლის მოთხოვნის უფლება, მისივე არჩევით.

ამდენად, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ და „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო კომპენსაცია და სახელმწიფო პენსია წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური გარანტიის სხვადასხვა სახეს, რომლებსაც, დანიშვნისა და გაცემის განსხვავებული საფუძველები აქვთ და ერთი გასაცემლის მიღება, გარდა ამავე კანონებით დადგენილი შემთხვევებისა, გამორიცხავს მეორე სახის გასაცემლის მიღებაზე უფლებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამავე კოდექსის 207-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრა-

ციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 411-ე მუხლის თანახმად კი, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, იგი უნდა განისაზღვროს მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმებით ისე, რომ ამას არ მოჰყვეს პირის უსაფუძვლო გამდიდრება, პირის იმაზე უკეთეს ქონებრივ მდგომარეობაში აღმოჩენა, ვიდრე იგი იქნებოდა ზიანის გამომწვევი ქმედების არ არსებობის შემთხვევაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 21 ივნისის №ბს-1031(კ-20) გადაწყვეტილება). ამდენად, იმ პირობებში, როდესაც ცალსახაა, რომ გ. ს-ე სადავო პერიოდში ვერ მიიღებდა კონკრეტული პერიოდისათვის განსაზღვრული კომპენსაციის ოდენობაზე მეტ თანხას, ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს კომპენსაციისა და პენსიის ერთდროულად მიღების შესაძლებლობას, გ. ს-ისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანი მიღებულ პენსიასა და მისაღებ კომპენსაციას შორის არსებულ სხვაობაში გამოიხატა. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით გ. ს-ისათვის სწორედ ის თანხა უნდა აუნაზღაურებინა, რაც წარმოადგენდა სხვაობას მიღებულ და მისაღებ სახელმწიფო გასაცემელს შორის.

ამასთან, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს განსახილველ დავაზე სადავო პერიოდში მოქმედი „სახელმწიფო პენ-

სიის შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის გამოყენებას. საკასაციო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული მუხლის თანახმად, 2016 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად გაცემული პენსია ლეგალიზებულად ითვლება და დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული ნორმა ადგენს სახელმწიფოს მხრიდან 2016 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად, უსაფუძვლოდ, გაცემული პენსიის უკან დაბრუნების/დაკავების (ამავე კანონის მე-19 მუხლი) დაუშვებლობის გარანტიას, რაც ცალსახად არ გულისხმობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სახელმწიფო პენსიის/კომპენსაციის მიმღებისათვის სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების პირობებში მასზე ფაქტობრივად გაცემული სახელმწიფო პენსიის გაუთვალისწინებლობას და პირისათვის ორი სახელმწიფო საცემლის ერთდროულად ანაზღაურების ვალდებულებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ზუსტად არ არის დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად მოხდა გ. ს-ისათვის ასანაზღაურებელი კომპენსაციის თანხის ოდენობის გამოანგარიშება (უკვე მიღებული სახელმწიფო პენსიის გამოკლებით), საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს ანაზღაურებული თანხების ოდენობის სისწორეზე, რის გამოც, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, რა დროსაც სააპელაციო სასამართლოს მისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს, განხორციელდა თუ გ. ს-ისათვის, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი მიუღებელი კომპენსაციის თანხის (მიღებული სახელმწიფო პენსიის გამოკლებით) სრულად ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე, საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დაადგინა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 9 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. მხარეები განთავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დევნილების საკითხთან დაკავშირებული დავები

განჩინება
საქართველოს სახელით

№ბს-627(კ-20)

18 მარტი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ა. წულაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ი-მა 2018 წლის 24 სექტემბერს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ) გამოცემისა და მოსარჩელის სასარგებლოდ 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დევნილის ყოველთვიური კომპენსაციის – 45 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 12 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილებით მ. ი-ის

სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანება; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. ი-ისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და მოსარჩელისათვის იძულებით გადაადგილებული პირის კუთვნილი ყოველთვიური კომპენსაციის – 45 ლარის ანაზღაურება 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

4. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. მ. ი-მა 2017 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

4.2. მ. ი-ს 2017 წლის 3 აგვისტოს დევნილთა საკითხების დეპარტამენტში გასაუბრება ჩაუტარდა. გასაუბრების დროს მან აღნიშნა, რომ დაიბადა ... წელს ...ში, 1985 წელს დაამთავრა სოფელ ...ს საშუალო სკოლა, 1987 წელს დაოჯახდა ...ში, ხოლო ... წელს შეეძინა შვილი – ი. ო-ე, დაოჯახების შემდეგ – 1987-1993 წლებში ცხოვრობდა ...ში. მ. ი-მა, ასევე, აღნიშნა, რომ 1992 წელს, ომის დაწყების დროს ცხოვრობდა ...ში, მეუღლესთან და ომის პერიოდში საცხოვრებლად გადავიდა მამასთან, სოფელ ...ში, ხოლო განქორწინება დაარეგისტრირა 1993 წლის ზაფხულში. ის ...ის რაიონის სოფელ ...ში ცხოვრობდა შვილთან, მშობლებთან და ძმებთან ერთად, აფხაზეთის დატოვების შემდეგ კი – ოჯახთან ერთად ...ში, შემდეგ – ...ში, ...ში და შემდეგ – თბილისში. მისივე განმარტებით, შემდეგ იტალიაში იმყოფებოდა სამუშაოდ;

4.3. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს №258 ცნობით დგინდება, რომ მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთის სოფელ ...იდან. იგი მიეკუთვნება 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა კატეგორიას;

4.4. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 4 აგვისტოს №259 ცნობით დგინდება, რომ მ. ი-ი არის დევნილი ზემო აფხაზეთიდან, 1993 წლამდე – მუდმივად ცხოვრობდა ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში;

4.5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 სექტემბრის №MIA01702153718 წერილით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, გან-

სახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ეცნობა, რომ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ინფორმაციით, მ. ი-ი 1988 წლის ჩათვლით ცხოვრობდა ...ში, ე. ...ისის №...-ში, ხოლო 1989 წლიდან – აღნიშნულ მისამართზე აღარ ცხოვრობს, ასევე, მისი ამჟამინდელი საცხოვრებელი მისამართი უცნობია;

4.6. მ. ი-თან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გაიცა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე დასკვნა. დასკვნაში მითითებულია, რომ მ. ი-ი 1987 წელს დაოჯახდა ...ში და მისივე განცხადებით 1993 წლამდე ცხოვრობდა ...ში, 1989 წელს შვილი ...ში შეეძინა. განმცხადებლის მიერ გასაუბრებისას დასახელებული განქორწინების რეგისტრაციის თარიღი კი განსხვავდება მის მიერ წარდგენილი, სასამართლოს 1995 წლის 3 თებერვლის განაჩენის თარიღისგან. სამინისტრომ მიიჩნია, რომ მ. ი-ი 1987 წლიდან აღარ იყო დაკავშირებული სოფელ ...თან ყოველდღიური ყოფით, შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით. შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ მ. ი-თან მიმართებით არ დასტურდებოდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა და დევნილის სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილი არ იყო;

4.7. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის და დევნილთა რეგისტრაციის წესის“ მე-2 მუხლის მე-14 და მე-20 პუნქტების შესაბამისად, დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 9 ოქტომბრის №01-02/06-10384 მოსხენებითი ბარათით წარდგენილი დასკვნის საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017 წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანებით მ. ი-ს უარი ეთქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე.

5. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

4, მე-6, მე-8 მუხლებზე და აღნიშნა, რომ პირის დევნილად მიჩნევისთვის, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის (სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას, საქმიანობას ეწევა) დატოვება. ამასთან, საქალაქო სასამართლოს განმარტებით, პირს მინიჭებული აქვს საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად, შეუზღუდავად არჩევის უფლება, პირს შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გააჩნდეს, თუმცა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

6. მ. ი-ის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენის საკითხთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ გასაუბრებისას მითითებულ გარემოებებზე, აუარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2017 წლის 7 სექტემბრის წერილზე და მიიჩნია, რომ დასახელებული მტკიცებულებები ერთობლიობაში ადასტურებდა 1993 წლამდე მოსარჩელის სოფელ ...ში მუდმივად ცხოვრების ფაქტს. შედეგად, სასამართლომ მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა უკანონოდ მიიჩნია, გასაჩივრებული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტი ბათილად ცნო და მოპასუხეს დაავალა მ. ი-ისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე ახალი აქტის გამოცემა.

7. მოსარჩელისთვის ყოველთვიური კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, საქალაქო სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4, მე-12, მე-16 მუხლებზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე მუხლებსა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუღებელი შემწეობის ანაზღაურების მოთხოვნა ამავე შემწეობის გაუცემლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. ვინაიდან მოსარჩელეს დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უკანონოდ ეთქვა უარი, რის გამოც მან შემწეობა ვერ მიიღო, ზიანის ანაზღაურების შესახებ მ. ი-ის მოთხოვნა საფუძვლიანად იქნა მიჩნეული. ამასთან, რადგან მოსარჩელემ სამინისტროს დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით მიმართა 2017 წლის 3 აგვისტოს, სასამართლომ მიიჩნია, რომ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მ. ი-ი ამ დროიდან იყო უფლებამოსილი, მიეღო დევნილთათვის განკუთვნილი კომპენსაცია. შესაბამისად, მოპასუხეს დაევალა მოსარჩელისათვის ყოველთვიური კომ-

პენსაციის სახით 45 ლარის ანაზღაურება 2017 წლის 3 სექტემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ დადგენილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 26 მარტის გადაწყვეტილება.

11. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლებიდან გამომდინარე, სადავო საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა 1993 წლამდე მოსარჩელის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადგენას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებზე, რომლებითაც გამგეობამ დაადასტურა მოსარჩელის ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრების ფაქტი. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ცნობით დაზუსტდა, რომ მოსარჩელე 1988 წლის ჩათვლით ცხოვრობდა ...ში, რასაც არც მოსარჩელე ხდიდა სადავოდ, მიუთითებდა რა, რომ ქორწინების პერიოდში მცირე ხნით ცხოვრობდა ...ში, თუმცა შემდეგ აფხაზეთში დაბრუნდა. სააპელაციო სასამართლომ დასახელებული მტკიცებულებები ურთიერთსაწინააღმდეგოდ არ განიხილა და დადასტურებულად მიიჩნია 1993 წლამდე მ. ი-ის აფხაზეთში მუდმივად ცხოვრების ფაქტი.

12. სააპელაციო პალატამ დამატებით მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 16 ივლისის №287 ბრძანებით დამტკიცებული „ნესის“ მე-2 მუხლის მე-14 პუნქტზე, რომლითაც გათვალისწინებულია დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლები. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო შემთხვევაში არ არსებობდა მითითებული ნორმით გათვალისწინებული, სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის რომელიმე საფუძველი. ამდენად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

14. კასატორი, საქმის გარემოებებზე მითითებით, მიიჩნევს, რომ მ. ი-ი 1987 წლიდან აღარ იყო დაკავშირებული სოფელ ...თან ყოველდღიური ყოფით, შრომითი საქმიანობით ან სხვაგვარი ურთიერთობით. ამასთან, გასაუბრებისას მ. ი-ი თავად მიუთითა 1987-1993 წლებში ...ში ცხოვრების ფაქტზე.

15. კასატორი დამატებით აღნიშნავს, რომ პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭებისა და ჩამორთმევის საკითხი სამინისტროს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებით ადმინისტრაციულ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა, კანონის ნორმის მიზნებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონმდებლობის მოთხოვნებით. განსახილველ შემთხვევაში, სამინისტრომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოიკვლია საქმის გარემოებები და გამოსცა კანონიერი აქტი, ვინაიდან მოსარჩელე არ აკმაყოფილებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, დევნილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილებელ წინაპირობებს. დევნილის სტატუსის არასწორად მინიჭებამ კი შეიძლება სახელმწიფოს ფინანსების არამიზნობრივი ხარჯვაც კი გამოიწვიოს, რაც, ასევე, უნდა იქნეს გათვალისწინებული დავის სწორად გადაწყვეტისთვის.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 6 ნოემბრის განჩინებით სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული. მხარეებს განემარტათ, რომ საკასაციო საჩივარი არსებითად გან-

ხილულ იქნებოდა მათი დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

17. საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

18. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს მ. ი-ისთვის, აფხაზეთში მისი მუდმივად ცხოვრების ფაქტის დაუდასტურებლობის საფუძვლით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება.

19. საკასაციო სასამართლო მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს და ადგენს პირისთვის დევნილის სტატუსის მინიჭების საფუძვლებსა და წესს. დასახელებული საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

20. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დევნილის სტატუსის მისანიჭებლად: 1. ზუსტად უნდა განისაზღვროს პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი; 2. შესწავლილ უნდა იქნეს პირის მიერ მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების მიზეზები. სტატუსის მინიჭების წინაპირობას მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლით დატოვება ქმნის. უფრო მეტიც, დევნილის სამართლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი სპეციალური კანონმდებლობა დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენას პირდაპირ და უშუალოდ უკავშირებს მისი დატოვების მიზეზებსა და იმავე მიზეზით უკან დაბრუნების შეუძლებლო-

ბას, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს დევნილის, მისი დევნილი მშობლის (მშობლების) ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც დევნილი, მისი ერთ-ერთი ან ორივე მშობელი ან პირდაპირი აღმავალი შტოს ბიოლოგიური ნათესავი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და სადაც მას არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მიზეზის გამო. ამასთან, საცხოვრებელი ადგილის ცნების განსაზღვრისას, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი. ამდენად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენა გულისხმობს არა კონკრეტულ ადგილზე პირის რეგისტრაციის ფაქტის შესწავლას, არამედ პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული, ფაქტობრივი ცხოვრების მისამართის დადგენას, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევისათვის პირის ნებას თან უნდა ახლდეს ცხოვრების ფაქტი („მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ დეფინიციასთან დაკავშირებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე №ბს-1896-1849(კ-10)). დამატებით, დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის საცხოვრებელი ადგილის მისამართის დადგენასთან ერთად, სტატუსის მისანიჭებლად, უნდა შეფასდეს პირის მიერ ამავე ადგილის დატოვების (სხვა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არჩევის) მიზეზები – პირს საცხოვრებელი ადგილი დატოვებული უნდა ჰქონდეს საკუთარი ნების გარეშე, იძულებით, ტერიტორიაზე მიმდინარე იმ მოვლენათა შედეგად, რომლებიც პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას საფრთხეს უქმნიდა. ამრიგად, ხსენებული წინაპირობების გამო ტერიტორიის იძულებით დატოვების საკითხის შესწავლისას, არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შედეგად პირის ძირითადი უფლებების დარღვევების პერიოდსა და განმცხადებლის მიერ ტერიტორიის დატოვების დროს და უნდა მოხდეს აღნიშნული პერიოდების ურთიერთშედარება.

21. სადავო შემთხვევაში დადგენილია, რომ ი. ი-მა 2017 წლის 3 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტე-

რიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლები-
სა და ლტოლვილთა სამინისტროს დევენილის სტატუსის მინიჭების
მოთხოვნით. იგი დევენილის სტატუსის მინიჭების საფუძვლად მიუ-
თითებდა 1993 წელს სოფელ ...ის იძულებით დატოვებაზე. საქარ-
თველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-
ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2017
წლის 24 ოქტომბრის №1927 ბრძანებით კი მოსარჩელეს უარი ეთ-
ქვა იძულებით გადაადგილებული პირის – დევენილის სტატუსის მი-
ნიჭებაზე, ვინაიდან მიჩნეულ იქნა, რომ სოფელი ...ი 1987 წლიდან
აღარ წარმოადგენდა მ. ი-ის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს.

22. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილია აჭარის (ზემო
აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს
№258 ცნობა, რომლის თანახმადაც, მ. ი-ი არის დევენილი ზემო აფ-
ხაზეთის სოფელ ...იდან. იგი მიეკუთვნება 2008 წლის საომარი მოქ-
მედებების შედეგად დაზარალებულთა კატეგორიას; იმავე გამგე-
ობის 2017 წლის 4 აგვისტოს №259 ცნობის მიხედვით კი, მ. ი-ი არის
დევენილი ზემო აფხაზეთიდან, 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრობ-
და ზემო აფხაზეთის სოფელ ...ში.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს მას-
ზედ, რომ როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებით, ისე თა-
ვად მოსარჩელის განმარტებებით, მ. ი-ი სოფელ ...ში ცხოვრობდა
1993 წლამდე, თუმცა ამავდროულად აჭარის (ზემო აფხაზეთის)
მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 3 აგვისტოს №258 ცნო-
ბაში მითითებულია მოსარჩელის 2008 წლის საომარი მოქმედებე-
ბის შედეგად დაზარალებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ
სააპელაციო პალატამ, მართალია, იხელმძღვანელა აჭარის (ზემო
აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის ცნობებით, მაგრამ არ
შეუფასებია ცნობაში 2008 წლის საომარ მოქმედებებზე მითითე-
ბის საკითხი. დასახელებული გარემოების გამოკვლევას კი არსე-
ბითი მნიშვნელობა ჰქონდა საკითხის მართებულად გადანყვევის-
თვის – დევენილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მისამართის
და მისი დატოვების მიზეზების სწორად განსაზღვრისთვის, კერ-
ძოდ, უნდა შეფასდეს სოფელ ...ში განვითარებული მოვლენები-
დან გამომდინარე, დევენილის სტატუსის მინიჭებისთვის აუცილე-
ბელი – მუდმივი საცხოვრებელი ადგილის საკუთარი ან ოჯახის წევ-
რის ჯანმრთელობის, სიცოცხლის, თავისუფლების დაცვის მიზნით
დატოვების წინაპირობები როდის წარმოიშვა და როდემდე გრძელ-
დებოდა. თუკი 2008 წლამდე სოფელი ...ი არ ექცეოდა ოკუპირე-
ბულ ტერიტორიაში, ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები კი მო-
სახლეობას უსაფრთხოდ ცხოვრებაში ხელს არ უშლიდა, მოსარჩე-
ლისთვის სტატუსის მინიჭებისთვის უნდა დადასტურდეს მისი სო-

ფელ ...ში არა 1993 წლამდე, არამედ 2008 წლამდე ცხოვრების ფაქტი. მხოლოდ დასახელებულ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევისა და სწორად დადგენის შემდეგ არის შესაძლებელი, შეფასდეს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – მოსარჩელისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერება.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დასახელებული საკითხი სააპელაციო პალატის მიერ გამოკვლეული არ არის, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სამართლოს გასაჩივრებული განჩინების, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გაუქმების საფუძველი და საქმე, იმავე კოდექსის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ხელახლა განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 იანვრის განჩინება და საქმე ხელახლა განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დევენილთა ბრძალვა დიანი საცხოვრებელი ფართით
უზრუნველყოფის კრიტერიუმით**

**ბანჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-985(კ-20)

24 ნოემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
გ. გოგიაშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა; ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. შ-ამ 13.03.2019წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 09.10.2018წ. №01-1237/ო ბრძანების ბათილად ცნობა და მ. შ-ას გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ მოპასუხისათვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალეზა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის აფხაზეთიდან დევნილი და 1998 წლიდან ცხოვრობს ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში (...ა) არსებულ 21 კვ.მ. ფართში, ხუთსულიან ოჯახთან ერთად. იგი საცხოვრებელი ფართის სიმცირის გამო, ბოლო პერიოდში, ხშირად რჩებოდა ნათესავთან. მოსარჩელემ 27.04.2016წ. №... განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს და მოითხოვა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 05.06.2018წ. გადანყვეტილებით (ოქმი №21) მოსარჩელის განცხადება არ დაკმაყოფილდა, უარი ეთქვა მიმდინარე ეტაპის ფარგლებში ბინით უზრუნველყოფაზე, ხოლო

ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში (...ა) ფაქტობრივად მცხოვრები მოსარჩელის შვილის – მ. შ-ას ოჯახი დაკმაყოფილდა სამოთახიანი ბინით. მ. შ-ა აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე 22.06.2018წ. №29119/01 განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 06.07.2018წ. №32 ოქმის შესაბამისად, ამავე კომისიის 05.06.2018წ. გადაწყვეტილება (ოქმი №21) უცვლელი დარჩა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 09.10.2018წ. №01-1237/ო ბრძანებით მოსარჩელის ოჯახს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ახლადაშენებულ კორპუსებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე დროებითი განსახლების მისამართზე (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე „...ა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამო.

მ. შ-ამ სასამართლოში აღძრა სარჩელი, რომელშიც აღნიშნა, რომ მას სხვა საცხოვრებელი არ გააჩნია და ის არ ფლობს საცხოვრებელი ფართის შესაძენად საჭირო სახსრებს. სასამართლოში მონმედ დასახლებული პირები ადასტურებენ მოსარჩელის ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში (...ა) მუდმივად ცხოვრების ფაქტს. მ. შ-ას მოსაზრებით, მოპასუხემ სრულყოფილად არ გამოიკვლია და არ შეაფასა საქმის გარემოებები. დაუშვებელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ (სზაკ-ის 53-ე მუხ.). კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესსა და უფლებას, ამასთანავე, მოპასუხის ქმედებამ გამოიწვია დევნილთა მიმართ არათანასწორი მიდგომა (სზაკ-ის მე-4 მუხ.), იდენტურ სამართლებრივ პირობებში მყოფი პირები აღმოჩნდნენ განსხვავებულ მდგომარეობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 02.05.2019წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაერთო გ. შ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2019წ. გადაწყვეტილებით მ. შ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 09.10.2018წ. №01-1237/ო ბრძანება,

მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა მ. შ-ასათვის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 09.08.2013წ. №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესი“ იმპერატიულად ადგენს კონკრეტული დევნილი ოჯახის საჭიროების პრიორიტეტულობის განსაზღვრის აუცილებლობას. სწორედ ამ მიზნით, წესი განსაზღვრავს როგორც კრიტერიუმებს, აგრეთვე, საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც შესაძლებელია კრიტერიუმებით შეფასების გარეშე მიენიჭოს კონკრეტულ დევნილ ოჯახს პრიორიტეტი, კერძოდ, წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასეთი გამონაკლისია განმცხადებელი ოჯახის ცხოვრება იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში), რომლებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია. სასამართლომ აღნიშნა, რომ დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის დევნილი ოჯახის განსახლების საჭიროების განსაზღვრის უფლებამოსილების მიუხედავად, აღნიშნული უნდა გამყარდეს სათანადო გარემოებებითა თუ მტკიცებულებებით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მ. შ-ას რეგისტრაციის ადგილას მუდმივად არცხოვრების შესახებ და აღნიშნა, რომ მართალია 22.02.2017წ. განხორციელებული მონიტორინგის დროს მოსარჩელე რეგისტრაციის ადგილას არ იმყოფებოდა და მისმა შვილმა მ. შ-ამ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებს მიუთითა მ. შ-ას სხვა მისამართზე ცხოვრების შესახებ, თუმცა აღნიშნული თავისთავად არ გულისხმობდა განსახლების დროს მ. შ-ას ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ყოფილი „...ის“ შენობაში არცხოვრებას და განსახლების საჭიროების არარსებობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამორიცხავს მოსარჩელის განსახლებას ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით მოცემულ ეტაპზე და არა სხვა რომელიმე ეტაპზე. ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ საკითხის განხილვის პერიოდში მ. შ-ას ოჯახს საკუთრებაში უძრავი ქონება არ ერიცხებოდა. სასამართლო დაეყრდნო სხდომაზე მოწმის სტატუსით გამოკითხული პირების გან-

მარტებებსაც. მათი განცხადებით, მ. შ-ას არასოდეს დაუტოვებია საცხოვრებელი, გარდა აუცილებელი საჭიროებისა, რაც გულისხმობდა საავადმყოფოში ან სხვა მისამართზე მეუღლის ავადმყოფობის გამო გარკვეული (მცირე) პერიოდით დარჩენას. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენისას სრულყოფილად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, მეტიც, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ მოსარჩელის საცხოვრებელი უზრუნველყოფის საკითხი განმეორებით შეინსწავლა იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომლითაც 05.06.2018წ. სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება (ოქმი №21), ყოველგვარი ახალი დოკუმენტაციისა ან/და შემონგების შედეგად მოძიებული ინფორმაციის გარეშე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 09.10.2018წ. №01-1237/ო ბრძანება ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ამასთან, უკანონოდ ზღუდავს მას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2019წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 07.11.2019წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.12.2019წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.06.2019წ. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასებები. პალატამ განმარტა, რომ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონა ნიშნავს შესაძლებლობას პირს ჰქონდეს ამ საცხოვრებელ ადგილებთან დაკავშირებული უფლებები და მოვალეობები. ამასთანავე, პირის საცხოვრებელი ადგილის დადგენა, სწორედ, მისი თავისუფალი ნების გამოვლენას, მის არჩევანსა და კონკრეტულ ადგილას ფაქტობრივად ყოფნას უკავშირდება. პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის ვითომდა

მეუღლის სახლში ცხოვრების ფაქტი არ შეიძლებოდა გამხდარიყო მისი განსახლების შესახებ დასკვნის გაკეთების ერთადერთი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.12.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ.

კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უკანონო და დაუსაბუთებელია, კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტომ გადაწყვეტილების მიღებისას დაიცვა კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოთხოვნა. სააგენტომ არ დააკმაყოფილა საცხოვრებლით პირი, რომელიც ცდილობდა სხვა, უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფ და უფრო მაღალქულიან ოჯახებთან შედარებით, ადრე მიეღო საცხოვრებელი. კასატორი აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ აქტი მომზადებული და გამოცემულია ნორმატიულად დადგენილი პროცედურების დაცვით, სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიცავს სადავო აქტის არამართლზომიერების დასაბუთებას. კასატორი მიუთითებს, რომ მ. შ-ა წლების განმავლობაში არ ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ ბინაში და კრიტიკრიუმების გარეშე ბინით უზრუნველყოფის შესახებ საგამონაკლისო წესი მას ვერ შეეხებოდა, იგი საცხოვრებელს შესაბამის ეტაპზე, მის მიერ დაგროვილი ქულების შესაბამისად მიიღებდა. კასატორის მითითებით, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, თუმცა არასწორად განმარტა იგი, რის შედეგადაც საქმეზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების გაცნობის, გასაჩივრებული განჩინებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და საქმე ხელახალი განხილვისთვის უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მ. შ-ა არის „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პირი – დევნილი. მასზე გაცემულია დევნილის მოწმობა (ამავე კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვ.პ.), რომლის თანახმად, დევნი-

ლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე არის აფხაზეთი, გაგრის მუნიციპალიტეტი, ...ა, ...ის ქ. №74, ხოლო რეგისტრაციის ადგილი (დროებითი საცხოვრებელი ადგილი) – ქ. თბილისი, ...ის ქ. №5, „...ა“.

დევნისის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით, სახელმწიფო ორგანოები, მუნიციპალიტეტები, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციები, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირები ახორციელებენ მათთვის საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემას ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფას („საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-4 მუხ. „ო“ ქვ.პ.). დევნილთა განსახლების ორგანიზება ხორციელდება „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ საფუძველზე. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 09.08.2013წ. №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ თანახმად, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელი ორგანოა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია (3.1 მუხ.). საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა (6.1 მუხ.). კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ (6.10 მუხ. „გ“ ქვ.პ.). ამავე წესის 6.11 მუხლის შესაბამისად, ობიექტში დევნილი ოჯახების ცხოვრების ფაქტი დგინდება სამინისტროს მიერ განხორციელებული აღწერის შედეგების საფუძველზე. აღწერა განხორციელდება დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს ან/და სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამშრომლების მიერ, „აღწერის ფორმის“ მიხედვით (ანალოგიურ დებულებებს შეიცავს ამჟამად მოქმედი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 08.04.2021წ. №01-30/6 ბრძანებით დამტკიცებული „დევილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ 3.1 მუხ., 6.1 მუხ., 6.10 მუხ. „გ“ ქვეპ., 6.11 მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე ...ი, – „...ა“ გახდა გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტი. დადგენილია აგრეთვე, რომ მ. შ-ამ 27.04.2016წ. №... განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და შეავსო საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე კითხვარი. განმცხადებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ის ფაქტობრივად ცხოვრობდა ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე „...ში“, მე-4 სართულზე, გ. შ-ასთან (მეუღლე) და გ. შ-ასთან (შვილი) ერთად. დევილის რეგისტრაციის ნომერია – №... .

მინისტრის 09.08.2013წ. №320 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ 6.10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებისას კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და დადგენილი კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში) მაცხოვრებელი დევილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომელი შენობებიც გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტებია, რაც ერთმნიშვნელოვნად და საჯაროდ უნდა იყოს გამოხატული წერილობით შესაბამისი სახელმწიფო უწყების მიერ. საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება დაეხურა ...ის ქ. №5-ში მდებარე ...ი და შენობაში ფაქტიურად მცხოვრები ოჯახები, კრიტერიუმების გარეშე, ოჯახის სულადობის გათვალისწინებით, უზრუნველყო გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით. მითითებული ნორმის საფუძველზე პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული და კრიტერიუმების გარეშე განხორციელდა შენობაში ფაქტიურად მცხოვრებ დევილთა ოჯახთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ოჯახების წევრთა რაოდენობის დასადგენად ჩატარდა მონიტორინგი. ქ. თბილისში. ...ის ქ. №5-ში 22.02.2017წ. ჩატარებული დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევილთა აღწერის მასალების ოქმის, ოქმში აღწერილი მოსარჩელის შვილის განმარტების თანახმად, დადასტურდა, რომ მოსარჩელე მ. შ-ა არ იყო შენობის ფაქტიური მაცხოვრებელი. საქმის მასალების თანახმად, დევილთა აღწერის მიზნით, სამინისტ-

ტროს წარმომადგენელთა მიერ 22.02.2017წ. განხორციელდა მონიტორინგი, ადგილზე იმყოფებოდა ოჯახი შემდეგი შემადგენლობით: მ. შ-ა (მოსარჩელის შვილი), შვილის მეუღლე თ. ძ-ე და მათი შვილები – ა. შ-ა, ს. შ-ა და ა. შ-ა. ოჯახის განცხადებით, ამავე მისამართზე რეგისტრირებული იყვნენ მოსარჩელე მ. შ-ა, მისი მეუღლე გ. შ-ა და შვილი გ. შ-ა, თუმცა მონიტორინგის ჩატარების პერიოდში ისინი ცხოვრობდნენ ქ. თბილისში, ...ი, მე-2 კვ., მე-16 კორპ., ბინა №2-ში (20კვ.მ.). საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების შემსწავლელი კომისიის 05.06.2018წ. გადაწყვეტილებით (ოქმი №21) მოსარჩელის 27.04.2016წ. №... განცხადება არ დაკმაყოფილდა, მ. შ-ას ოჯახს უარი ეთქვა მიმდინარე ეტაპის ფარგლებში ბინით უზრუნველყოფაზე, ხოლო ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში (...ა) ფაქტობრივად მცხოვრები მოსარჩელის შვილის – მ. შ-ას ოჯახი დაკმაყოფილდა სამოთახიანი ბინით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ 22.06.2018წ. №29119/01 განცხადებით განმეორებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და მოითხოვა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა იმ საფუძვლით, რომ არის აფხაზეთიდან დევნილი და 1999 წლიდან ცხოვრობს ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში, მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ამავე განცხადებაში მ. შ-ამ აღნიშნა, რომ უფროსი შვილის და ოჯახების შემდეგ, საცხოვრებელი ფართის სიმცირის გამო (ერთი ოთახი), მოსარჩელე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მეუღლესთან (გ. შ-ა) და შვილთან (გ. შ-ა) ერთად საცხოვრებლად გადავიდა სიძის ბინაში. დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 06.07.2018წ. №32 ოქმის საფუძველზე, ამავე კომისიის 05.06.2018წ. გადაწყვეტილება (ოქმი №21) უცვლელი დარჩა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 09.10.2018წ. №01-1237/ო ბრძანებით მოსარჩელის ოჯახს უარი ეთქვა ქ. თბილისში, ახლადამენებულ კორპუსებში, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე დროებითი განსახლების მისამართზე (ქ. თბილისში, ...ის ქ. №5-ში მდებარე „...ა“) ფაქტობრივად არცხოვრების გამო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა ემსახურება დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას. „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის 13.2 მუხლის თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლკაროდ დარჩენილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწი-

ფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებ-ლით. ხსენებული კანონის საფუძველზე სადავო აქტების გამოცე-მის დროს მოქმედებდა მინისტრის 09.08.2013წ. №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წე-სი“, საქართველოს მთავრობის 02.02.2007წ. №047 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია“, საქართველოს მთავრობის 13.02.2017წ. №240 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გა-დაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სა-ხელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა“, დევ-ნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორ-მატიული აქტები აგებულია დევნილთა საჭიროებაზე, პრიორიტე-ტულად მიჩნეულია ისეთი ოჯახები, რომლებიც განსაკუთრებუ-ლად შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და არ გააჩნიათ არანაირი საცხოვრებელი. სადავო პერიოდში მოქმედი „წესის“ 6.3 მუხლის შესაბამისად, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზ-რუნველყოფის მიზნით, საცხოვრებელი ფართის შეთავაზების რი-გითობა განისაზღვრება დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტუ-ლობის გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხი უნდა დადგინდეს დევნილი ოჯახების საჭიროებების შეფასების საფუძველზე და უფ-რო მეტად გაჭირვებული ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყო-ფის შემდეგ დაკმაყოფილდეს საცხოვრებლით შედარებით ნაკლე-ბად გაჭირვებული ოჯახი. სადავო პერიოდში მოქმედი „წესის“ 1.3 მუხლის თანახმად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებ-ლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას, მათ შორის იმ დევნილი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)მა საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი (ანალოგი-ურ დებულებას შეიცავს ამჟამად მოქმედი, საქართველოს ოკუპი-რებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 08.04.2021წ. №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნ-ველყოფის წესის“ 1.3 მუხ.; საქართველოს მთავრობის 13.02.2017წ. №240 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილე-ბულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ 2.1.11 მუხ.). ამ-დენად, ის გარემოება, რომ საცხოვრებლით უზრუნველყოფის შე-სახებ საკითხის განხილვის პერიოდში მ. შ-ას ოჯახის საკუთრება-ში უძრავი ქონება არ ირიცხებოდა, იმთავითვე არ ქმნის მათი რიგ-გარეშე განსახლების პირობას. საცხოვრებელი ფართის თაობაზე განაცხადის შეფასების ელექტრონული ფორმის მიხედვით მ. შ-ას

განაცხადი გაკეთებული აქვს შვილთან გ. შ-ასთან ერთად (თავდაპირველ განაცხადში მითითებული მეუღლე – გ. შ-ა გარდაიცვალა). განაცხადის შეფასების ელექტრონულ ფორმაში ყურადღება გამახვილებულია მ. და გ. შ-ების მიერ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გასხვისებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში დაცულ სისპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერებზე, რომლებითაც ირკვევა, რომ 11.06.2009წ. სანოტარო წესით დამონმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ქ. თბილისში, ...ი, მე-2 კვ., მე-16 კორპ., ბინა №1-ზე 15.06.2009წ. საკუთრების უფლება დარეგისტრირდა მ. შ-ას სახელზე. 03.09.2007წ. სანოტარო წესით დამონმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 11.03.2011წ. ქ. ზუგდიდში, ...ის ქ. №15-ში საკუთრების უფლება დარეგისტრირდა მოსარჩელის შვილის (ოჯახის წევრის) გ. შ-ას სახელზე. გ. და მ. შ-ებმა ზემოაღნიშნული საცხოვრებელი ფართები გაასხვისეს მოსარჩელის შვილზე ქ. შ-აზე, რომლის საკუთრებაშია ორი ბინა ქ. თბილისში. მ. შ-ას დას – ლ. გ-ას მიღებული აქვს ფულადი კომპენსაცია. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე, რომ ...ის ქ. №5-ში მდებარე, ყოფილი „...ის“ შენობაში ფაქტობრივად მცხოვრები მოსარჩელის შვილის ხუთსულიანი ოჯახი დაკმაყოფილდა სამოთხიანი ბინით. ხსენებული ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელის ოჯახს არ აქვს გადაუდებელი საჭიროება განსახლებისთვის. „ნესის“ 6.3 მუხლი განსაზღვრავს დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის დევნილთა საჭიროებებზე მორგებულ ხასიათს და გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის რიგითობის შეფასებისას ადგენს დევნილთა საჭიროებების პრიორიტეტულობის გათვალისწინების აუცილებლობას. სწორედ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნებიდან გამომდინარე, ოჯახის პრიორიტეტულად განსახლების კანონისმიერი საფუძვლის არსებობისას, კომისია უფლებამოსილია შეაფასოს დევნილი ოჯახის საჭიროებები და უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახის საცხოვრებლით პრიორიტეტულად უზრუნველყოფის შემდეგ დააკმაყოფილოს საცხოვრებლით შედარებით ნაკლებად გაჭირვებული ოჯახი. ის გარემოება, რომ მ. შ-ას დროებითი განსახლების შენობა (...ა) გადაუდებელი სახელმწიფო ინტერესის შემცველი ობიექტია, იმთავითვე არ ქმნის მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით პრიორიტეტულად, კრიტერიუმების გარეშე დაკმაყოფილების საფუძველს იმ პირობებში, როდესაც ხსენებული წესის 6.10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის უფლება და არა ვალდებულება, ამასთანავე, სახეზეა სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე დევნილი ოჯახების

განსახლების ნორმატიულად განსაზღვრული კონკრეტული პირობა. ამდენად, საქმის მასალებით დგინდება მოსარჩელის ოჯახის მიერ, დევნილის სტატუსით სარგებლობის პერიოდში, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონების შეძენისა და გასხვისების ფაქტი, აღნიშნულს გასაჩივრებული განჩინებით არ მიეცა შეფასება. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მხედველობის მიღმა დარჩა ის გარემოებაც, რომ დევნილი ოჯახის მიერ საკუთარი სახსრებით უძრავი ქონების შეძენა ინვესს ამ ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფას სამოქმედო გეგმის ბოლო ეტაპზე, უფრო მეტად გაჭირვებული ოჯახების საცხოვრებლით დაკმაყოფილების შემდეგ და არა პრიორიტეტულად, რიგგარეშე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კრიტერიუმის გარეშე განსახლება არის საგამონაკლისო წესი, საქმეზე არ არის დასაბუთებული მოსარჩელის მიმართ საგამონაკლისო წესის გამოყენების მართებულობა. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ საქმეში არ მოიპოვება მოსარჩელის ოჯახის მიერ უძრავი ქონების საკუთარი სახსრებით შეძენის გამომრიცხავი დოკუმენტაცია. ამდენად, ის გარემოება, რომ სადავო აქტის გამოცემის დროისთვის მოსარჩელის სახელზე არ იყო აღრიცხული უძრავი ქონება, არ ადასტურებს სადავო აქტის ემართლობას. საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელის ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის აუცილებლობას არ უარყოფს კასატორიც, თუმცა სააგენტო ამასთანავე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს, უფრო გაჭირვებულ ოჯახებთან მიმართებით, თმენის ვალდებულება აქვს, სამინისტროს 10.07.2018წ. №01-02/08/15667 წერილის თანახმად, მ. შ-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი განხილული იქნება საერთო წესის შესაბამისად, კრიტერიუმების საფუძველზე. „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ დევნილთა საჭიროებებზე მორგებული ხასიათი განაპირობებს განსაკუთრებულად შეჭირვებული, საცხოვრებლის არმქონე დევნილი ოჯახების პრიორიტეტულად მიჩნევის აუცილებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების არსი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი ასპექტების შემოწმებაში მდგომარეობს. სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, ამოწმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევასთან მიმართებით დარღვევების არსებობას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების შესახებ მსჯელობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად იკვლევს და აფასებს მტკიცებულებებს, რომელიც აუცილებელია საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევისთვის. სააპელაციო სასა-

მართლოსაგან განსხვავებით, საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავშირებული პროცესუალური საქმიანობა გამოიხატება არა ფაქტების დადგენაში, არამედ დასადგენ ფაქტებზე მითითებაში. პროცესუალური დანაწესებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აფასებს არა მტკიცებულებებს, არამედ ამ მტკიცებულებათა სააპელაციო სასამართლოს მიერ შეფასების მართებულობას. მოცემულ შემთხვევაში, მ. შ-ას ოჯახის მიერ უძრავი ქონების შეძენასა და გასხვისებაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნების არარსებობის გამო, საკასაციო პალატა მათზე არსებით მსჯელობას ვერ იქონიებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისთვის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

დასაბუთება:

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 19.12.2019წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მოსარჩელს დევნილი ოჯახისთვის გრძელვადიანი
საცხოვრებელი უზრუნველყოფა უარის თქმის
კანონიერება**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-292(კ-21)

29 დეკემბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: გ. გოგიაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. კ-ამ, ა. კ-ამ, ს. ც-ამ, კ. კ-ამ, ა. ა-მა 2018 წლის 16 ოქტომბერს
სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინის-
ტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპი-
რებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ და ამავე სამინის-
ტროს 2018 წლის 19 სექტემბრის №01-488/ო ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ასევე, მოსარჩელების
საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის შესახებ მოპასუხის-
თვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი
აქტის გამოცემის დავალება მოითხოვეს.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელები აფხაზეთიდან იძულებით
გადაადგილებული პირები – დევნილები არიან, რომლებიც 1993
წლიდან განსახლდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №...-ში (დევნილთა
კომპაქტურად განსახლების ობიექტი). 2012 წელს დევნილთა
გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონის-
ძიების განხორციელების ფარგლებში სამინისტრომ მიიღო გადან-
ყვეტილება იმავე ფართში მცხოვრები დევნილების განსახლებისა
და ალტერნატიული საცხოვრებელი დაკმაყოფილების თაობაზე,
რადგან აღნიშნული ობიექტი წარმოადგენდა სიცოცხლისთვის ან
ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად
ან/და საცხოვრებლად უვარგის შენობას. იმ ეტაპზე ვერ მოხერ-
ხდა მოსარჩელეთა საცხოვრებელი უზრუნველყოფა, თუმცა გაი-

ცა ადმინისტრაციული დაპირება, რომლის მიხედვით, მათი ოჯახის გრძელვადიანი განსახლების საკითხი განიხილებოდა 1 წლის განმავლობაში. დაპირება შესრულდა მხოლოდ 2018 წელს, ხოლო მანამდე დევნილები ცხოვრობდნენ ქირით, ბოლო 2 წლის განმავლობაში კი ქალაქ თბილისში, ...ის ქ. №54-ში მდებარე ნათესავის სახლში. მოსარჩელემ აგრეთვე მიუთითა, რომ აღნიშნული სახლი აშენდა 2015 წლამდე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიჰყავდა ს. ც-ას.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი ეთქვათ ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე ოჯახის ფაქტობრივი საცხოვრებლის არსებობის საფუძველით, რაც ადმინისტრაციული დაპირების პირობებში, არასწორია. ამდენად, მოსარჩელებმა სადავო აქტის ბათილად ცნობა და გრძელვადიანი საცხოვრებლით დაკმაყოფილების შესახებ მოპასუხისთვის ახალი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 14 ნოემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ას, ა. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მოსარჩელები არიან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები – დევნილები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის 7 მარტის №05/02-12/3942 ნერილით მოსარჩელებს ეცნობათ, რომ 2012 წლის 29 თებერვალს, ქალაქ თბილისში, ...ის გამზირის №...-ში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად, მათი ოჯახის მიერ დაკავებული ფართი გახდა საცხოვრებლად გამოუსადეგარი. მათი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება კი განიხილებოდა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე 1 (ერთი) წლის ვადაში. ამასთან, აღნიშნული

პერიოდის განმავლობაში, მათი ოჯახის დროებით საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ყოველთვიურად უზრუნველყოფდა 170 ლარის გადახდას.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54-ში მდებარე 150 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, 2017 წლის 19 აპრილის მდგომარეობით, საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ს. ც-ას სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია ნასყიდობის ხელშეკრულება.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 5 ივნისის №21 სხდომის ოქმის თანახმად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, განხილულ იქნა საკითხი ქალაქ თბილისში, (...ის ქ. №...) სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი ობიექტებიდან დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ. ა. კ-ა, რ. კ-ა, ს. ც-ა, კ. კ-ა და ა. ა-ი (არადევნილი) დაკმაყოფილდნენ სამოთახიანი ბინით.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №22-ში (მე-5 სართული, ბლოკი A, ბინა №55) მდებარე 72,55 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, 2018 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე. მოსარჩევეებმა აღნიშნული ფართის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს, რის შემდეგაც იგი გადაეცათ საცხოვრებლად.

ასევე, დადგენილია, რომ 2018 წლის 14 სექტემბერს, სამინისტროს თანამშრომლები დამატებითი მოკვლევის მიზნით გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №5-ში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ რ. კ-ას ოჯახი აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლში ცხოვრობს დაახლოებით 3 წელზე მეტია. რ. კ-ამ სახლი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 11 აპრილს გაასხვი-სა ს. ც-ას ძმაზე – ს. ც-აზე, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობს ...ას ქუჩა №8ა-ში, ხოლო აღნიშნულ სახლში ცხოვრებას განაგრძობს კ-ების ოჯახი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის №01-488/ო ბრძანებით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, უარი ეთქვა რ. კ-ას ოჯახს, ალტერნატიული საცხოვრებლის გამო. ამასთან, მათ დაევალათ დაუყოვნებლივ გამოეთავისუფლებინათ სამინისტროს მი-

ერ გადმოცემული საცხოვრებელი ფართი.

2018 წლის 19 სექტემბერს, სამინისტროს თანამშრომლები დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №22-ში, კორპუსი 21, ბლოკი A, სართული 5, ბინა №55-ში, საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლებისა და ჩაბარების მიზნით. რ. კ-ასთან შეთანხმებით დალუქულ იქნა საცხოვრებელი ფართი, ასევე გადაღებულ იქნა ფოტოები.

2018 წლის 12 ოქტომბრის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით დასტურდება, რომ რ. კ-ა, ს. ც-ა, ა. კ-ა, ა. ა-ი და კ. კ-ა რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში მისამართით: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ...ის ქუჩა №54/1. სარეგისტრაციო ქულა – 1000 (ქულის მინიჭების თარიღია 2017 წლის 29 ოქტომბერი).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით (სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი რედაქცია) დამტკიცებულ დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესით დადგენილ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის კრიტერიუმებზე. კერძოდ, მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით. ამასთან, ამავე წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ ამ წესის შესაბამისად არ განიხილება იმ დევნილი ოჯახების განაცხადები, რომლებსაც, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, ერთხელ უკვე აქვთ მიღებული საცხოვრებელი ფართი ან/და ერთჯერადი ფულადი დახმარება გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში. სამოქმედო გეგმით გათ-

ვალისწინებულ ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას, მათ შორის იმ დევნილი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)მა საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქმის მასალებით დასტურდებოდა მოსარჩელეთა ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაში საცხოვრებელი სახლის არსებობა, მდებარე ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54. მოსარჩელეთა ოჯახი ბოლო სამი წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობდა მითითებულ მისამართზე. აღნიშნული გარემოება დასტურდებოდა, როგორც მონიტორინგის სამმართველოს მიერ შედგენილი ოქმით, ასევე ამონაწერით სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომლის თანახმადაც, რ. კ-ა, ს. ც-ა, ა. კ-ა, ა. ა-ი და კ. კ-ა რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში მითითებულ მისამართზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე მოსარჩელებს უარი ეთქვათ საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების შესახებ მოთხოვნაზე, პრიორიტეტი მიენიჭათ იმ დევნილ ოჯახებს, რომლებიც ფაქტობრივად ცხოვრობდნენ მათი რეგისტრაციის ადგილზე და სხვა თავშესაფარი არ გააჩნდათ.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის წინაპირობები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება მოსარჩელებმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ას, ა. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი „რ. კ-ას ოჯახის

გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის №01-488/ო ბრძანება და მოპასუხეს – სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამონაცვლე) „მოსარჩელები გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე“ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაევალა.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არ დაეთანხმა მათ სამართლებრივ შეფასებას და მიუთითა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ წესზე“, რომლის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრძელვადიანი საცხოვრებელ ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ამ წესის მე-3-მე-5 მუხლებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას, კრიტერიუმების საფუძველზე, განისაზღვრება დევნილი ოჯახების საჭიროებების პრიორიტეტულობა. კრიტერიუმების გათვალისწინების პროცესის გამარტივების მიზნით, თითოეული კრიტერიუმი ტოლია გარკვეული რაოდენობის ქულისა, რომლებიც დევნილი ოჯახის საჭიროების შეფასებისას დაჯამდება. ქულები მითითებულია კრიტერიუმების პრიორიტეტულობის საჩვენებლად. დევნილი ოჯახს, რომელიც მეტ ქულას დააგროვებს, ენიჭება პრიორიტეტი. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ამ წესის მე-3-მე-6 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და ამ მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს: იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უვარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სააგენტოს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

ამრიგად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდებოდა სიცოც-

ხლისთვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი ობიექტიდან მოსარჩელეთა განსახლება, რის გამოც რ. კ-ას დევნილი ოჯახი 2018 წელს დაკმაყოფილდა სამოთახიანი ბინით, მანამდე კი, თითქმის 3 წლის განმავლობაში დევნილები ცხოვრობდნენ გასხვისებულ სახლში, პალატამ მიიჩნია, რომ დროებით, აუცილებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სხვის საკუთრებაში არსებული ფართით სარგებლობის შესაძლებლობა არ გამორიცხავდა მოსარჩელეთა უფლებას, როგორც დევნილი ოჯახი განსახლებული ყოფილიყო ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესით.

პალატამ ყურადღება გაამახვილა, ასევე, იმ გარემოებაზე, რომ 2012 წელს სამინისტროს გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა ...-ში მცხოვრები დევნილების გამოსახლება მოხდა იმ მიზეზით, რომ დაკავებული ფართი გახდა საცხოვრებლად გამოუსადეგარი. ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის 7 მარტის №05/02-12/3942 წერილით ა. კ-ას, რ. კ-ას და ს. ც-ას ეცნობათ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებული „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ შესაბამისად, მათი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება განიხილება ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე 1 (ერთი) წლის ვადაში. ამდენად, გაიცა ადმინისტრაციული დაპირება, რომლის მიხედვით, მოსარჩელების გრძელვადიანი განსახლება განიხილებოდა 1 წლის განმავლობაში, თუმცა ადმინისტრაციულმა ორგანომ აღნიშნული დაპირება დადგენილ ვადაში არ შეასრულა და მოსარჩელების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო მხოლოდ 2018 წელს, რომელიც თავადვე სცნო ბათილად. პალატამ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე მხარის მიერ ვერ იქნა დადასტურებული, რომ 2012 წლის 7 მარტის №05/02-12/3942 დაპირების გაცემისას ადგილი ჰქონდა დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედებას ან სხვა რაიმე გარემოებას, რომელიც მხარის კანონიერ ნდობას გამორიცხავდა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით კი, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ად-

მინისტრაციული ორგანოსთვის ახალი აქტის გამოცემის დავალების სამართლებრივი საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

საკასაციო საჩივრის თანახმად, დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №21) რ. კ-ას დევნილი ოჯახი 2012 წელს გაცემული ადმინისტრაციული დაპირების საფუძველზე, სულადობის გათვალისწინებით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, დაკმაყოფილდა სამოთახიანი ბინით ქალაქ თბილისში, ახლადაშენებულ კორპუსში (...ის ქ. №22, კორპუსი №21, ბინა №55). კომისიის 2018 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი №36), ახალი გარემოების საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდა ამავე კომისიის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება რ. კ-ას ოჯახის ნაწილში.

კასატორის მითითებით, მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსარჩელის ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაში იყო ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი. რ. კ-ამ აღნიშნული ბინა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა 2005 წელს და საჯარო რეესტრში თავის სახელზე აღრიცხა 2010 წლის 14 მაისს, ხოლო 2017 წლის 19 აპრილს გააფორმა მეუღლის ძმის – ს. ც-ას სახელზე. კომისიის თანამშრომლების ადგილზე გამოცხადებისას ს. ც-ამ დაადასტურა, რომ აღნიშნულ ბინაში ბოლო 3 წელია უწყვეტად ცხოვრობს. დასახელებული გარემოებები მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ რ. კ-ას ოჯახი ფაქტობრივად არ სარგებლობდა მისთვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული საცხოვრებელი ფართით. შესაბამისად, მოსარჩელეთა მფლობელობასა და სარგებლობაში ალტერნატიული საცხოვრებლის არსებობა ქმნიდა საკმარის საფუძველს იმის დასადგენად, რომ მოსარჩელის ოჯახი გადაუდებელ განსახლებას არ საჭიროებდა. ამრიგად, მათ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე მართებულად ეთქვათ უარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 16 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2021 წლის 9 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად, მიიჩნევს, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ასა და ა. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1. მოსარჩელეთა ოჯახი წარმოადგენს დევნილ ოჯახს (ა. ა-ი არის ოჯახის არადევნილი წევრი), რომელთაც მინიჭებული აქვთ დევნილის სტატუსი.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2012 წლის 7 მარტის №05/02-12/3942 წერილით მოსარჩელებს ეცნობათ, რომ 2012 წლის 29 თებერვალს, ქალაქ თბილისში, ...ის გამზირის №...-ში მდებარე დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტის ჩამონგრევის შედეგად, მათი ოჯახის მიერ დაკავებული ფართი გახდა საცხოვრებლად გამოუსადეგარი. მათი ოჯახის გრძელვადიანი განსახლება კი განიხილებოდა ვაკე-საბურთალოს ტერიტორიაზე 1 (ერთი) წლის ვადაში. ამასთან, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მათი ოჯახის დროებით საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ყოველთვიურად უზრუნველყოფდა 170 ლარის გადახდას.

3. დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 5 ივნისის №21 სხდომის ოქმის თანახმად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, განხილულ იქნა საკითხი ქალაქ თბილისში, (...ის ქ. №...) სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი ობიექტებიდან დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის შესახებ. ა. კ-ა, რ. კ-ა, ს. ც-ა, კ. კ-ა და ა. ა-ი (არადევნილი) დაკმაყოფილდნენ სამოთახიანი ბი-

ნით.

4. საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №22-ში (მე-5 სართული, ბლოკი A, ბინა №55) მდებარე 72,55 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, 2018 წლის 8 ივნისის მდგომარეობით, საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია სახელმწიფოს სახელზე. მოსარჩილებმა აღნიშნული ფართის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს, რის შემდეგაც იგი გადაეცათ საცხოვრებლად.

5. დადგენილია, რომ 2018 წლის 14 სექტემბერს, სამინისტროს თანამშრომლები დამატებითი მოკვლევის მიზნით გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №5-ში. გასაუბრებისას გაირკვა, რომ ოჯახი აღნიშნულ მისამართზე მდებარე სახლში ცხოვრობს დაახლოებით 3 წელზე მეტია. რ. კ-ამ სახლი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 11 აპრილს გაასხვისა ს. ც-ას ძმაზე – ს. ც-აზე, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობს ...ას ქუჩა №8ა-ში.

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის №01-488/ო ბრძანებით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე, უარი ეთქვა რ. კ-ას ოჯახს, ალტერნატიული საცხოვრებლის ქონის გამო. ამასთან, მათ დაევალათ დაუყოვნებლივ გამოეთავისუფლებინათ სამინისტროს მიერ გადაცემული საცხოვრებელი ფართი.

7. 2018 წლის 19 სექტემბერს, სამინისტროს თანამშრომლები დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის 2018 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №22-ში, კორპუსი 21, ბლოკი A, სართული 5, ბინა №55-ში, საცხოვრებელი ფართის გამოთავისუფლებისა და ჩაბარების მიზნით. რ. კ-ასთან შეთანხმებით დალუქულ იქნა საცხოვრებელი ფართი, ასევე გადაღებულ იქნა ფოტოები.

8. 2018 წლის 12 ოქტომბრის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერით დასტურდება, რომ რ. კ-ა, ს. ც-ა, ა. კ-ა, ა. ა-ი და კ. კ-ა რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მისამართით: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ...ის ქუჩა №54/1. სარეიტინგო ქულა – 1000 (ქულის მინიჭების თარიღია 2017 წლის 29 ოქტომბერი).

9. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ რ. კ-ამ 2005 წელს შეიძინა და 2010 წელს საჯარო რეესტრში აღიკვა ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54-ში მდებარე 150 კვ.მ. საცხოვრებელი ფართი, ხოლო 2017 წლის 19 აპრილს გაასხვისა ცოლის ძმის – ს. ც-ას სახელზე. უფლების დამადასტურებელი დოკუმენტია ნასყიდობის

ხელშეკრულება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მთავარ სადავო საკითხს წარმოადგენს რ. კ-ას დევნილი ოჯახისთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე უარის თქმის კანონიერება, ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის არსებობის საფუძველით.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე (სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია), რომლის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა არის დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილი ოჯახის განსახლების მიზნით მისთვის სახელმწიფო ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საერთაშორისო, დონორი ან ადგილობრივი ორგანიზაციების, ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საცხოვრებელი ფართობის საკუთრებაში გადაცემა ან სანაცვლოდ მისი სათანადო ფულადი ან სხვა სახის დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო იმავე კანონის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, იძულებითი გადაადგილებისას უსახლკაროდ დარჩენილ დევნილს სამინისტრო სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად უზრუნველყოფს სათანადო საცხოვრებელით. ამასთან, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფა ხდება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისის სახით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული „დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის წესის“ მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია პრიორიტეტი მიანიჭოს და კრიტერიუმების გარეშე განახორციელოს იმ დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ ნგრევად და/ან საცხოვრებლად უფარგის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ საცხოვრებელ ფართობში (ყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტში). ამგვარი ობიექტების მდგომარეობა უნდა დასტურდებოდეს სამინისტროს ან კონკრეტული კომპაქტურად განსახლების ობიექტში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების დაკვეთით მომზადებული შესაბამისი საექსპერტო დასკვნით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ დევნილთა საცხოვრებელი უზრუნველყოფის რიგითობის განსაზღვრისთვის, მა-

თი განცხადების დაკმაყოფილებისთვის პირები უნდა აკმაყოფილებდნენ ნორმატიულად განსაზღვრულ წინაპირობებს. ამასთან, დასახელებული „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ბოლო ეტაპზე განიხილება იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებენ გრძელვადიან განსახლებას. ამრიგად, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად უპირატესობა მიენიჭება დევნილთა იმ ოჯახებს, რომელთაც ალტერნატიული ფართი არ გააჩნიათ.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ნორმათა ანალიზის შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფოს მიერ, წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. გამონაკლისია ნგრევად ობიექტში ცხოვრება, რაც შესაბამისი საექსპერტო დასკვნით უნდა დასტურდებოდეს. თუმცა აღნიშნული გამონაკლისიც ექვემდებარება რიგითობის დაცვას, თუ სიცოცხლისთვის საშიშ ობიექტში მცხოვრებ დევნილებს გააჩნიათ ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებათ დევნილებს, რომლებსაც ასეთი საცხოვრებელი არ აქვთ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ უგულებელყო საქმეზე დადგენილი გარემოებები, წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და მოსარჩელეთა ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54-ში მდებარე სახლში ცხოვრების ფაქტს.

განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნის შესაბამისად, კომისიის მიერ განხილულ იქნა საკითხი ქალაქ თბილისში, ...ის ...-ში სიცოცხლისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნგრევადი ობიექტებიდან დევნილ ოჯახთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის შესახებ. კომისიის 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებით (ოქმი №21) რ. კ-ას 5-სულიანი დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა სამოთახიანი ბინით ახლადაშენებულ კორპუსებში, მდებარე: ქალაქ თბილისში, ...ის რაიონი, ...ის ქუჩა №22, კორპუსი №21, ბლოკი A, მე-5 სართული, ბინა №55. აღნიშნულთან დაკავშირებით გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი.

ასევე, დადგენილია, რომ 2018 წლის 14 სექტემბერს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, სამინისტროს თანამშრომლები გამოცხადდნენ ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №5-ში, რ. კ-ას მიერ

გასხვისებულ საკუთრებაში. მათ ადგილზე დახვდათ რ. კ-ას მეუღლე – ს. ც-ა და შვილიშვილი – კ. კ-ა. ს. ც-ასთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ოჯახი გასხვისებულ სახლში ცხოვრობს დაახლოებით 3 წელზე მეტია და მისი განმარტებით, როდის აშენდა სახლი მას არ ახსოვს. გაირკვა, რომ რ. კ-ამ სახლი ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2017 წლის 11 აპრილს გაასხვისა ს. ც-ას ძმაზე – ს. ც-აზე, რომელიც ოჯახთან ერთად ცხოვრობს ...ას ქუჩა №8ა-ში.

განმეორებითი მონიტორინგისა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, დევნილთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ იმსჯელა 2018 წლის 5 ივნისის (ოქმი №21) გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დაადგინა, რომ რ. კ-ა 2017 წლამდე ფლობდა საცხოვრებელ ფართს (სამსართულიანი კერძო სახლი) ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54-ში, რომელიც 2017 წელს ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა ცოლის ძმაზე – ს. ც-აზე. შესაბამისად, დასახელებული ახალი გარემოებების გათვალისწინებით, კომისიამ ბათილად ცნო 2018 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილება (ოქმი №21) რ. კ-ას ოჯახის საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და განმცხადებელს განუმარტა, რომ სადავო აქტით უარი ეთქვა ქალაქ თბილისში, ახლადაშენებულ კორპუსში გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე ალტერნატიული საცხოვრებელი სახლის არსებობის საფუძველით. ამდენად, არ დადასტურდა რ. კ-ას დევნილი ოჯახის გადაუდებელი განსახლების აუცილებლობა. ამიტომ, სამინისტროს მიერ რ. კ-ასთან მიმართებაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კომისია უფლებამოსილი იყო ეხელმძღვანელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 9 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-5 პუნქტში მოცემული კრიტერიუმების შეფასების გარეშე გადაეწყვიტა მითითებულ ობიექტში მცხოვრები ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის საკითხი, იმ შემთხვევაში, თუ სათანადო გამოკვლევის შედეგად დადასტურდებოდა, რომ ოჯახი მითითებულ მისამართზე ფაქტობრივად ცხოვრობდა. ასევე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბოლო ეტაპზე განიხილებოდა იმ დევნილი ოჯახების დახმარების შესაძლებლობები, რომლებიც არ საჭიროებდნენ გრძელვადიან განსახლებას, მათ შორის იმ დევნილი ოჯახების, რომელთა ოჯახის წევრ(ებ)მა

საკუთარი სახსრებით შეიძინეს საცხოვრებელი ფართი. ამდენად, ვინაიდან საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეთა ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაშია საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქალაქ თბილისში, ...ის ქუჩა №54, ხოლო მოსარჩელეთა ოჯახი ბოლო სამი წლის განმავლობაში უწყვეტად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, სამინისტრო უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილება ახლადამენებულ კორპუსებში გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე უარის შესახებ, რამდენადაც მოსარჩელებს არ გააჩნდათ საცხოვრებლით უზრუნველყოფის საჭიროება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს პოზიცია დაუსაბუთებელია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები და განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც სადავო – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 სექტემბრის №01-488/ო ბრძანება გამოცემულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებულ სამართლებრივ ნორმებთან. სადავო გადაწყვეტილება მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, რის გამოც, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქმეზე დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სამინისტროს მიერ დისკრეციული უფლებამოსილება არ განხორციელებულა კანონით დადგენილი ფარგლების გადაცილებით ან/და იმ მიზნის უგულვებლყოფით, რა მიზნითაც მინიჭებული აქვს აღნიშნული უფლებამოსილება. სამინისტროს შეფასება სრულად შეესაბამებოდა ზემოხსენებული ნორმატიული აქტით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა ხორციელდება მხოლოდ ეტაპობრივად სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, შესაბამისად, იმ დევნილ ოჯახებს, რომელთა საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე განცხადებები ამ ეტაპზე არ დაკმაყოფილდა და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ დადგენილი

ნესით, უფლებამოსილი არიან კვლავ მიიღონ მონაწილეობა შემდეგ ეტაპზე და დაიკმაყოფილონ მათი მოთხოვნა კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება არის ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რაც შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის საფუძველი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების მიმართ კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მას საფუძველად უდევს ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება, ან თუ შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს, ან მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება. ამრიგად, „ყოველგვარი დაპირება ვერ იქნება მიჩნეული კანონიერი ნდობის საფუძველად. ასეთად მიიჩნევა მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებული დაპირება, რომლის შინაარსიდანაც აშკარად გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულებას იღებს შეასრულოს რაიმე ქმედება.... მოთხოვნის დაკმაყოფილების სავალდებულო პირობას კი წარმოადგენს დაპირების მართლზომიერების გარკვევა. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ფაქტობრივ მფლობელობაში მქონე სახლი მოსარჩელე რ. კ-ამ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა 2005 წელს და საჯარო რეესტრში აღრიცხა 2010 წელს თავისივე სახელზე, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სამინისტროს მიერ 2012 წელს გაცემული ადმინისტრაციული დაპირების მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არ არის დაცვის ღირსი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ასა და ა. ა-ის სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, ხოლო სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო პრეტენზია არგუმენტირებული და დასაბუთებულია, შესაბამისად, იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – რ. კ-ას ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობა-

ზე უარის თქმის შესახებ, კანონშესაბამისია და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 დეკემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება, რომლითაც რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ასა და ა. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2020 წლის 30 დეკემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. რ. კ-ას, ა. კ-ას, ს. ც-ას, კ. კ-ასა და ა. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სსპა ღავეპი

პასუხისმგებლობა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ბს-648(კ-19)

26 იანვარი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ქ. ცინცაძე,
ნ. სხირტლაძე

ღავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

08.06.2016წ. შპს „...ი“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემონგების შუალედური აქტისა და შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. N04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 06.05.2016წ. №04/36380 გადანყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 26.02.2016წ. ჩაბარდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.02.2016წ. შერჩევითი შემონგების შუალედური აქტი №1, რომლის თანახმად, შპს „...მა“, როგორც ...მა დაწესებულებამ, 107 დაფინანსებულ შემთხვევაზე არასწორად მოითხოვა მომსახურების ღირებულება, შესაბამისად, დაარღვია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანების მოთხოვნები. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებას დაეკისრა 198474,2 ლარის ანაზღაურება (მათ შორის – ანაზღაურებული შემთხვევის უკან დასაბრუნებელი თანხა – 180432 ლარი და დამატებითი ფინანსური ჯარიმა 18043,2 ლარი). სააგენტოს 06.05.2016წ. №04/36380

გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი, უცვლელად დარჩა 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემონმების აქტი. მოსარჩელის განმარტებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გაიზიარა მისი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო დაწესებულების საწოლების რაოდენობა და ფასი არ წარმოადგენს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით გათვალისწინებულ „შემთხვევას“. ამასთანავე, ადმინისტრაციულმა ორგანომ არ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, რომ სამედიცინო დაწესებულებამ შემთხვევის ღირებულება განსაზღვრა სახელმწიფო უწყების მხრიდან მიღებული კონსულტაციის შედეგად, საბიუჯეტო თანხების გაცემის სისწორე სადავო არ გამხდარა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.02.2017წ. გადაწყვეტილებით შპს „...ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია უფლებამოსილი ორგანოს მიერ შპს „...ში“ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში შემთხვევების შერჩევითი შემონმების ფაქტი, რის შედეგადაც გამოვლინდა „კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანების მოთხოვნათა დარღვევა (114 შემონმებული შემთხვევიდან 107 დაფინანსებულ შემთხვევაზე შპს „...ს“ მომსახურების ღირებულება მოთხოვნილი ჰქონდა არასწორად). სასამართლოს განმარტებით, ფიზიკური პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ გახდება იურიდიული პირის ადმინისტრაციული ან/და სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. საქმეზე წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი შპს „...ის“ მხრიდან სამედიცინო შემთხვევების შესახებ ისეთი მონაცემებისა და დოკუმენტაციის წარდგენა მოპასუხისათვის, რომლებიც არ ასახავდა სინამდვილეს. აღნიშნულმა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. სამედიცინო დაწესებულების კონტროლისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, გამოყენებული დამატებითი ფინანსური ჯარიმები შემსრულებელს არ ათავისუფლებს გამოვლენილი დარღვევით მოთხოვნილი თანხების უკან დაბრუნებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, შპს „...მა“ დაარღვია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ვალდებულებები, შესაბამისად, საფუძვლიანია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება გა-

დახდელი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნისა და დამატებითი საჯარიმო სანქციის გამოყენების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 23.02.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“. აპელანტის განმარტებით, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სადავო შუალედური აქტი შედგენილია საგამოძიებო ორგანოს სიტყვიერი მოთხოვნის საფუძველზე და მასში ასახულია არა 2016 წლის 1 იანვრამდე, არამედ 2013 წლის 28 თებერვლიდან 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაფიქსირებული შემთხვევების შერჩევითი შემონიშნების შედეგი. სასამართლომ არ გაითვალისწინა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეუსაბამობა საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანების ნორმებთან. სასამართლო გადაწყვეტილება დაეყრდნო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს განმარტებას და უგულებელყო ის გარემოება, რომ შუალედური აქტის სა-მოტივაციო ნაწილში შემონიშნების სამართლებრივ საფუძველად მითითებული სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანება გასაჩივრებული აქტების უპირობოდ ბათილად ცნობის საფუძველს წარმოშობს. მითითებული ბრძანება ვრცელდება 2015 წლის პირველი აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხოლო სადავო აქტი ასახავს ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებულ შემთხვევებს. სადავო პერიოდზე 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებით განსაზღვრული სატარიფო მოთხოვნების გავრცელება კანონის დარღვევაა, შესაბამისად, შპს „...ს“ კანონშეუსაბამოდ აქვს დაკისრებული 198474,2 ლარის ანაზღაურება. აპელანტმა ასევე მიუთითა, რომ დარღვევებმა, რომლებზეც საგამოძიებო ორგანოები ედავებოდნენ შპს „...ს“ დირექტორს, გამოინვია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, შპს „...ს“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი აღარ უნდა დამდგარიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.02.2019წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ს“ სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 23.02.2017წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაც-

ვის სახელმწიფო პროგრამების“ 20.1 მუხლის თანახმად, პროგრამის ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულება – სოციალური მომსახურების სააგენტო, ვალდებულია განახორციელოს პროგრამების ზედამხედველობა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და პროგრამის პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას დააკისროს მიმწოდებელს ფინანსური ჯარიმა დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან, პროგრამების ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულება კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია, ზედამხედველობის, ინსპექტირების და რევიზიის საფუძველზე გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს მის მიერ განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება, მოსთხოვოს მიმწოდებელს კონტროლის (ინსპექტირების) საფუძველზე გამოვლენილი არასწორად მიღებული დაფინანსების სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება და დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდა და/ან დააკისროს დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. მითითებული „პროგრამების“ 15¹.3 მუხლის შესაბამისად, კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს შერჩევითი შემოწმების გზით, პროგრამის განმახორციელებლის მიერ, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო მე-15¹.5 მუხლის თანახმად, კონტროლის განხორციელებისას განმახორციელებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დგება შემოწმების აქტი, რომლითაც მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. ამავე „პროგრამების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 19.3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველი არსებობს, თუ შემთხვევის შესახებ მონაცემები ან/და დოკუმენტაცია არ ასახავს სინამდვილეს, ხოლო 19.11 მუხლის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესისა), რომელიც გამოვლინდება კონტროლის ან რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ უფლებამოსილმა ორგანომ – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შპს „...ში“ განახორციელა შერჩევითი შემოწმება 2013 წლის 28 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაფიქსირებულ შემთხვევებზე. შემომწმდა ინტენსიური მკურნალობა-მოვლის 114

შემთხვევა და შედეგად, მიჩნეულ იქნა, რომ შპს „...ი“ წარმოადგენდა ...ი სტაციონარული ტიპის დაწესებულებას, სადაც საწოლები მთლიანი რაოდენობა შეადგენდა 29 ერთეულს. აღნიშნულის მიუხედავად, შპს „...ს“ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, „კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებით დადგენილი ტარიფების უგულებელყოფით, კალკულაციით მოთხოვნილი ჰქონდა 270 ლარი თითოეულ პროგრამულ შემთხვევაზე/მკურნალობის ეპიზოდზე, როგორც მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებას, რომელსაც აქვს 50 საწოლზე მეტი. ამდენად, ვინაიდან 114 შემონმებული შემთხვევიდან 107 დაფინანსებულ შემთხვევაზე შპს „...ს“ მომსახურების ღირებულება მოთხოვნილი ჰქონდა არასწორად, მას დაეკისრა საჯარიმო სანქცია, სულ 198 474.2 ლარის ოდენობით (მათ შორის, ანაზღაურებული შემთხვევის უკან დასაბრუნებელი თანხა – 180 432 ლარი, ხოლო ფინანსური ჯარიმა – 18 043.2 ლარი).

სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ფიზიკური პირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ გახდება იურიდიული პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან ერთად, პირს ეკისრება მისი ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება შპს „...ის“ მიერ სამედიცინო შემთხვევების შესახებ ისეთი მონაცემებისა და დოკუმენტაციის წარდგენა მოპასუხისათვის, რომელიც არ ასახავდა სინამდვილეს. აღნიშნულმა გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა და დიდი ოდენობით ზიანი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამედიცინო დაწესებულების კონტროლისას გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში გამოყენებული დამატებითი ფინანსური ჯარიმა შემსრულებელს არ ათავისუფლებს გამოვლენილი დარღვევით მოთხოვნილი თანხის უკან დაბრუნებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, შპს „...მა“ დაარღვია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ მასზე დაკისრებული ვალდებულებები, შესაბამისად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გადაწყვეტილება მისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნასა და დამატებითი საჯარიმო სანქციის გამოყენების თაობაზე, საფუძველიანია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.02.2019წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...მა“. კასატორმა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2015 წლის თებერვალში შეტანილი ცვლილების შემდეგ, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით პროგრამის მონაწილის შემონმების ვადა 3 წლის ნაცვლად განისაზღვრა 5 წლით. ნორმატიულ აქტში არავითარი დათქმა არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ ცვლილებას გააჩნია უკუქმედების ძალა და ვრცელდება 2013 წლის თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებაში 2015 წლის ოქტომბრის ცვლილების განხორციელებამდე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ ჰქონდა მინიჭებული უფლებამოსილება, განეხორციელებინა კონტროლის ღონისძიებები. ამ შემთხვევაშიც ნორმატიულ აქტში არავითარი დათქმა არ არსებობს, რომ ცვლილება ვრცელდება 2013 წლის თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს არ ჰქონდა უფლებამოსილება, შპს „...ის“ შემონმება განეხორციელებინა 2013 წლის 28 თებერვლიდან არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული უფლებამოსილება, შესამონმებელი პერიოდის გათვალისწინებით, გააჩნდა მხოლოდ სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.06.2019წ. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამონმებლად წარმოებაში იქნა მიღებული შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 03.12.2020წ. განჩინებით შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე, დადგინდა მხარეთა დასწრების გარეშე საქმის განხილვა. ამავე სასამართლოს 26.01.2021წ. განჩინებით, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საპროცესო უფლებამონაცვლებად ცნობილ იქნენ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს კასატორის მოსაზრების უსაფუძვლობაზე, რომელიც სადავო შემოწმების პერიოდთან მიმართებაში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს უფლებამოსილების არარსებობას შეეხება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის შესაბამისად, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო. ამასთან, „პროგრამის“ 2015 წლის 23 თებერვლის ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის 9.2. მუხლის თანახმად, პროგრამის ზედამხედველობას ახორციელებდნენ პროგრამის განმახორციელებელი (სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) და რეგულირების სააგენტო, დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. მითითებულ „პროგრამებს“ 23.02.2015წ. ცვლილებით დაემატა 15¹ მუხლი, რომელიც პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლს შეეხება. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტით დადგინდა, რომ კონტროლი შესაძლებელია განხორციელდეს შერჩევითი შემოწმების გზით, პროგრამის განმახორციელების მიერ, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე, ხოლო 15^{1.5} მუხლის შესაბამისად, კონტროლის განხორციელებისას უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენს შემოწმების აქტს, რომლითაც მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა.

დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დაწესებულების შემოწმების პროცესი დაიწყო 2016 წელს და შესაბამისი შედეგები აისახა 26.02.2016წ. შერჩევითი შემოწმების აქტში. ამდენად, „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ 23.02.2015წ. განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო სადავო ადმინისტრაციული წარმოების დროს უკვე წარმოადგენდა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელ უფლებამოსილ ორგანოს. ის გარემოება, რომ შესამოწმებელი პერიოდი მო-

იცავდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდს, ეჭვქვეშ არ აყენებს აღნიშნული ორგანოს უფლებამოსილებას 23.02.2015წ. ცვლილებამდე გამოვლენილ შემთხვევებთან მიმართებაში, რამდენადაც არ დგინდება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის მინიჭებული კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების შეუსაბამობა ნორმატიულ აქტში 23.02.2015წ. ცვლილებამდე სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ უფლებამოსილებასთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო მოცემული დავის გადაწყვეტისათვის არარელევანტურად მიიჩნევს კასატორის მხრიდან იმ გარემოებაზე მითითებას, რომ სადავო პერიოდზე არ უნდა გავრცელებულიყო საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილებაში 2015 წლის ცვლილებით ამოქმედებული კონტროლის განხორციელების ხუთწლიანი ვადა. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო შემთხვევაში განსაზღვრული შემომების პერიოდის გათვალისწინებით (28.02.2013-01.01.2016წწ.), მოსარჩელისათვის საუარესო მდგომარეობას არ ქმნის ის გარემოება, რომ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ 15^{1.2} მუხლი 26.10.2015წ. ცვლილების განხორციელებამდე ითვალისწინებდა კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას შემთხვევის დასრულებიდან 3 (სამი) კალენდარული წლის ვადაში, ხოლო ამავე მუხლის 26.10.2015წ. ცვლილების შემდეგ ამოქმედებული რედაქციით, შესაბამისი კონტროლის განხორციელების ვადად განსაზღვრულია შემთხვევის დასრულებიდან 5 (ხუთი) კალენდარული წელი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაზე ნორმატიული აქტის ძველი რედაქციის გავრცელების შემთხვევაშიც, 2015 წლის 26 ოქტომბრამდე უკუთვლით სამწლიანი პერიოდი სრულად მოიცავს სადავო შემთხვევაში შესამომებლად არჩეულ პერიოდს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის გაზრდა პირდაპირ გავლენას არ ახდენს მხარის იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების მიზნებისათვის, ამ დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამედიცინო მომსახურების ზედამხედველობის სახეობები განისაზღვრება შემთხვევათა ტიპების შესაბამისად. ამასთან, შემთხვევათა ზედამხედველობის ეტაპებს წარმოადგენს საანგარიშგებო დოკუმენტაციის ინსპექტირება, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ან ანაზღაურებაზე უარი და პროგრამით განსაზ-

ღვრული პირობების შესრულების კონტროლი. („პროგრამის“ 9.4 მუხლი). მითითებული „პროგრამის“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 15¹.3 მუხლის შესაბამისად, კონტროლის განხორციელება შესაძლებელი იყო შერჩევითი შემონმების გზით, პროგრამის განმახორციელებლის მიერ, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კონტროლის განხორციელებისას ხდებოდა მიმწოდებელთან არსებული სამედიცინო, ფინანსური დოკუმენტაციისა და საინფორმაციო სისტემაში მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის გადამოწმება, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, კონტროლის განხორციელებისას უფლებამოსილი წარმომადგენელი ადგენდა შემონმების აქტს, პროგრამის განმახორციელებლის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად, რომლითაც მიმწოდებელს შეიძლებოდა დაკისრებოდა ანაზღაურებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება ან/და დამატებითი ფინანსური ჯარიმის გადახდა. „პროგრამის“ მე-19 მუხლი ადგენს კონტროლის განხორციელების შედეგად გამოვლენილი დარღვევებისათვის საჯარიმო სანქციის დაკისრების წესს. სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 19.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისათვის გამოსაყენებელი საჯარიმო სანქციის სახეს წარმოადგენდა უკვე ანაზღაურებული შემთხვევისას თანხის უკან დაბრუნება, ხოლო 19.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა დამატებითი ფინანსური ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობას. 19.3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველი არსებობს, თუ შემთხვევის შესახებ მონაცემები ან/და დოკუმენტაცია არ ასახავს სინამდვილეს. ამასთან, 19.11 პუნქტის თანახმად, სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა (გარდა სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესისა), რომელიც გამოვლინდება კონტროლის ან რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას შემთხვევის ღირებულების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 10%-ით.

უდავოა, რომ მოსარჩელე – შპს „...ი“ წარმოადგენს ზემოაღნიშნული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ სუბიექტს – პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას, ხოლო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო სადავო პერიოდში წარმოადგენდა პროგრამის განმახორციელებელს და უფლებამოსილი იყო, ზემოაღნიშნული პროცედურის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებაში განეხორციელებინა შემონმება, შესაბამისი აქ-

ტის შედეგით. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების საფუძველზე, შპს „...ში“ განხორციელდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე პერიოდში დაფიქსირებული შემთხვევების შერჩევითი შემოწმება. 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემოწმების შუალედური აქტით დგინდება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეამოწმა ინტენსიური მკურნალობა-მოვლის 114 შემთხვევა და დაადგინა, რომ შემოწმებულთაგან 107 დაფინანსებულ შემთხვევაზე შპს „...ს“ მომსახურების ღირებულება მოთხოვნილი ჰქონდა არასწორად, კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ შპს „...ი“ ...ს სტაციონარული ტიპის დაწესებულებაა და მისი სანოლების მთლიანი რაოდენობა 29 ერთეულს შეადგენს, მითითებული პროგრამის ფარგლებში, კალკულაციით მოითხოვა 270 ლარი თითოეულ პროგრამულ შემთხვევაზე/მკურნალობის ეპიზოდზე, როგორც მრავალპროფილურმა სამედიცინო დაწესებულებამ, 50-ზე მეტი სანოლით. ამდენად, მიჩნეულ იქნა, რომ შპს „...მა“ მომსახურების ღირებულება მოითხოვა არასწორად, დარღვეულია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში „კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები, რომლითაც 50 ან ნაკლები ოდენობის სანოლზე, ...ი დაწესებულებებისათვის (გარდა ...სა და ქ. ...სა), კრიტიკული მდგომარეობის/ინტენსიური თერაპიის I დონის ღირებულებად განსაზღვრულია 170 ლარი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებას საჯარიმო სანქციის სახით დაეკისრა 198 474.2 ლარის ანაზღაურება (მათ შორის, ანაზღაურებული შემთხვევის უკან დასაბრუნებელი თანხა – 180 432 ლარი და ფინანსური ჯარიმა – 18 043.2 ლარი). სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 06.05.2016წ. №04/36380 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა შპს „...ის“ ადმინისტრაციული საჩივარი, უცვლელად დარჩა 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემოწმების შესახებ შუალედური აქტი.

საკასაციო სასამართლო, განსახილველი დავის სწორად გადწყვეტის მიზნებისათვის საყურადღებოდ მიიჩნევს სადავო 26.02.2016წ. აქტით სამედიცინო დაწესებულების შესამოწმებლად განსაზღვრულ პერიოდს და შესაბამის პერიოდში გამოვლენილ დარღვევებთან მიმართებაში დაწესებულებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად მითითებულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებას.

როგორც აღინიშნა, საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36

დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“, ამ პროგრამის მიზნებისათვის ადგენს სამედიცინო მომსახურების ზედამხედველობის საფუძვლებს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ „პროგრამის“ 20.2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს პროგრამების ადმინისტრირებაში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულების შესაძლებლობას, ზედამხედველობის ეტაპების მიხედვით, ამ დადგენილებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვროს პროგრამის ადმინისტრირების დამატებითი პირობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ დადგენილებით და მოქმედი კანონმდებლობით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანება, რომლის მოთხოვნებთან შეუსაბამობაც საფუძვლად დაედო სადავო შემონმგების აქტით მოსარჩელე სამედიცინო დაწესებულების სანქცირებას, სწორედ ზემოაღნიშნული პროგრამის ადმინისტრირების დამატებითი პირობების შემცველი აქტია – „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ საფუძველზე, პროგრამის ადმინისტრირების ეფექტურობისა და განხორციელების პროცესის რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებით დამტკიცდა „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის ტარიფები. ბრძანებაში მითითებულ იქნა, რომ დადგენილების დანართი №1.2-ის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით (კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია) განსაზღვრული მომსახურების (მათ შორის: კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის შემთხვევაში უწყვეტად 21 დღის შემდეგ დაყოვნება, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია და ჰემოტრანსფუზია) ანაზღაურება უნდა მოხდეს დადგენილების 22.4 მუხლის მიხედვით განსაზღვრული ღირებულების შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს განმახორციელებლის მიერ ამ ბრძანების №1 დანართით დადგენილი ტარიფით (თავის მხრივ, „პროგრამის“ 22.4 მუხლი მიუთითებს, რომ 21-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გეგმური და გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია, განაცხადის თანახმად (წერილობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის შესახებ), განმახორციელებელთან წარადგინოს დანართი №1.1-ით, დანართი №1.2-ით, დანართი №1.3-ით და დანართი №1.4-ით განსაზღვრული სამედიცინო მომსახურების შესაბამისი ღირებულებები ელექტრონული ფორმატით, სამედიცინო დაწესებულებების საინფორმაციო პორტალზე, ხოლო შემდგომ – დოკუმენტური ფორმით. ამავე „პროგრამის“ №1.2 დანართი შეე-

ხება გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების პირობებს).

საკაცაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანება ძალაში შევიდა ხელმოწერის-თანავე და დადგინდა, რომ მისი მოქმედება უნდა გავრცელდეს 2015 წლის პირველი აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. ამდენად, „პროგრამის“ ფარგლებში შემონმებაზე უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, მითითებული ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან მხოლოდ იმ შემთხვევების შესაბამისობის დადგენის შესაძლებლობა მიეცა, რომლებიც 2015 წლის პირველი აპრილიდან წარმოიშობოდა. მოცემულ შემთხვევაში, „პროგრამის“ ფარგლებში სამედიცინო დაწესებულების შემონმების პერიოდი მოიცავდა 2013 წლის 28 თებერვლიდან 2016 წლის 1 იანვრამდე დაფიქსირებულ შემთხვევებს, თუმცა სადავო შემონმების აქტი, გამოვლენილი დარღვევების შეუსაბამობას მხოლოდ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანებით განსაზღვრულ დამატებით პირობებთან მიმართებაში ადგენს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაწყვეტლად, ბათილად ცნოს იგი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაავალოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საკაცაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებების გამოკვლევისა და სადავო საკითხის არ-

სებითად გადაწყვეტის შეუძლებლობა. „...საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება...“ (სუს 13.12.2018წ. №ბს-681-681(კ-18) გადაწყვეტილება).

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემონმების შუალედური აქტი არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, შესამონმებელი პერიოდის რომელ ნაწილს მოიცავდა გამოვლენილ შემთხვევათა ჯამი (მხოლოდ 2015 წლის პირველი აპრილის შემდგომ თუ 2015 წლის პირველ აპრილამდე პერიოდსაც), შესაბამისად, გაურკვეველია – შემთხვევებზე სწორედ გავრცელდა თუ არა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანების მოქმედება. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნული საკითხის გარკვევა არსებითი მნიშვნელობისაა, რამდენადაც, გავლენას ახდენს მოსარჩელისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობის მოცულობაზე. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ გამოვლენილი შემთხვევები 2015 წლის პირველ აპრილამდე პერიოდსაც მოიცავს, უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამოიციხოს ამ შემთხვევებთან მიმართებაში 31.03.2015წ. №04-92/ო ბრძანების გავრცელების შესაძლებლობა და შემციირებას უნდა დაექვემდებაროს საჯარიმო სანქციის ოდენობა. ადმინისტრაციულმა ორგანომ გარემოებათა სრულყოფილად გამოკვლევის და შეფასების შედეგად, გამოვლენილ შემთხვევათა პერიოდის გათვალისწინებით, დადგენილი წესის შესაბამისად, ზუსტად უნდა განსაზღვროს როგორც ანაზღაურებული შემთხვევის უკან დასაბრუნებელი თანხის, ისე ფინანსური ჯარიმის ოდენობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების წინაპირობები: გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემონმების შუალედური აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ამასთან, სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი

გარემოებების დადგენა და შეფასება. შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი აღნიშნული აქტი, ამასთან, ვინაიდან „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 21.02.2013წ. №36 დადგენილების მოქმედი რედაქციით, პროგრამით განსაზღვრული პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 06.05.2016წ. №04/36380 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე: საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს, როგორც უფლების დაცვის საშუალებას, მხარისათვის განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების გადამოწმებას როგორც ფორმალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით. ამდენად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილ სათათბირო ორგანოს (კომისიას) გასაჩივრებული აქტის კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების ვალდებულება წარმოეშვა მაღალი ხარისხით, თუმცა საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ გადწყვეტილებით დგინდება, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები, დამატებით არ შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები და არ გააკეთა დასაბუთებული დასკვნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემოწმების შუალედური აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სახეზეა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 06.05.2016წ. №04/36380 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და შპს „...ის“ საკასაციო საჩივრის ნაწილობ-

რივ დაკმაყოფილების საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.3 მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 10.2 მუხლის თანახმად, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმის გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.1 მუხლის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, სადავო საკითხის ასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე გადაწყვეტის პირობებში, სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი 100 ლარის, სააპელაციო სასამართლოში გადახდილი 150 ლარის და საკასაციო სასამართლოში გადახდილი 300 ლარის (სულ 550 ლარის) ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. შპს „...ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 12 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 04.06.2015წ. №04-156/ო ბრძანებით შექმნილი სათათბირო ორგანოს (კომისიის) 2016 წლის 6 მაისის №04/36380 გადაწყვეტილება;

5. სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.02.2016წ. №1 შერჩევითი შემონმების შუალედური აქტი და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა;

6. სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს და სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შპს „...ის“ სასარგებლოდ დაეკისროთ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 550 ლარის (100+150+300) ანაზღაურება;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 298 20 75
www.supremecourt.ge